

ლიტერატურული გაზეთი

№23 (351) 8-21 დეკემბერი 2023

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ლია სტურუა

ვყიდულობ შაქარს, კარაქს, პურს,
ყოველდღიური საჭიროებისთვის,
ცოტა სიხარულსაც დავამატებდი,
რეალური რომ იყოს,

კილოგრამებით იზომებოდეს,
არის დათმობა! პეიზაჟები იყიდება:
მზიანი, წვიმიანი, ქარიანი,
მზიანი უფრო ძვირია, მცდელობა სახიფათო;
მინდორი რომ წამოვიდეს
და ჩემ სახლთან შეწყდეს...
ისე, მწვანე ფერი შუქნიშანზეცაა,
იარე და იყავი!

სხვა რა თავისუფლება გინდა
ამ გახურებულ ურბანიზმში?
ჯერ ხერხებულზე კარგად დგახარ,
ასე თუ ისე, აწესრიგებ
ძვლებზე ხორცის კომპოზიციას,
ფორმებში ვაშლის წარსული გიზის,
მაგრამ ვაშლებიანი რეფრენი
გახურებული ტვინების საქმეა,
ფხიზელი ტვინი კანონებს ემორჩილება,
თუნდაც, იგივე, გრავიტაციის,
რომელიც კაცებს მინისკენ ხრის
და არა ჩემსკენ, ერთმა მათგანმა
ლექსიკონი დამამარხინა,
სადაც შაქარი კარგი სიტყვაა,
გამრუდებულ სიტყვოზე მერე,
როცა მზიან პეიზაჟს ვიყიდი (ბოლო ფულით)
და შიგ ჩავეწერე, სუიციდი რა შუაშია?
სულ ასეთი არ ვიყავი? ნორმალური იდეალისტი!

IV



ნიკოლოზ ცისკარიშვილი

სოკრატეს სიზმარი

ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით პლატონი
თავის დაკარგულ დიალოგში ჰყვება სოკრატეს სი-
ზმრის, მისი მთავარი კომპარის შესახებ, რომელიც
მთელი ცხოვრების მანძილზე ტანჯავდა ფილოსო-
ფოსს:

თვალისმომჭრელი სინათლისკენ მიმავალი იხ-
სენებს კედლებზე გამოსახულ სფეროებს, ყვითლ-
ად და წითლად რომ ღვივიან. ეს ნახატები იმდენად
დიდი ხნის წინათ შექმნეს, რომ მხატვრების შესახებ
ალარავინ აღარაფერი იცოდა. მხოლოდ იმ ლეგენ-
დას ჰყვებოდნენ ხანდახან, რომ ადრე, როდესაც
სამყარო ახალი შექმნილი იყო, მინის თავზე არსე-
ბობდა უსასრულო სივრცე და ამ სივრცეზე მცუ-
რავი მანათობელი სხეულები. შემდეგ ღმერთები
კაცობრიობას განურისხდნენ, ცა ჩამოქდა, გაქვავ-
და და სამყარო ბნელმა შთანთქა. ადამიანები მან-
ამ დაეხეტებოდნენ წყვილიადში, სანამ არ გამოჩნდა
ახალგაზრდა ღმერთი, რომელმაც მათ ცეცხლი უძ-
ღვნა, თავად კი სამუდამოდ გაუჩინარდა. ნახატები
იმ შორეულმა წინაპრებმა დახატეს, რომლებსაც
ჯერ კიდევ ახსოვდათ ძველი სამყარო.

VI-VII



ირმა ბერიძე

ერთხელ სხვად ავდგე,
სხვა ლამიდან ამოვიდე,
სხვა თვალეზი ამოვიფშვნიტო,
სხვა ფეხები გადმოვყარო სანოლიდან,
სხვა ხერხებულზე შებმული ხორცი გავიფხიზლო,
სხვა კაბა შევხსნა საკიდიდან,
სხვა სამსახურში დამაგვიანდეს,
სხვა ქალაქის ქუჩა გადაჭრას

მინისქვეშა მატარებელმა,
მგ ზავრებს არ ჰქონდეთ გვიანი ვახშმის და
უსექსობის ავი სუნი.

ერთხელ სხვად გამეღვიძოს.

VIII-IX



დასაწყისი N350

3

ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ შოშიტამ თავისი სახლის კარი პირველად შეაღო და მწველი მოგონებები აეშალა. რახან სამშობლოში დაფუძნება გადაწყვიტა, რომ არ ეფიქრათ, უკან მხოლოდ დამარცხებულები ბრუნდებიანო, აქაურობისთვის უნდა მიეხედა. მუშები იქირავა რემონტის ჩასატარებლად და ახალი ავეჯიც შეზიდა. ყოველდღე ხან რა შეჰქონდა და ხან რა. მეზობლები მისი სიყოფიერებას აღტაცებით გამოხატავდნენ, კერა ააღორძინაო. მერე ნაკვეთიც შეიძინა ფერდობზე, მისი ფანჯრიდან რომ მოჩანდა. ცოტაოდენ კარტოფილს და მწვანეებს დავეთესავო. რა ბევრი მას სჭირდებოდა. შოშიტას ფული ჯერ კიდევ ჰყოფნიდა, მაგრამ უნდა მოჰფრთხილებოდა, სანამ სამუშაოს იშოვიდა. როცა დრო გამოჩნდა, თავისი მონაცემები სახელმწიფო და კერძო სასწავლებლებში დააგზავნა. სალექციო თემები დაწერა და რამდენიმე ეგზემპლარად დააქსეროქსა. რახან სოციალურ ფაქულტეტზე ესწავლა და შესაბამისი სერტიფიკაციც გააჩნდა, აუდიტორიუმში მიიწვიეს. იმ დღიდან პასუხისმგებლობის გამოხატველი ხვდებოდა და ქომინით სტუმრობდა კათედრებს, თითქოს რამის შუქს სააპარათზე გამოჰყავდა და როცა მრავალ მიბჯენილ მზერას გრძობდა, მნიშვნელოვან სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს. ლამის თავი ემართლებინა, თვითმარქვია ვარ, ყურს ნუ დამიგდებთო. ნებისყოფას უხმობდა, ლექცია რომ განეგრძო. თავიდან უძნელდებოდა, მაგრამ მალე მრავალ წვრილმან ნიუანსში გაერკვა. დამსწრეები, რომელთაც ლექციის ჩატარებაზე ნებართვა უნდა გაცემო, სიმკაცრით გამოირჩეოდნენ. ერთ მსმენელსაც რომ დაემთქნარებინა, (ჩათვლიდა ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო) ტექსტს განელილად მიიჩნევდნენ და გენიალური მიგნებების შეკვეცას აიძულებდნენ. შოშიტა მშობლიურ ენას რომ ამტკრევდა, მოსწონდათ კიდევ. მრავლის მნახველი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— ჩვენ მუდმივად შემოვიღებთ ახალ ნესებს, რომლის ათვისება ასაკოვანებს გაუჭირდებათ, ამ მიზეზით კი გავცხრილავთ! — მოქმედების სქემა გაცნო დირექციამ. — როგორღა იარსებონ? — გამოსარჩლება სცადა შოშიტამ, მაგრამ ძლიერნი ამა სოფლისიანი ხომ ყოველთვის მართლები არიან.

— თავში ქვა უხლიათ, სახელმწიფოს ისედაც ტვირთად აწვანან. ამ ქმედებას ჰუმანიზმის გამოვლინებას ვერ ვუნოდებთ, მაგრამ რეალობას კი ნამდვილად ასახავს!

ამ დამოკიდებულებას დირექცია მხიარულებაში მოჰყავდა კიდევ. თითქოს იმისთვის იცინოდნენ, ქათქათა კბილები რომ გამოეჩინათ. მერე ლომების მომთვინიერებლები იბღვირებოდნენ. ეს სხვა კასტა იყო. ნარჩინებულებს ჰგავდნენ, სასჯელის მოსაფიქრებლად გაცრეცილ ხალიჩაზე ნამონოლილთ და ეს ხალიჩაც მჭმუნვარე გადაწყვეტილებებს გაეცვითა. დასჯის ათასგვარი მეთოდი არსებობდა. ეგ იყო, ვის რას მორაგებდნენ. აკადემიური მსჯელობით ქვას გახეთქავდნენ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც საბჭო იღებდა, ბრძენთა ნაკრები, ქვეშევრდომნი მალიმალ ქიშმიშს რომ სთავაზობდნენ პირის ჩასატკბარუნებლად, სიმბავე რომ განელებოდათ. სასჯელის მოლოდინში ქალი ლექტორები მდინარის პირას ჩამომსხდარი ნიმფებივით ტკბილად მოთქვამდნენ. ფრთხილობდნენ, სამსახური არ დაეკარგათ და უზრუნველყოფილი ყოფილიყვნენ. კადრების შესარჩევი დარბაზი ოთახს კი არა, განძის ზარდახმას ჰგავდა. იმდენ ლამაზმანს მოეყარა თავი, თითქოს კონკურსი ტარდებოდა. თანაც ყველაფერი ამაღლებული იყო, ყოველი ნივთი ალმადრენის გამოხატავი. ხელსაწმენდის უბრალო ნაგლეჯზეც კი ნატიფი ასოებით შექსპირის რომელიმე სონეტი აღებეჭდათ.

სალამობით შოშიტას ჭრილა ტაბურეტზე ჩამოჯდომა სჩვეოდა. ცარიელ სკივრზე ფეხებს შეაწყობდა და ზურგით კედელს მიეყრდნობოდა. სიცხესაც აქ იზომავდა, მაგრამ იშვიათად, ნადიას მსგავსად ნევროზი რომ არ დამართოდა. რაც პაპიროსს თავი დაანება, მხოლოდ თერმომეტრს თუ დაფერთხავდა ხოლმე. ხურდა ფულებს საფერფლები ყრიდა, რახან არაფერ-

დიმიტრი ნიკლაური

ახლა, ახლო, ან სადმე, ოდესმე



ში ადგებოდა. მერე ღრუბლებს აკვირდებოდა, თითქოს ხარშის ოსტატი ცეცხლის გაღვივებას ცდილობსო. სარკმლის ჩარჩო მკვერივ ჰაერს შებჯენოდა. მოსწონდა ქალაქის ყურება წვიმის შემდეგ, გადარეცხილი ქუჩები სანიღვრე ჭებად რომ ქცეულიყო. ბანალური ამბები გაჭიანურებული კადრებით წყდებოდა ნამდაუნუმ და ყოველდღიურობა გადაბმის პროცესს ემსგავსებოდა. დიპლომათა და საბუთებით სავსე პორტფელი, წარსულის მთელ მიღწევებს რომ ინახავდა, კუთხეში მიეგდო და რახან ცხოვრების უმთავრესი ფორმულისთვის ვერ მიეგნო, სამყარო მისთვის სრულ გაუგებრობად რჩებოდა, რომლის ნიაღვიც მხოლოდ დამსწრის სტატუსს ატარებდა.

სასწავლებლის შენობის მოპირკეთებული ვესტიბული კოლეჯის მნიშვნელობაზე მეტყველებდა. თუმცა ისეთი ძველი იყო, ქარის ქროლისას თუნუქის სახურავს ფერი იკარგებდა. შოშიტა საქმიანი ნაბიჯებით მიეშურებოდა იქით, როგორც ჩვეულებრივ შემნახველი სალაროსკენ მიემართებოდა ხოლმე. სასწავლებლის დარაჯს რატომღაც მის დანახვაზე ტუჩები ეგრისებოდა, შოშიტას კი განუმარტავდა, რომ ეს სიმწრის სიცილი იყო და ყურადღებას ნუ მიაქცევდა.

— მაშ დამცინი! — ერთგვარი წყრომით აღნიშნა შოშიტამ, სამშობლოში გულცივ დამოკიდებულებას გაცილებით მტკიცეზე უკადრად რომ აღიქვამდა.

— შეგონა, ილღიაში წიგნები გექნებოდათ ამოწრილი! — თავს იმართლებდა დარაჯი.

— განა მკერავი სათითო დადის ან მე-საათე გამადიდებელი შუშით? ამ ატრიბუტებს ხომ სახელმწიფოში ტოვებ? — ის ვიგულისხმე, რომ ამქვეყნად შეუძლებელია რაიმეს დაემყარო. ჩვენში რომ დარჩეს, განა ყველანი ნიჩაბზე არ ვსხედვართ, ასე ვთქვათ «ლაფატკაზე» და კაცმა არ იცის, როდის მოგვისვრიან?!

— ჰო, ასეა! — შეიმუშვნა შოშიტა, ნათქვამი სარწმუნოდ რომ მიიჩნია.

— თავმდაბლად იქცევით! — ქების სიტყვები არ დაიშურა დარაჯმა — მდაბიო ხართ?

— პაპაჩემი სახელგანთქმული მწყემსი იყო! — იუკადრისა შოშიტამ.

— ფარა ჰყავდა? —

— ფარები! — ეს სიტყვა აღმატებული ხარისხის მისანიჭებლად განეცა, — ხევისბერის ტიტულს ატარებდა!

— დიდი კაცი ყოფილა! — თავი გადაიქნია დარაჯმა, რომ შემძლოს ჩემს ნათქვამს უკან ნავილებდით.

— არქივშიც ინახება ცნობები მის შესა-

ხებ! — განაგრძო შოშიტამ, რადგან დარაჯის ყოყმანი შეურაცხყოფელ პაუზად მოეჩვენა. მერე კი ზურგი შეაქცია. ლიფტი არ მუშაობდა და კიბეს ისე შეუყვია, როგორც დამრეც უღელტეხილს. აუდიტორიამი მომლოდინე გოგონები მოციმციმე ვარსკვლავებს ჰგავდნენ, სანამ საქმრები დიასახლისებად აქცევდნენ და მონყვეტილ ყვავილებს დაამსგავსებდნენ. ბიჭებს ქორწინება დახვეწდა, ქუჩიდან გამოყოლილ თვისებებს დააინყებდა და ახალბედების დარიგებას მოჰყვებოდნენ. მერე შოშიტას უეცრად ცემინება აუტყვია, რასაც სიცილი მოჰყვა, მაგრამ რა ექნა. ესეც ხომ ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო. მან უხერხულობისაგან ლექცია წამოიწყო, ევროპული მიდგომის უპირატესობას რომ ეხებოდა.

— ტრადიციული ხეები უნდა მოვჭრათ, მათ ნაცვლად კი ის მცენარეები დავრგოთ, პროგრესული ქვეყნების ლანდშაფტს რომ წარმოადგენს!

— რას გულისხმობთ? — ჩაეძია კურსის ნაკადელი, ლექტორთან კამათში თავი რომ გამოეჩინა.

— განვითარებული ქვეყნების ფლორას!

— ფიქრობთ, რომ ჩვენ განვითარებას ეს მცენარეები განაპირობებენ? — დიდი ჯიუტი და შებურტყილი ვინმე ჩანდა.

— ყოველ შემთხვევაში შთაბეჭდილებას მოახდენს, თავი შინ ეგონებათ და ხელს მეტად გაგვიმართავენ! — შოშიტა თვითონვე ატყობდა, არგუმენტი უსუსური რომ იყო.

— მერე რა იქნება? — კუთხეში იმწყევდევდა ნაკადელი.

— გარდაუვალი ტრიუმფი!

— ტრიუმფის გარეშე ჩავლილი ცხოვრება გაცდენილად ჩაითვლება? იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანი შინაარსი სწორედ ჩვენს უმნიშვნელობაში ძვეს? — ბობოქრობდა ნაკადელი. ყვირილით რომ ცდილობდა, ეპოქალური ლიდერებისთვის მიეზადა, დასაკლავი გოჭივით კი ჭყვიტინებდა. ნიკინა ნოვატორი საქმიან ხოჭოს ჰგავდა, როცა შეკრული კოპებით გულისწყრომას გამოხატავდა. თან ისე მსჯელობდა, პოლიტიკაში მოსვლის დიდი ამბიცია ექნებოდა. წინაპართა ათასწლოვანი ქმედებებით ერთობ უკმაყოფილოს სამშობლოს შველა განეზრახა.

— ყველაფერი ნაცადია, მაგრამ საზოგადოება იმგვარადაა მოწყობილი, დაქცეულ ქვეყანას ფეხზე თუ ვერ წამოაყენებ, ქვეყნის დაქცევაში დაგდებენ ბრალს, ხოლო ოცნებას თუ აჰყვები, იმ გზებისთვის განემზადე, რომლის გასწვრივაც უნაყ-

ოფო ხეები ხარობენ. ატმოსფერო დახშულ სივრცედ იქცევა, რადგან მიჯნები წინასწარ განგვისაზღვრეს და მისი მორღვევა მხოლოდ ჯადოსნობას თუ ძალუძს! — განუმარტავდა შოშიტა, თუმცა მისი გული ვერაფრით მოიგო.

კამათი ლექციის დასასრულამდე გაგრძელდა, გეგონება მაგიდის პინგ-პონგს თამაშობენო. შესვენებაზე შოშიტას კოლეგებმა ნაკადელი დიდის ამბით წარუდგინეს, თითქოს გაცნობას აიძულებენო. თან ხობტას ასხამდნენ, იმედის მომცემი სტუდენტიაო, მაგრამ შოშიტას ალგორითვანება არ გამოუხატავს. ცივი ჭოჭმანით გაუნოდა ხელი, მერე კი ბუღალტერიისკენ გასწავლა, იმ დღის ჰონორარი რომ აეღო და ძეხვი ეყიდა.

— ნამდვილ მეგობარს ყალბი წარმოსახვა დაგაკარგვინებს! — აღმატებული სახით დაარიგა ძეხვის გამყიდველმა, — ცხოვრებას უფრო ადვილად უნდა ვუყუროთ!

ეს ძეხვს უნდა ჰყიდდეს, მე კი ლექციებს ვკითხულობდე, გაიფიქრა შოშიტამ და სინდისის ქენჯნა იგრძნო, თითქოს ფსკერიდან მძიმე ქვები ამოეზიდოს. ისინი თანატოლები იქნებოდნენ, სიბერე ჩანჩქერისკენ რომ მიაქანებდა, რასაც შოშიტა ისე მძაფრად განიცდიდა, დაშურულ სახეზე განმგმირავი მზერაც კი აღჰბეჭდოდა, განსხვავებით ძეხვის გამყიდველისაგან, მხიარულად რომ იკრიჭებოდა, თითქოს უკვდავი ყოფილიყო.

იმ პერიოდში შოშიტამ შეთავსებით მუშეუმიში მორიგის სამსახური იშოვა, სადაც ოთხ დღეში ერთხელ მოუწევდა გამოცხადება. დამხვეურთა ბუზუნს, ახალი სახეების დანახვა რომ აღიზიანებდა, კამათისთვის ნაქეზებად აღიქვამდა, მაგრამ არ ჰყვებოდა. ზოგიერთები მის მიმართ პატივისცემას გამოხატავდნენ, დირექციასთან დაახლოებულ პირად თვლიდნენ, რახან სარდაფის გასაღებიც ანდევს, სადაც დროდადრო უნდა ჩასულიყო სინოტივის ხარისხის დასადგენად. უმაქნისთა სიბრძნე ხომ ზედამიწულ დამოკიდებულებასთან მოდის თანხვედაში და დეტალებით არ ინტერესდება. გრავირების ნაწილს სარდაფში ინახავდნენ, რომლის კარზე ონკანი რომ მიემარტებინათ, სამეფო ლუდის კასრის ფერდს დამსგავსებოდა.

პირობები აქაც მკაცრდებოდა და სამუშაოს შესანარჩუნებლად მეტი ყურადღება მართებდა. ამიტომაც ჩრდილოთი თუ კოჭლობით გადაადგილდებოდა, სათვალთვალო კამერების წინ ნელგამართული გაივლიდა ხოლმე, სახეზე სიმხნევის გამოხატველი ღიმილით. ხოლო როცა დროის გასაყვანად ფილოსოფიური სიდიდის ბოლოის ცემას მოჰყვებოდა ფიტულების შორის. სწორედ ისინი არიანო, მგზნებარედ გაიფიქრებდა და ზღვისპირა ქალაქში ჩამომდგარი მატარებელი ახსენდებოდა. მოწყენილობის გასაფანტად ფიტულებთან გამოლაპარაკებასაც ცდილობდა, არაფრით ვარ თქვენზე უპირატესიო, თითქოს სიკვდილის შინაარსი ანგელოზებისგან ეუნყაო. მიცვალებულებზე ისედაც ხშირად ფიქრობდა. სამკერვალოებთან ჩავლისას მანეკენებს შესწერებოდა, სამოსელზე მაქმანის ოქროსფერი ძაფები რომ აჩნდათ და მათ უსიცოცხლობას მწუხარე მზერით თანაუგრძობდა.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ტანსაცმლის გამოცვლას მკაცრად განსაზღვრულ დროში ახერხებდა, თითქოს განრიგი ჰქონოდა დანესებული. ათი წუთის ნაცვლად ხუთ წუთში ეტეოდა, დამკვირვებლებს დროის ფუჭ კარგებად რომ არ ჩათვალათ. ყველაზე დიდი ხალხით რასაც აკეთებდა, უქმად ყოფნა იყო. შინ დაბრუნებისას ჭუჭყიან ხარაჩოებთან უწევდა ჩავლა, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. ამიტომაც იბერტყავდა სადარბაზოსთან შარვლის ტოტებს, სამშენებლო მტვერი სახლში რომ არ შეეცანა.

4

შინ მისვლისას, თითქოს უთვალთვალეზენო, ტელეფონი აწკრიალდა.

— მე თქვენთან სიახლოვე მსურს! — აუწყა სასამოგონო ხმამ, გამბედაობისთვის რომ მოეხმო სიყვარულში გამოსატყდომად.

— საიდან მიცნობთ?

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა!

— ჩემი ასაკიც იცით? — ფრთხილად შეაპარა შოშიტამ.

— დარბაისელი მამაკაცები უფრო მი-

ზიდავს, იქნებ ერთმანეთს ზეგ შევხვდეთ, ზეგანზე! — უცნობ ქალს ხმა მომთხოვნი გაუხდა.

— ეგ ხომ ღარიბთა უბანია, რატომ მანდ?

— ყველაზე ძვირფას მარგალიტებს ფსკერი ინახავს!

— გასაცნობად მეპატიჟებით? — მხრები აჩქრა შოშიტამ.

— ნამდვილი ცხოვრების სანახავად! — კატეგორიულად უპასუხა მანდილოსანმა, თითქოს ეს მხრების აჩქრა დაენახოს.

— როგორ გიცნო?

— ყველაზე ლამაზი ვიქნები, ვინც ჩემამდე გინახავს, ერთადერთი ერთერთა შორის!

— ნუთუ?! — გაუკვირდა შოშიტას, სალიზე და ანა ბაზმანზე ლამაზი რომ ვერც წარმოედგინა, — მაინც როგორ გამოიყურებით?

— ვნებიანი ბაგეები მაქვს, თმებს კი დაწინკნამდე ვივარცხნი. მამ, ზეგამდე. როცა მოვალ, იქ უნდა დამხვდეთ! — ქალს ისეთი მკაცრი ტონი ჰქონდა, თითქოს წინასწარ ზეიმობსო გამარჯვებას.

შოშიტა დიდად დაინტერესდა, სარკეში ჩახედვისას კი ჩახვდებოდა, ნეტავ ჩემში რა ნახავს. საღამოს ქუჩებში ლამპიონები ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდნენ. ზეგამდე რა დაიცდის, დამწუხრდა, თითქოს მის ცხოვრებაში რაღაც ახალი ინებებოდა. წარსული ფრიად მოჰბეზრებოდა. იმ აბაჟურის თვალთვალშიც კი ყველა ამოსვლიდა, რომელიც ძველ დროს ახსენებდა. ნუთუ ამ სიბერეში სიყვარული კიდევ მენწევა, თავი ახალგაზრდულად იგრძნო შოშიტამ, მაგრამ სწრაფმა მოძრაობამ წელი გაუკავა და სკამზე დაეშვა. როდის როდის წამოდგა გაჭირვებით. მეორე დღესაც იმ ქალზე ფიქრობდა, ჩემი რომელიმე სტუდენტის ხომ არ არისო. იმ დღეს ულამაზესი გოგონა დაესიზმრა, სალის პირისახითა და ანა ბაზმანის გამოსხედვით. ქალი იმდენად ფერმკრთალი იყო, თითქოს ანარეკლებთან შესახვედრად მიდიოდა. თვითონ კი ხობვით მისულს ჰგავდა, რადგან ზეგნის გზა ქვიშებზე გადიოდა. ამ განცდებმა გამოაღვიძა და დილაზე თვალი ვეღარ მოხუჭა. ერთი სული ჰქონდა გათენებულყო, მაგრამ სანამ მზე არ აღმოხდებოდა, სიბნელე ჩამოწოლილიყო. მტუტავი ლამპიონები ცარიელ ქუჩას უღონოდ დანათობდა. ავჭალის გზატკეცილიც თბილისია და აეროპორტის ტრასაც, ადგილობრივებს კი ცენტრში ცხოვრება მედიდურობას გვიღვივებს, გაიფიქრა შოშიტამ.

დილით ზღურბლზე ისეთი მოწინებით გამოჩნდა, თითქოს სამეფო ეტლში უნდა ჩამჯდარიყო. ის კი ყველა სატრანსპორტო საშუალებას გადაეკა, კედელზე მიყუდებულ ველოსიპედსაც კი და გზა ფეხით განაგრძო. იგი წინასწარმეტყველს ჰგავდა, ხმაურს დუმილი რომ არჩია. ზეგანს მუშათა დასახლებას ეძახდნენ, ქალაქის გარეუბანში რომ იყო და მდინარეს მჭიმნარე გორაკით ემიჯნებოდა. აღნაგობა შორიანლო ცხოვრობს, შეხვედრას აქ იმიტომ დამითქვამდა, გაიფიქრა შოშიტამ და გარნიზონს მიადგა, ზეგნის ძირას რომ მდებარეობდა. ჩინოსან მხედარს სადავეები მარჯვენად ეჭირა, გეგონება, ცხოვრებას პირობებს კარნახობსო. ცხენი მორჩილად ფრტუნივდა და ნაბლის ხის ქვეშ გაზონის ზალახს ძოვდა. ზოგადად ცხენოსანთა კანტიკუნტი გამოჩენა ჯარების უწყვეტი გადაადგილების შთაბეჭდილებას ტოვებდა. სამხრეთით თუ იმსჯელებდი, მხედარს მალაღობი თანამედრობა უნდა სჭეროდა, მაგრამ მაინც უემპაყოფილო ჩანდა. უმოქმედობით დაზაფრული განვილი ბრძოლებს თუ იხსენებდა. მშვიდობიან დროს ბევრს არაფერს წარმოადგენდა, გადაადრებისას ქოლგა ტვირთად რომ იქცევა ხოლმე. სამყაროს რჩეულთა შერისხვა სჩვეოდა ხელშეწყობის ნაცვლად. ყველას თავისი ასპარეზი ჰქონდა. თოლიებს ზღვის სივრცე უჯობდათ, ქორები კლდეებს ეტანებოდნენ, გაცელებით რთულ რელიეფს, თუნდაც გაუმჭვირ ნისლში ამოეყოთ თავი. ოფიცერს არ სურდა, ტრაბახში გადაზრდილი მონაყოლი ყმედობდა ექცია, როგორ მიაგნო ოდესღაც მღვრიე ფონს და რა ხრიკებით დააღწია ხრიოკებს თავი. ამიტომაც დუმდა. იმ გამორულ სცენებს მაინც ვეღარ გააცოცხლებდა, გრავიურებს რომ შემოენახა, ცხოვრებას კი მოგონებებდა გარდაესახა. ვეღარც მეომრულ სულს ააღორძინებდა იმ ტერიტორიაზე, გზისპირა დუქნების ტაფ-

ების შიშხინი დენთის სურნელს რომ აგონებდა.

შოშიტა კი ამ სურნელებს ფიქრებიდან გამოჰყავდა. უცნობმა ასულმა თუ ისურვა, აქ დაეპატიჟებ სადილადო, გადწყვიტა მან და სასაუზმის აბრას ახედა. უცებ წვიმამ დასცხო და თავი პავილიონს შეაფარა. ყაზარმის სანვიმარი მიღებიდან წყალი უხვ თქეშად მოჩქეფდა, თითქოს სახურავზე გამართულ ბრძოლაში დაღვრილი სისხლი ყოფილიყო. სანიღვრე ჭისკენ მიმართულ ნაკადს ალისფრის არაფერი ეცხო და ფერფლივით ნაცრისფერი დაჰკრავდა. ჩრდილები ისე ცახცახებდა, გეგონებოდა ზღურბლთან ურიცხვი მტერი მოგროვილიყო.

წვიმამ რომ გადაიღო, შოშიტამ გზა განაგრძო. მან კრძალვით ჩაუარა პატარა ბაღის მერხზე მსხდარ შეყვარებულებს, რომელთა კოცნის მგზნებარებებს ვნების სიღრმე განაპირობებდა. ისეთი იდილია შექმნილიყო, სხვისი შემოხეტება კი არა, ნიავსაც არ უნდა დაებერა. ყოველი მტრისი ზედმეტი იქნებოდა ამ სრულქმნილ მოზაიკაში. ფერადი ქვებით მოპირკეთებული აუზი ქალთევზათა ტბორს ჰგავდა, თავზე ოქროს მტვერი რომ დასტრიალებდა. ვერცხლისფრად გაკანრულ ქვეშ შეხვეები წყლობად ეფრქვეოდა, რათა მოსაწყენი ამბები, უვარგისობას რომ აღებეჭდა, დაეწყვება მისცემოდა. შოშიტამ ძირს დაყრილ კენჭებს გადახედა, ამას გროზა ფარალა კედლებში ღრეჭების ამოსაგმანად გამოიყენებდაო, გაიფიქრა. აუზთან გუბებში დგებოდა. ბავშვები ბოტებს ისველებდნენ და ეს იყო მათთვის უმალესი კატეგორიის გართობა. შოშიტა ყველაზე მეტად აქ სადმე ელოდა უცნობი გოგონას გამოჩენას, მაგრამ ბაღის რომ გაცდა, საქმიან ეზოში ამოყო თავი. შარვლის ტოტები რომ არ დასყვრდა, ფეხსაცმელებში ჩაიტანა. სანამ გასასვლელის ჭიშკარს მიადგებოდა, მაზუთიანი ტალახი უნდა გაეტოპა, უცხო შეფერილობით რომ ბრჭყვიანობდა, გეგონება, მოოჭვილი ცის ანარეკლი ყოფილიყო. თუმცა ცის წარმოსაჩენად ლაფი როგორ ივარცხებდა. მაზუთის დაქვევის მიზეზი იქ მდებარე სალოკომოტივო დეპო აღმოჩნდა, სადაც განძელებს ჟღენთდნენ, ტუმბოებს პოხავდნენ და რესორებს ზეთავდნენ, მთელი ეს დაღვრილი სითხე კი თავაზს ერთვოდა. დანადგართა ქმნიას ხმა მამინაც ისმოდა, როცა შესვენებაზე გამოსული მუშები ბურღულის ფაფას შეექცეოდნენ. ან კი სხვა რა უნდა ეჭამათ. მათთვის კვრადღე არ არსებობდა. ცხოვრება ჭირდა, შემოგარენი სილატაკეს მოეცვა და ყველა პარამეტრს გადასწვდნოდა. ღარიბთათვის განკუთვნილ მიდამოს რუხი ფერი ჩრდილებისთვის გამოერთვა, სუსხი კი მთებისგან ესესხა.

შოშიტა ერთხანს განაგრძობდა ხალხმრავალ ადგილებში ტრიალს, იქნებ უცნობ თავყანისმცემელს გადაჰყოფდა. იგი მომლოცველს ჰგავდა, ჭკურტას მიცემული მშერეული სკამის, ძირგავარდნილი ყუთის, ან სხვა რაიმე გატეხილ საყოფაცხოვრებო საგანს, თითქოს სცენაზე მეორადი საქონლის ჩვენება იმართებოდა. ხეებქვეშ ძილს ნაჩვევი მანანალებიც გამოფხიზლებდნენ ხოლმე, მღვიმარების საათი რახან დაგვიდგა, ბარემ ხეირს ვეწიოთო. ნაპირის გასწვრივ ნარჩენებს აგროვებდნენ, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდებოდა. საქმეზე გული აეყარათ და მის ბოლომდე მიყვანას თავილოდნენ. საქარხნო დასახლებაში თუნუქის ნაჭრები ოხრად ეყარა და შემგრეოვლები ჯართში აბარებდნენ. ინტელიგენტს ასეთ შარიან ადგილებში სჯობდა სტენით ჩაველო. ღარიბთა უბანი იყო, ოხვრის სამეფო, შემალლებულ გორაკზე მონასტრით, ყოველ განთიადს ათონის ათინათი რომ დასტრიალებდა, მაგრამ კომერციულ ყაყაბში იქით არავინ იყურებოდა. მშიერთა მითქმა-მოთქმა მწერების ზუზუნით გაისმოდა. წელში მოხრილები ცხოვრების სიმძიმეს გაეტანჯა. მათი სახლები საბძლებს ჰგავდა ჩამპალი საძირკვლებით. ხალხით გაძეძილ ბუფეტში საყოფაცხოვრებო სიმყარულს იაფფასიანი ვინიანის ორთქლი ფარავდა. ცხოვრებინი ცხოვრების ზენოლას შეჰგუებოდნენ, ათასგვარ დათმენას რომ აიძულებდა. ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს კეთრი შეჰყურათო და ისე ცოცხლობდნენ, გეგონება, სასჯელს იხდიანო. ნოტიო საბნებში ეძინათ და მშრალი მარცვლულთი იკვებებოდნენ. ნუთუ შეილება ციცი მისთვის აჩენენ,

აქ ტოვებდნენ. არადა ისეთი სიძვირე იყო, მხოლოდ წერილმანს თუ შესწევდებოდნენ, მთელი ნუსხაც რომ სდომებოდათ. ნოქრებს დაბღვერილი უმზერდნენ და დღე განბილებით თავდებოდა, როგორც მშფოთვარე ამინდს აგვირგვინებს ჭექა-ქუხილი.

მიმდებარე შენობის გრძელ დერეფანში უსახური ხალხი ტრიალებდა. ვერც კი მიხვდებოდი, რომელ ფენას ეკუთვნოდნენ. დედაბრებიც ბლომად ირეოდნენ, დღისით თავი სამშვიდობოს რომ ეგონათ, მაგრამ მოწყალეების თხოვნით დაღლილები შუადღისას უკვე დაღამებას ნატრობდნენ. მძიმე სხეული ტვირთად ჰქცეოდა და მწუხარებდნენ, რამეთუ ვერც შთამომავალთა პატრონობა შეძლეს, მათ გზას რომ არ დასდგომოდნენ და თავიანთ თავსაც აიძულეს, მრავალი ტანჯვისთვის გაეძლოთ. საღამოობით დაბრეცილ ქოხმახებს ბარბაცით აკითხავდნენ, თითქოს აქ ძალად შესახლდნენო. სევედისთვის ათასი მიზეზი ჰქონდათ. სახე არსებობაზე ზრუნვამ დაუნაოჭა, სარჩოს მოპოვებას კი უმწეო მტაცებლებად ექცია. თვალეში სიცოცხლის უკანასკნელი დღეების ნაპერწკალი უკრთოდა, თითქოს აკვანძივით დაემუნებინათ და როგორც მტვრიან გზას, გატრუნულები მიჰყვებოდნენ კუბოსკენ მიმავალ სიცოცხლეს. ბელტების ყურებას შეჩვეულნი თავის წამოწევას არც ცდილობდნენ. ასე უჯიათად უნდა ეცხოვრათ უნიათობით გატანჯულებს.

მერე შოშიტამ რომელიღაც მოქმედ სამქროს ჩაუარა, დანადგარს შუქი დამრეცად რომ ეცემოდა. ცილინდრი მონოტონურად ქმინავდა და სწორედ ხმაურის გამოისობით იყო, ყურადღებას რომ იქცევდა. თუმცა რა ცხოვრება ჰქონდათ, ის გახმობენა მიმდინარეობდა. საამქროში ქვის ქანდაკებებს თლიდნენ საჭრელთა და ფიტულებსაც ამზადებდნენ. აი, თურმე სად ყოფილა მათი წარმოშობის ადგილი. შოშიტამ რაღაც ახლობლური იგრძნო. მერე იქვე მდგარ ხელოსანს შეხშიანა: ეტყოდა, დასახეთია, ისე ჭრიალებს!

მაგრამ ხელოსანს, ღუწე საქმიანობით რომ იყო დაკავებული, ერთგვარვანებით გაბეზრებული ნაკვთები ჰქონდა და ხმას არ იღებდა.

— როგორ ჰგვანან ცოცხლებს! — თქვა შოშიტამ.

პროცესი არ ჩერდებოდა და ორთქლიც ამის თანმდევი იყო, მაგრამ განა წებოს ძალუდდა სიცოცხლის შთაბერვა და შენარჩუნება? მერე უკანასკნელად მიმართა ხელოსანს, ზეგანი სად თავდებო.

— აგერ, იქ! — უპასუხა მან და სახურავებით დაფარულ მინდვრისკენ მიუთითა. ესოდენ ჩახლებილი ხმა საქარხნო ზონაში მცხოვრებს თუ ექნებოდა, ჩარხების მონოტონური ხმაური რომ გადაეფარა. უბანს ოლოლოლოების ბუნდოვანება ახლდა. არხში ჭუჭყიანი წყალი მიჩქეფდა. მღორე დინება დროდარო მდარე ხარისხის ნივთებს ჩამოატარებდა ხოლმე, ფეხმომტვრეული სკამს, ძირგავარდნილი ყუთის, ან სხვა რაიმე გატეხილ საყოფაცხოვრებო საგანს, თითქოს სცენაზე მეორადი საქონლის ჩვენება იმართებოდა. ხეებქვეშ ძილს ნაჩვევი მანანალებიც გამოფხიზლებდნენ ხოლმე, მღვიმარების საათი რახან დაგვიდგა, ბარემ ხეირს ვეწიოთო. ნაპირის გასწვრივ ნარჩენებს აგროვებდნენ, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდებოდა. საქმეზე გული აეყარათ და მის ბოლომდე მიყვანას თავილოდნენ. საქარხნო დასახლებაში თუნუქის ნაჭრები ოხრად ეყარა და შემგრეოვლები ჯართში აბარებდნენ. ინტელიგენტს ასეთ შარიან ადგილებში სჯობდა სტენით ჩაველო. ღარიბთა უბანი იყო, ოხვრის სამეფო, შემალლებულ გორაკზე მონასტრით, ყოველ განთიადს ათონის ათინათი რომ დასტრიალებდა, მაგრამ კომერციულ ყაყაბში იქით არავინ იყურებოდა. მშიერთა მითქმა-მოთქმა მწერების ზუზუნით გაისმოდა. წელში მოხრილები ცხოვრების სიმძიმეს გაეტანჯა. მათი სახლები საბძლებს ჰგავდა ჩამპალი საძირკვლებით. ხალხით გაძეძილ ბუფეტში საყოფაცხოვრებო სიმყარულს იაფფასიანი ვინიანის ორთქლი ფარავდა. ცხოვრებინი ცხოვრების ზენოლას შეჰგუებოდნენ, ათასგვარ დათმენას რომ აიძულებდა. ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს კეთრი შეჰყურათო და ისე ცოცხლობდნენ, გეგონება, სასჯელს იხდიანო. ნოტიო საბნებში ეძინათ და მშრალი მარცვლულთი იკვებებოდნენ. ნუთუ შეილება ციცი მისთვის აჩენენ,

მინურებში რომ აცხოვრონ, გაიფიქრა შოშიტამ, ბედი აშკარად არ უნდა სწყალობდეთო. ამ სცენების გამოსახვას მღვრიე საღებავები დასჭირვებოდა. სანვიმარ მიღებს საღებავები დაჟანგებოდა. კარიბჭეებიც დაეგმანათ, სანამ ის ხელი არ გამოჩნდებოდა, მიტოვებულ კარ-მიღამოებს ჭრილით რომ შეაღებდა. შოშიტას უბანში კი ბლომად გაქეცილი კაცები ცხოვრობდნენ, რომელთა ცოლებიც ოქროს ზანზალაკებს მოაჟღარუნებდნენ, განსხვავებით აქაური ქალებისგან, მოქრული სამკაულებით რომ აღჭურვილიყვნენ. ასე მოიხილა შოშიტამ ლატაკთა სამეფო, მის დედოფალს კი ვერაფრით მიაკვლია. იგი მრავალთა გადაწყვედა, წარწყმედის გზაზე შემდგართ, ყოფით საქმეებში გამოჯეკილები რომ იყვნენ და სხვა ყაიდაზე ვეღარც იცხოვრებდნენ. ქუჩის ბიჭები ბრიყვული კოდექსის ერთგულნი რჩებოდნენ, რომელთა მუხლები არსად წაეკითხათ, მაგრამ წესებს ისე სათუთად იცავდნენ, თითქოს მოზაიკას დასტრიალებდნენ. ისინი რომ გამოჩენილიყვნენ, სცენა შეურაცხადებისთვის უნდა დაეთმოთ, ცხოვრება განუწყვეტელი ფსკერისკენ რომ უბიძგებდა. საჩვენებელ მხიარულენაბას საყრდენი გამოსცლოდა და თუ დაიძირებოდნენ, საბოლოოდ, მერე ზედაპირზე ამოღწევას ამაოდ შეეცდებოდნენ.

შოშიტამ ერთხანს კიდევ იარა, მაგრამ არავინ გამოჩენილა. ამიტომაც ხელი ჩაიქნია და შინ წავიდა.

5

მისი უბანი სულ სხვა იყო, ძვირფასი ფეშენ-სასტუმროებით აღსავსე. ტურისტებს აქ ურჩევდნენ დაბინავებას და მასპინძლებსაც ღირსეული ქცევა მართებდათ, ტრადიციული პენის შენარჩუნებით შთამომავლობისთვის მაგალითი რომ მიეცათ. ზეგნის მოსახლეებს კი არ ჰგავდნენ, წარმავალი სხივებით წარმოჩენილ მდაბიოთა უბადრუკ ნაშთებს. ამაყნი და წარმატებულნი იყვნენ.

შოშიტა სახლს რომ მიუახლოვდა, მცირე ხნით ეზოს მერხზე ჩამოჯდა. ბაღის შუაგულში მდგარი ქვის მაგიდა პრიალა ზედაპირით იქცევიდა ყურადღებას, გეგონება ყველაზე მნიშვნელოვანი ბაასი აქ უნდა გამართულიყო, საბოლოო სიტყვა კი მაშინ ითქმებოდა, როცა წამოსვლას დააპირებდა. ჩამქრივილები ხეები იმგვარად ეტკორცდა, ქმნიდა, თითქოს მათ შორის გაჯგვიმულ ხალხს უნდა ესეირნა, ერის კეთილდღეობაზე ემსჯელოთ. მათთვის ყური უნდა მიგვედო, მიუხედავად იმისა, რომ ახალს არაფერს იტყოდნენ, თორემ ვერც შეატყობდი, რას ფიქრობდნენ და განიცდიდნენ. რეალურად სსოვნა შვა, როგორც ცეცხლმა ბოლი და წარსულის ფრაგმენტებიც უფერულდებოდა სრულ გაქრობამდე. შენობების გასწვრივ, მოკირწყლულ ქვაფენილზე ქალბატონები წამდაუნუნმ დადიოდნენ მალაქულსიანი ჩექმების ბაკუნით. კედლებიდან ასხლტები ექოს მისთვის ლამის თავის ქალა გაეხვრიდა. ასეთი ხმა გაისმის ხოლმე, როცა წერაქვევით ნამარხის ნაშთებს თხრიან. იგი მძიმედ წამოდგა და სადარბაზოში შესულმა კიბე დინჯად აიარა. ბინის კარი ხელის ოდნავი შეხებით გაიღო.

— რა ჯანდაბა! — აღმოხდა მას, რადგან ზღურბლიდანვე შენიშნა იატაკზე მიმოყრილი ნივთები. შუქი ვერაფრით აანთო, ეტყოდა, თავის დასახლვევად სადენი წინასწარ გადააჭრათ. მერე ფანჯარა გამოალო და ჩრდილივით გაბაცდა. პირველად რაც თვალში მოხვდა, ძირს დაყრილი ნივთები იყო. მის გარდა ყველაფერი ნაელოთ, პორტფელიც კი საბუთებით. ნეტავ რა ჯანდაბად უნდოდათ, გაიფიქრა მან. შოშიტას ძალა რომც მოეკრიფა, სახლი თავიდან იქნებოდა მოსაწყობი. ამისთვის ნაკვეთს თუ გაჰყიდდა, მაინც არაფერი მიადგებოდა. მერე კი ჩაეცინა:

— რა ადვილად გამაბითურეს! ახია ჩემზე! აბა, რალა დროს ჩემი გოგონები. ჯობდა, ცოლი მომეყვანა! — ამ სიტყვებზე იმ ქალის ამბავი გაახსენდა, ზღვისპირა ქალაქში აბაზანის კარი რომ ჩაეკეტა და ისტერიკა მოერთო, ქმარი რომ მყოლოდა, კარებს მაინც გამიღებდაო. საღამოს რის ვაი-ვაგლახით უშველეს მეზობლებმა, საეჭვოდ დიდხანს რომ აღარ გამოჩენილა. კარი შეემტვრიათ და გულწასული მოესულიერებინათ.



ლია სტურუა

ზოგჯერ სახის ნაკვეთები შეთანხმდებიან,
რომ უკეთესი გამოგაჩინონ,
ვიდრე ხარ და თუ შუაში
ცხვირი ამოდის კეხიანი, უჯიშო ბურქივით?
ვინაობას კი ამძაფრებს,
მაგრამ მელოდის არღვევს,
რა უნდა ქნა?
ქვა ესროლო საკუთარ თავს,
საგარეო სახე გაიტეხო?
ნამდვილი სახლში გიდევეს
და თვალების დაეღმებამდე გტკივა,
ყურადღება მოაკლდა,
მასკულინური ქუჩის ყურადღება,
როგორც იყო, როგორც არის —
კაცები გლობუსების მიწაზე გიჟდებიან,
ქალები თავზე ტვინგადავარცხნილ შვილებზე,
მდედრობითი სქესის ნაპერწკალს
სულაც იქრობენ, ხანძარი იცის,
ხანძარმა, კიდეც, კაუჭი გულზე,
ამისთვის არ მიდიოდნენ ჰარმონიაზე
სახის ნაკვეთები?
და მორჩა. დამტვრეული კაუჭი მიწაში!..
კი, მინა ბოლო სიმართლეა,
მაგრამ ჩემი მკვდარი ნიგნშიც მყავს,
ამ ნიგნზე ვარ კბილებით ჩაფრენილი,
რომ 0 გრადუსზე დაბალ გულგრილობაში
არ ჩამივარდეს, რომლის გათბობას
რა უშველის, რამდენი დანტე?
ან რამდენი ტონა სიყალბე ყვაილების?
ოჯახები ისედაც ყვაიან...

დეკადანსი

გარეთ იყურები, ვერლენით თვალბში,
წვიმა, მართლა, ნიუანსია და არა სტიქია?
ზამთრის ამინდი ერთი ტონით დაბალი,
ერთი ჩიტით საწყალი
შემოდგომის ნელთბილ დღეზე?
და „სხვა დანარჩენი ლიტერატურა“?
ფუფუნება, სანამ ცა ამოგენურება?
ტანის ნანგრევებიდან, სადაც
გენი გიზის და რალაც მეტაფორული სისულელები,
ერთი-ორი ბავშვი კიდეც აშენდება,
თავზე გუმბათს დაიდგამენ,
უნივერსიტეტის სტატუსს მიიღებენ
და გააჭენებენ, როცა იქვე
აკადემიურობას უცხოებენ, პურივით,
ლოგიკის კურსს ბიუსტები უკითხავენ,
(ნახევარ ტანს კათედრა უჭამთ)
მერე ელფერები და ნახევარტონები?
„სხვა დანარჩენი ლიტერატურა“,
მსხალი რომ გაკბირო
და სამკუთხედი შეგრჩეს პირში?
ამ ყველაფერზე
გაფრენილი მანიფესტების შემთხვევები?
ასეთი დეკადანსი,
სანამ ცა ამოგენურება...

გამოსასვლელი დღეები მოგისაჯას

რეკოლუცია მშვიდია და უკანმოუხედავი,
ფეხებიდან მონები ამოყავს: წითელი და წითელი
ლურჯ ბალახზე რომ გაატარო,
ვითომ, აღარ მოგკლავენ?
დავინყოთ იქიდან, რომ ერთხელ
უკვე მოგკლეს, გაზაფხული იყო,
ბალახის მკვიანა აბრეშუმს
სისხლი შეახოცე
და სივრცესავით შეხვედი სახლში,
თითქოს კარები ჩამოიღე ანჯამებიდან.
ვინ გაპატიებდა?
კედელთან რომ მიეყენებინე
და კედელი მოეკლათ?
აგურის იყო, სისხლს იოლად ითამაშებდა.
რა თამაშზეა ლაპარაკი,
როცა მონები: წითელი და წითელი,
სისხლზე დაგემილები მოდიან!
საქონელი უკვე შეჭამეს,
თავის მინდვრიან-ბალახიანად —
(შენი ლურჯი ანომალია),
ლექსი არ დაგამთავრებინეს
და ასეთიც ვილას უნდიახარ,
კულმინაციის მარყუჟით კისერზე?
არც სისხლი, აღარც მისი კამკამა გემო!
გამოსასვლელ დღეებში გტოვებენ,
საიდან გამოსასვლელში?
მარტობიდან?

რაც არ ისწავლება

ჩემს თავს ვეკითხები: — როგორია,
ერთი ქუჩა რომ ზაფხულის გაქვს,
მეორე — ზამთრის.
ასეთი კონტრასტი სისხლძარღვებს
არ გაგლეჯს?
დროს თუ შეესაბამება, სამივეს,
პასუხი მარტივია: ასაკის ახირებები,
თუ არა და, მსაყვედურობენ,
ვისაც ლექსის ანატომია ვასწავლე,
რაც არ ისწავლება, ჩემთვის დავიტოვე,
ლმერთმაც ხომ მოგვცა
ქვიშის საათივით ტანები,
მაგრამ ქვიშა სად გამოზომილად წვეთავს,
სად ანარქიულად ჩხრიალებს,
მარტო თვითონ იცის და იმან,
ვისაც ერთი ქუჩა ზაფხულის აქვს,
მეორე — ზამთრის, პარალელურები,
მაგრამ ერთმანეთს კვეთენ,
ამ აბსურდის მაღალ წერტილში
ვდგავარ მე, ალისფერი სოლო!
როცა დავიღლები, ვინმეს ვთხოვ,
ორმო მომიტეხოს, უფრო იმას,
ვისაც ლექსის ანატომია ვასწავლე,
რაც არ ისწავლება, ჩემთვის დავიტოვე,
ორმოს გამინათებს...

არ იყილება

ნაცნობი მხვდება, მეკითხება: როგორ ვარ?
მერე მეორე, ზუსტად ასეთივე,
ზრდილობის გულსთვის შეკითხვებს
ფეხს ვადგამ და ვაგრძელებ გზას,
არ გამოდის სინქრონულობა
ყოფის და შიშის, რომელიც
დილიდან მჭამს, სახლიდან მაგდება,
რომ იმასაც დავადგა ფეხი, დავთრგუნო,
ცოტა ხანს კიდეც ამ ტყუილით ვიყო,
შეიძლება, პასუხების რიტუალიც კი ვიცეკვო,
ინკუბატორების ჭარბი პროდუქციისკენაც გავიხედო,
ცალობით ნიჭიერება და სიგიჟე იყიდება,
უფრო სწორედ, ვერ იყიდება.
თხელ ნიგნებში ჩატანებულებს შიში ჭამს,
ტომეულები სხვა აგურით შენდება
ვითომ, ენათესავებიან ერთმანეთს?
რას ამბობს დნმ-ის მასალა?
სად არის სახლი? ის, ჩემი და არა ნათხოვარი,
სადაც ჭერზე ერთ ნაბიჯსაც
ვერ გაივლი, შეთვრებულა, რეალისტია,
უბრალოდ, ჭერია, კედლებიც სხვისი,
2 ზომით დიდი ტანსაცმელივით.
მეშინია ამ კორპუსების ანთოლოგიაში
არ შემიტანონ,
თორემ რამე ტროპი წამომცდება, და დავუნგრევ
ფართობის კვადრატულ კმაყოფილებას,
სიმამლის ქიმიას!
თხელ ნიგნებში ჩატანებული
მტკივა მყესები, ძვლები, ნერვები,
რაც არ იყიდება!
მაფრთხილებს აყვავებული
სამოქალაქო სამართალი.

ალმატაბითი ხარისხი

ეს ქუჩა მიყვარს,
პათოსს რომ ძახილის ნიშნები დააგლიჯო,
ისე მიყვარს,
თავის მანქანებიან-ძაღვებიან-ხეებიანად,
სახლიც მარტო ინტერიერი ხომ არ არის:
მინიმალისტური, ან ვინტაჟური,
ჯერ ბუნაგია,
სადაც ტკივილს წაუწვები,
სალოკ თითს პირში ჩაიდებ
და გამოიზამთრებ.
ვითომ, ციხე-სიმაგრეც არის?
კიდეც რომ იყო,
ჩაკეტილობას შუშაბანდები უბათილებენ,
ვინ ააშენა? ვილაცამ, ჩემისთანამ,
ერთი ხანძარი რომ ამოაჭრეს მუცლიდან,
შუშაბანდები მზეს მიუშვირა
და მეორე გააჩინა,
ერთი ჯიშის ვართ:
საშუალო ტემპერატურა 37.7,
შინაგანი ორგანოების მუდმივი ანთებები —
ნაიკითხეთ: ცეცხლის შესაძლებლობა.
ვთქვათ, გადამძალა ციხე-სიმაგრეობამ,
სინათლე აღარ იკითხება,
შუშაბანდს შევიდგამ მხრებზე
და ვივლი ასე, უსახლკარო,
უცნაურობათა მუზეუმის ექსპონატი,
გაუჭირდებათ?
გამცვალონ რძეში, შაქარში, თეთრ პურში —
ნათელ საგნებში
და აღარ გააგრძელონ უნიჭო აქციები
ალმატებითი ხარისხის წინააღმდეგ...



ცხოვრებამ მაშინ შემომხედა მე გაცოცებით,
გაბადრული რომ გაინმინდა თვალზე სათვალე.
მე მივაშუქე მას კამიუნაკითხი ჩემი თვალები
და მასში „იგი“ ამოვიცანი.
განსმლომი სულ სხვა არსებები ბევრნი ყოფილან.

მელქისედეკ I-ის ქუჩა გამოვიარე,
შევდექე... დავაკვირდი, ორპირი იყო...
ქარიც და ადამიანიც.
რა გასაკვირია, ამდენი ხედვის ნიჭია ჩემში,
მე ხომ ბავშვობის სული მინდა,
ნამოვებრძანო თეთრი გორგალით
აფხაზეთიდან,
რომ მერე ნიამ, ტოგონიძის რომანის გმირმა,
გაითავისოს,
გაითამაშოს ჩემი განცდები თავის სპექტაკლში.

მე ხომ არ ვიცი, ხვალინდელი მზის ამონევერა
როგორ შუადღის ანჟამებმანს ამოაყოლებს.
მარტო ვარ მუდამ ჩემს ფიქრებთან,
ჩემს აქატებთან.
...და ველეავ ზღვისებრ,
სანაპიროზე აუცილებლად გამოსარიყი სევდების გამო.

წვიმისგან სველია ეს სხეული,
თავშესაფარებლად მინდა ტვერი,
თითები მკლავებთან მომწყვედულნი —
ბედი და ცხოვრება — მინოტავრი.

ლექსები უნდა გადავკრა გულს,
თავებჩაქინდრულნი არიან და...
ლაბირინთებში გადაკარგულს
დამეხმარებოდა არიადენე...

ვარსკვლავს მოლიცლიცე უძგერს გული,
ლამით თეთრ მთვარეში შევა ხმებად,
ჩემში ფიქრთცვენაა უხერხული,
სულში გაზაფხული შემახმება.

გადასატანია ჩუმი ეჭვით
ასე წვიმიანი ოქტომბერი,
მინას შერჩენია ანაბეჭდად —
ფოთლის ოქროსფერი ოქტავ-ბგერა.

ასე ჭრელა-ჭრულა ფერადებით
ჩემი შემოდგომაც მოიმღერის,
ანეკერჩხალდება მერამდენედ
ცეცხლი გულში და ყელს მოიღერებს.

მზე ზეცის ღანვებს როცა შეფაკლავს, —
იასამნისფერ ამეთვისტოსფრად,
სევდიან ღამეს გამოვდებ ხელკავს
და შენზე ფიქრი ამეთვისება.

ღრუბლის სველ სურვილს ჩაიცვამს ტანზე
შიშველი მთვარე ამ გრილ ღამეში,
მე მომინდება ვარსკვლავთან ლოცვა
და თვალს შევავლებ ვით გილგამეში.

სულდაფლეთილი სხეულის ძრწოლა,
როცა ტკივილი წამებს უკვდება,



ნამს მოსწყინდება ბალახზე წოლა და ჩემს თვალზე ნამოსკუპდება.

ცას მივეახლე ამეთვისტოსფერს, დადლილი სული ისევ ელის მზეს და უბრუნდება შიშველ სტრიქონებს ომგადახდილი, როგორც ულისე.

ჩემო ღმერთისფიქრება ლექსებო, ჯერ რომ არ დამიწერიხართ, სად ხართ... რომელ ათასწლეულში იმალებით, როდის დაინერებთ უჩემოდ... ვინ დაგნერო, რომელი აკვამარინის გაზაფხული, რომელი მდოგვისფერი შემოდგომა, რომელი ცის წერო... რომელი დღე აგამზიანებთ მწველ სტრიქონებად. იქნებ წარსულის თებებს ციკლიდან ხართ გადმონაშთი, ან ბუკოლიკურ რომანებში იხეტიალეთ და ღონმიხდილი მოხვედით ჩემთან, თვალბედათხრილი. ქუჩაში ვდგავარ, ვის შევაშუქო ლექსდაწერილი ჩემი თვალები. ვინ წაიკითხა ღმერთისფიქრება მზერა პოეტის.

როცა შეწყდებიან ხეებს ყვავილები, მზე გაიბადრება მთვარეში, ლოცვად შეეცვლება ნიავს თავის ნებით უხემ ქარიშხლების თარეში.

მაისს გაელუმბა ღილი საკინძესთან, მალე ჩამოწყდება ნასესხებს, ავანტურინისფერ ფოთლოშრიალს სხივი სათავისოდ აქეზებს.

ხეებს დაებრათ მკერივი კვირტმუცლები, მე კი ელუარი მაშფოთებს, სანამ მშობიარე მოვა შემოდგომა, ლექსებს ნაწუკითხავ მშრალ ფოთლებს.

იასამნების სეზონია, მეც ლექსს ლამაზად დავუწერ და... ფუნჯი აცეკვდა სეზანურად, იას სამანი დაუნესდა.

სულს შენს სიზმარში შევლილი აქვს, ახლად ელოდება ახალ ღამეს, ზეცა ჭკუიდან შემოლილია, მერცხლის წამწამებს ახამამებს.

იასამნების ბალებიდან ასე დაინერა გიტანჯალი, სულელები სარკმლებს ალებენ და ფრენენ, თავს აღარ იტანჯავენ.

პირთამდე სავსე ვარ ფილა, დამღვარე, ახლა — შემსვი, ანდა... მთვარემ ვერცხლის რიდე აფრიალა, ღრუბლის კარავში შესრილადა.

სხაული — ჩვენი სულის მათარაბელი

მოვიცვი სხეული და თვალი გავახილე, ანუ დავიბადე. რომ არ მომეცვა, ესეც შეიძლებოდა. არა უშავს, უბრალოდ, ლამაზი სხეულია, გაფეტიშებად არ ღირს. სულია მთავარი. ანუ, არ ღირს ადამიანის გარეგნობით, ე.ი. ლამაზი ტანსაცმლით შეფასება, რადგან რაც სხეულისთვისაა სამოსი, სწორედ ის არის სულისთვის სხეული — სული უპირველეს ყოვლისა! ისვენებს სული? ძნელი სათქმელია. განა სხეული უფრო მაშინ არ ისვენებს, რაც ნაკლები სამოსი აცვია, ან სულაც მაშინ არ იყო უბედნიერესი, როცა არც სირცხვილი იცოდა და არაფერი და ტიტლიკანა ჭყუმპალაობდა ზღვაზე? ბავშვობა დაკარგული სამოთხეა. ამიტომ, სულიც იღლება სხეულით — სხეული კი არა, სული იღლება და სხეულს გადასცემს ამ მუხტს. სული დავასვენოთ და სხეულიც დაისვენებს. ლამაზ სხეულში? სულიც ლამაზია ზოგჯერ, მაგრამ გარშემოყოფები — სილამაზით გაბრუებულები, არ ასვენებენ, სულს ხდიან, ლამაზ სულს კი სურს, ლამაზსავე მონათესავე სულს ჩაეხუტოს, სხეულთა ჩახუტებაც ხომ ასე მშვენიერია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა სული სულს იპოვის.

კათარზისი

ო, კათარზისი სჭირდება ყველას, მაგრამ მე უფრო, რომ ბოლობოლო საკუთარ გრძნობებს კვლავ დავეუფლო. რომ ვაკონტროლო ჩემი ფიქრი, გრძნობა და გონი, თორემ ჭკუიდან შევიშლები, ასეა, მგონი. ბედნიერება ზოგჯერ მოსჩანს ისეთი შორი! გაკერპებას და მსხვერპლმენიერვას ჩამდგარა შორის — ასეა: უნდა გაგაღმერთოს ვიღაცამ, ანდა თავად საკუთარ გულის კარის ასწიო ფარდა.

ფენიქსი

ჩემი თმის ნაზი აბრეშუმისგან მე ახალ გზებზე გავეშურე და იდუმალეზა ვთხოვე სიჩუმეს საგზლად ნავილე სულის.

ჰო, არ ისმოდა ჩამიჩუმი და ხეების ნაზი შარბიშურიდან ჰო, დაიბადა ეს ოცნება და ჰო, დაიბადა გული.

მოვიდა ისევ ჩემთან მადლი და თურმე, მცოდნია დროის ყადრი და ახალგაზრდობის ვარ კვლავ კადრი და ახლა მაისი მოდის.

აღვსდექი მკვდრეთით, როგორც ფენიქსი, ქალი ქალობას ისევ ვერ იშლის. ახლა გავხდები მე თვით ფეტიში ვან-გოგის, მონეს, მოდის.



მაკა ლომაძე

ვენერა

ტალღებმა მომასხეს მანტია, ჩემ ტუჩებს სიმლაშე ატყვია.

განა, ისევ ცივა? მარტია? ის დღეა, რომ გვინატრია.

სითბოა, სიტკბოა, სინათლე და ყველას ძალიან გვიმართლებს!

რადგან გაიხსენეს ვენერა, ომია, ჭირია? მერე რა!

თვით ქალღმერთმა დაჰკრა კვერთხი: ყველას უყვარს ერთმანეთი!

გზებზე მოსჩანს ქარვისფერი, ოქროსფერი ხალიჩა, მაგრამ რა ვქნა? მარტობას ისევ ბოლო არ უჩანს. ზოგმა ქალმა შემოდგომის ხილიც დააჩამიჩა, ნეტავ, ჩემი სიჭაბუკე ამ წლებს თუ გადაურჩა? მიყვარს თითქმის ყველა ხილი, მიყვარს მჭავე ალუჩაც მაგრამ მინდა dolce vita, ველოდები მანუჩარს. მოდი, ჩემო კუპიდონო, შენი ისრით გახლიჩე ეს ამაო მარტობა, მომიფრინე ხალიჩით ჩემი ტოლი თანამგზავრი, რაინდი და დენდი, ჩემი პრინცი საოცარი, ჩემი ერთადერთი.

არიელი

მისი სულის აკვარიუმი კამკამაა, სრულიად გამჭვირვალე, მისი სულის სარკესავით. ბევრმა სცადა, განბანილიყო, მაგრამ ისინი ისევ ჭუჭყიანებად დარჩნენ, ის კი სუფთად. როგორი ტკიპებიც უნდა მიეკრან, კამკამაა, რადგან თვითგანახლებადია, ტბა როდია, მდორე, ჩამყაყებულო, არა, სულ იცვლება, სულ პირველ-იქმნება. ამიტომაც, იზიდავს, როგორც ათასფერება ლამაზ თევზებს, ასევე ღორჯოებსა და ლოქოებს. მაგრამ, საბოლოოდ, გამოჩნდება ის ნამდვილი პრინცი, რომელიც მისი სულის აკვარიუმი მცხოვრებ არიელს დაამშვენებს და ეს აღარ იქნება ქვიშის კომკები, არამედ სულის ნოტიო, აყვავებულ, ნაყოფიერ, ოაზისში აშენებული მყარი სასახლე, რომელიც მუდამ ანახლებს სიყვარულს, სიხარულს, ჰარმონიას. და ეს იქნება ყველაზე ნამდვილი ქორნილი — ზღაპრისეული, მითიური და ამავე დროს, ზე-რეალური, რე-ალური, ა-ლური, ქ-ალური...



ნიკოლოზ ცისკარიშვილი

სოკრატეს სიზმარი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ბავშვობაში, მონყენილობის გასაქარვე-ბლად ამბების მოყოლას რომ იწყებდნენ, ბევრჯერ მოუსმენია ეს ლეგენდა. შემდეგ, როდესაც წამოიზარდა, აეკვირებოდა აზრი, რომ შესაძლოა სადმე კვლავ არსებობს ადგილი, რომელსაც თავს მნათობი დანათის...

ისინი ქვისა და ცეცხლის სამყაროს ეკუთვნის. მათ გარშემო მხოლოდ ფართო კლდეები, ღრმული და გამოქვაბულებია, რომლებსაც ძლივს ანათებენ ჩირაღდნებითა და კოცონებით. მღრღნელებს იჭერენ და ცეცხლზე ბრანავენ; წყურვილს ანკარა წყაროს წყლით იკლავენ.

ამბობდნენ, რომ ოდესღაც ნათელი ცა ჩამოქვდა, გაქვავდა და გამოქვაბულის ქერად იქცა.

უსასრულო იყო ამ მღვიმეებისა და გამოქვაბულების რიცხვი, ამიტომ გზის დაკარგვის შიშით, იშვიათად ტოვებდნენ საცხოვრებელ ადგილს და თუ მაინც მიდიოდნენ სადმე, მუდამ ჯგუფებდნენ. ვინც ბედავდა და შორეულ მოგზაურობაში მიეშურებოდა, უკან აღარასდროს ბრუნდებოდა. სამყარო უსასრულო რაოდენობის გამოქვაბულისგან შედგებოდა, ყველა ერთმანეთზე უფრო ნესტიანი, ბნელი და ძველი იყო.

მას სურდა, მოშორებოდა, თავი დაედნია ქვისა და ცეცხლის სამყაროსგან და ენახა გაკაშკაშებული, ნათელი ცა, სწორედ ისეთი, მისი წინაპრები რომ ხატავდნენ: ზედ აბრიალებული მუშტისხელა სფეროებით.

მოგზაურობა თავიდანვე უიმედო ჩანდა. კარგად ხვდებოდა, რომ ვერასდროს მიაღწევდა ამ უსასრულო სამყაროს კიდეს, იქ, საიდანაც შეძლებდა და იხილავდა სამყაროს, რომელსაც სიბნელისა და ქვათა ტყვეობისგან თავი დაეღწია...

ახლა კი ბნელ, ვინრო გვირაბში რომ მიიკვლევს გზას, ამჩნევს მანათობელ წერტილს, რომელიც მიახლოებასთან ერთად ზომამა მატულობს და ფართოვდება. სათვალავი აერია, აღარ იცის, რამდენი ხანია მოგზაურობს, რამდენჯერ მოასწრეს დაძინება და გაღვიძება მის ქვეყანაში. ათასობით, ათათასობით გამოქვაბული გადასერა, მოიარა სრულიად უცხო ქვეყნები, გაცივრი უცნაური ჩვეულებების ხალხი, რომელთა არსებობის შესახებაც წარმოდგენაც არ ჰქონდა და ბოლოს, როგორც იქნა, ვინრო გასასვლელს მიაღწა, რომელში შესვლასაც ვერავინ ბედავდა, რადგან მუდამ ბნელით იყო მოცული და გასასვლელი არსაით ჩანდა. ეჩვენებოდა, რომ მთელი ცხოვრება გალია ამ ვინრო გვირაბში.

სინათლე სულ უფრო აუტანელი ხდება და ბოლოს უკვე თვალდახუჭული მიცოცავს წინ. ვინრო კედლებს ეჯახება, შეგრილებს თავით და ხელებით ედება, სისხლიანდება და აუტანელ ტკივილს გრძნობს, მაგრამ არ ჩერდება. მალე თვალდახუჭულიც ველარ უძლებს ნათებას, ცალ ხელს თვალზე იფარებს და ამ დროს საშინლად ცივ, მსუყე ჰაერს ისუნთქავს, რომელიც თავბრუს ახვევს. გული მისდის და დიდხანს მიქრის უსასრულო, უღრმეს უფსკრულში.

გამოღვიძებული ხედავს ცაზე საზარლად მოკაშკაშე ვერცხლისფერ სფეროს და უთვალავ მანათობელ წერტილს. ყურში უცხო არსების ღრიალი ჩაესმის, რაღაცით ქარის ქროლას რომ ჰგავს და მარილის მძაფრ სურნელს გრძნობს.

დგება და შიშით უახლოვდება მძინარე, შავ დემონს, მის წინ რომ განოლიდა. მასთან შეხებისას სისველეს გრძნობს. ხვდება, ეს წყალია, მაგრამ არცერთ იმ წყაროს არ ჰგავს, რომელიც უნახავს. ჩაიფიქვდება და ხარბად დაენაფება მწყურვალს, მაგრამ ვერ უძლებს მის საზიზღარ გემოს და ნაწილს უკან აფურთხებს — დემონის მთრთლარე, დაუდევარ ტანზე, მის სიღრმეში. მერე დიდხანს აღებინებს, სხეულში კრუნჩხვა დაუვლის და ღონემიხილს იქვე, ზღვის ნაპირზე ეძინება.

გამოღვიძებული ველარსად ხედავს ვერცხლისფერ სფეროს. მოციმციმე წერტილებიც მკრთალი ეჩვენება, სამაგიეროდ ცა ნელანდელზე უფრო მკვეთრად კაშკაშებს და უჭირს მისთვის თვალის გასწორება. დემონი, მის ფერხით რომ ფშვინავს, ისე აღარ ხმაურობს, ტალღებდა აღარ ეხეთქება ქვიშიან ნაპირს.

დიდ დროს ანდომებს მთელ ამ მრავალფეროვნებაში გარკვევას. ოდნავ ეჩვევა ვარსკვლავთა ნათებას, ზღვის ხმაურს, მლაშე, მსუყე ჰაერს და შემზარავად ნათელ, უსასრულო ცას. აღფრთოვანებას და გაოცებას გრძნობს. დიდხანს დაეხეტება წყლის პირას და დემონის ღრმა სუნთქვას აყურადებს.

შემდეგ რაღაც შემადრწუნებელი ხდება: მანათობელი წერტილები უჩინარდება, ცა თეთრად იღებება, წყალს ლურჯი ერევა. ზღვის უსასრულო სიშორიდან ძალზე ნელა, მაგრამ შემადრწუნებელი დიდებულეებით მოიწვევს ზემოთ რაღაც. მისთვის აუტანელია ეს მონითალო, კაშკაშა სინათლე და თვალს ხუჭავს. შემდეგაც მხოლოდ ნაშთით თუ ახერხებს გამოხედვას და ამჩნევს, რომ ზღვიდან სრულიად ახალი არსება იზადება: იმდენად ბრწყინვალე, ისეთი კაშკაშა, რომ მისი არსებობა შეუძლებლად ეჩვენება. ეს ალბათ ერთი დიდი, მშვენიერი სიზმარია, კეთილმა ღმერთმა რომ მოჰგვარა. გამოქვაბულში აბრიალებული კოცონი ბავშვურ სათამაშოდ ჩანს ამ მნათობთან შედარებით.

დიდხანს ზის თვალდახუჭული, სახეს ხელებში მალავს. აუტანელ, ყრუანტელისმომგვრელ სიციხეს გრძნობს. ასე ვერცერთი კოცონი ვერ გაათბობდა.

ბოლოს ახერხებს და რამდენიმე წამით წყალში შეავლებს თვალს ცის ანარეკლს. სამყარო მეტისმეტად უსასრულო, ნათელი და მშვენიერი ეჩვენება. ეს ამინებს. ბედნიერებისა და გაოგნებისგან ცრემლებს ვერ იკავებს.

კიდევ რამდენჯერმე უმზერს მზის ამოსვლის სცენას, აკვირდება მთვარეს, ყოველდღე რომ იცვლის ფორმას, და მბჟუტავ ვარსკვლავებს. მთელ ამ დროს ფიზილად ატარებს, მთვარის სინათლეს ისეთი კაშკაშა ბნელს მიჩვეული მისი თვალუბისთვის, რომ დაძინება არ შეუძლია. შემდეგ უკან დაბრუნებას გადაწყვეტს, თავის სამყაროში, რათა სხვებიც დაიხსნას ქვათა ტყვეობიდან. ფიქრობს, რომ შეიძლება არ დაუჯერონ, შეიძლება დიდი ბრძოლის გადახდა მოუხდეს მანამ, სანამ თავის ხალხს სხვა სამყაროს არსებობაში დაარწმუნებს, მაგრამ ამისთვის მზად არის.

გამოქვაბულის შესასვლელს ადვილად პოულობს და მისი სიღრმისკენ მიიწევს, მაგრამ ამ უკუნ ბნელში ვერაფერს ხედავს. ერთ ნესტიან ადგილზე ფეხი უსხლტება და დიდხანს, ყვირილით მიქრის სიღრმისკენ. კოცონის პირას მეგობრებთან და ოჯახით გარშემორტყმულს გაეღვიძება.

— თქვენ მიპოვეთ! — ამბობს იგი, — მე ვიხილე ნამდვილი სამყარო, რომელთან შედარებით აქაურობა ნაკვერჩხალსა და ნაცარს ჰგავს. იქაური სინათლე თვალისმომჭრელია, ჰაერი — მსუყე და მძიმე, ფერები — ნათელი, მის კიდებზე დემონი ფშვინავს. მე მიგასწავლით გზას, ნავიდეთ! — რაზე ლაპარაკობ? — უკვირთ მათ, — აქედან არსად ნასულხარ, რახანია გძინავს.

სიზმარი მარადიულად მეორდება, ხოლო ადამიანი მეტისმეტად სწრაფად ივინყებს ყველაზე არსებითს. მზის ხილვის ბედნიერებას ხშირად ჩრდილავს ის ფაქტი, რომ ბნელ გამოქვაბულში დაბრუნებული თითქმის ბრმა ხარ — სინათლის მხილველი ველარ ეჩვევი იქაურ წყვილად. იმან, რაც იხილე, საკუთარ ცხოვრებასა და სამყაროს დაგაშორა.

ეს ესიზმრებოდა სოკრატეს და გამთენიისას აკანკალებულსა და გაოფლილს ეღვიძებოდა. მერე დილის ათენის ცარიელ ქუჩებს მიუყვებოდა, რათა სიზმრით მოგვრითი შიში და დაბნეულობა გაეფანტა, მაგრამ ვერაფრით იშორებდა აზრს, რომ ოდესღაც რაღაც იხილა და დაავინყდა. დაეხეტებოდა მანამ, სანამ არ დაარწმუნებოდა, რომ სინამდვილეში უსასრულო, უძველეს გამოქვაბულში ცხოვრობდა და ნამდვილი სამყარო სადღაც შორს, მის მიღმა არსებობდა.

ჭირი

I

ბოლო სართულზე რომ ცხოვრობ, მეზობლებიც ნაკლებად განუხებენ და, როგორც წესი, ხედიც უკეთესი გაქვს. სამაგიეროდ, ლიფტი თუ გაფუჭდა, ყველაზე მეტად შენ განვალდები. მაგრამ ეს არაფერია — ბოლო სართულზე რომ ცხოვრობ, ისეთი რამე შეიძლება შეგემთხვეს, რაც სხვაგან სრულიად წარმოუდგენელია და რასთან შედარებითაც სახურავიდან წყლის ჩამოსვლა ან ლიფტის გაფუჭება მხოლოდ პატარა, სასაცილო ამბავია.

ქარხნიდან რომ გამოდიოდა, კიდევ დიდხანს ედგა ყურებში გუგუნის და ხმაური: ლითონის ჭრიალი, ბრახუნი, ზრიალი, ბრაგუნის. მთელი გზა არ ცხრებოდა ყურები, სახლში მისულსაც უბრუნდა თავი. ნავახშმევს შემწვარ კვერცხს ორ-სამ ბოთლ ლუდს რომ დააყოლებდა, ტელევიზორის ჩართვის სურვილიც არ ჰქონდა, სიჩუმეში იჯდა და ისვენებდა. ნებისმიერი ხმაური ალიზიანებდა.

მხოლოდ შემდეგ, ამ უცნაურ გარინდებაში, უმშვიდდებოდა თავი და ყურები, ქარხნის ხმაური ქრებოდა და უკვე შეიძლო ტელევიზორი ან რადიო ჩაერთო. ხანდახან ესეც არ სურდა, დამღლევი სამსახურისა და ლუდისგან გაბრუნებული სიჩუმეში რჩებოდა და ძილი ფეხაკრეფით, ფრთხილად ეპარებოდა.

რთული იყო მთელი დღე და ზეგებთან მუშაობა. მხოლოდ ნახევარი საათით ჩერდებოდნენ რეგრიგობით, რომ სწრაფად ეჭამათ და მაშინვე კვლავ სამუშაოს დაპბრუნებოდნენ, მაგრამ ყველაზე უსიამოვნო მაინც ეს ყურისნამღები, ყველაფრისმომცველი ხმაური იყო, სახლამდე რომ მიჰყვებოდა მუშებს. ამგვარ ყოფაში ლაპარაკიც შეუძლებელია და ფიქრიც, მხოლოდ საკუთარი საქმის ზედმინევენით, ზუსტად შესრულება გამოგდის.

მძიმეა მისი ცხოვრება, მაგრამ ორი ბოთლი ლუდით მაინც ახერხებს ყურადღების მოდუნებას, დაგინყებას და დაძინებას.

თავიდან გგონია, იმისთვის მუშაობ, რომ იცხოვრო, მერე ხვდები, ეს ტყუილია, რომლითაც საზოგადოება გონიერების და ნესტიან შენარჩუნებას ცდილობს და სინამდვილეში მხოლოდ იმისთვის ცხოვრობ, რომ იმუშაო, დოვლათი შექმნა და მოკვდე. მაგრამ ეს აღმოჩენა ცოტა ხნით განუხებებს, მალე ამასაც ეჩვევი და ფიქრობ, რომ არა უშავს, ბოლოს და ბოლოს წმინდანი ხომ არ ხარ, ვინმემ სხვაგვარად ცხოვრება რომ მოგთხოვოს? კარგად თუ დაფიქრდები, ისიც სასიამოვნოა, ყველაზე უსიამოვნოდ რომ ცოცხლობ და კვდები, რაღაცნაირად ნაკლებად გემინია. ის უფრო გამინებს, მხოლოდ შენ რომ კვდები. ყველა ერთად რომ ვიხოცებოდეთ, ალბათ შევბას ვიგრძნობდით.

სახლში ყოველ დღე დაქანცული რომ მიდიხარ, კარგი მხოლოდ ის არის, რომ სწრაფად და ღრმად გეძინება. ღამით არ გეღვიძება, კომპარები არ განუხებს, რადგან სხეული და გონება ერთნაირადაა მოქანცული.

სანამ ყველაფერი ძველებურად რჩება, არაფერი ხდება. ამბავი მაშინ იწყება, როდესაც მოვლენა ჩვევის შეცვლას გვაიძულებს.

ჩვენს გმირს ერთი უცნაური ახირება ჰქონდა: საძინებელი ოთახი რაც შეიძლება ბნელი უნდა ყოფილიყო, სხვაგვარად მოუსვენრად ეძინა. დაწოლამდე კარს ხურავდა და ფანჯრებზე ფარდებს აფარებდა.

ყველაფერი ერთ ღამეს შეიცვალა. მოულოდნელად გაღვიძებული ვერ მიხვდა ძილი რამ დაუფრთხო. საათი ოთხს უჩვენებდა. ამ დროს გაღვიძება არ სჩვეოდა. დაფიქრდა. სიზმარს არ დაურღვევია მისი ძილი, არც ხმაურს, მაგრამ თითქოს რაღაც ისე ვერ იყო. ოთახს თვალი მოავლო და ვერაფერი შენიშნა. დამშვიდდა, ძილი მოერიდა და დილაზე აღარაფერს შეუნახებია.

დღისით აღარც ახსოვდა უჩვეულო ამბავი, მაგრამ შემდეგ ღამეს კვლავ მოულოდნელად გამოერკვა ძილიდან. ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე: ეღვიძებოდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რა უფრთხოება ძილს. რამდენიმე წუთში მშვიდდებოდა და სიზმრებს უბრუნდებოდა.

მაგრამ გადიოდა დღეები და სულ უფრო უჭირდა დაძინება. გამოფხიზლებული დიდხანს იჯდა საწოლში და ოთახს ათვა-

ლიერება. ვერაფერს არჩევდა იმ ბნელში, მხოლოდ სკამების, კარადის, ფარდების მუქ ჩრდილებს, რომლებიც ხანდახან ოდნავ შესამჩნევად მოძრაობდნენ, ფორმებს იცვლიდნენ და უცნაურ არსებებს ემსგავსებოდნენ, მაგრამ ეს აღარ აშინებდა, ბავშვობაშივე ისწავლა, რომ ადამიანის გონება ასეა მოწყობილი: ამორფულ ჩრდილებს საზარელ ფორმებს ანიჭებს, ამოძრავებს და აცოცხლებს. ეს მხოლოდ თამაში იყო, ამგვარი რამ მას აღარ აღელვებდა. რაღაც სხვა ხდებოდა, რის გამოც მშვიდად ძილი აღარ შეეძლო.

ერთ ღამეს, ძილგამტყდარმა, სახეზე იგრძნო გრილი ნიავის შეხება. ფანჯრები დაგმანული იყო, ფარდები არ იძვროდა, მხოლოდ გარეთ ღმუროდა ქარი. ალბათ ხმამ მოატყუა, ალბათ მოეჩვენა. დამშვიდდა, მაგრამ დაძინებამდე კვლავ იგრძნო ნაზი შეხება შუბლსა და ლოყებზე. არა, ეს ღამის საზარელი არსების სუნთქვა არ ყოფილა, ამგვარი ამბები წარსულში დატოვა. სხვა დროს კიდევ უფრო უცნაური რამ მოხდა: შუალამეს ოთახში სვეტად აღმართული სინათლის სხივი შენიშნა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით; დაუკვირდა თუ არა, სვეტი უკვალად გაქრა.

შემდეგ ისევ ხედავდა ხოლმე სინათლის წერილ, ძლივს შესამჩნევ, ვერცხლისფერ სხივს, მაგრამ მხოლოდ წამით, ისე, რომ მის დამახსოვრებას ვერ ასწრებდა.

ერთ ღამეს უცნაურმა ხმაურმა გამოაღვიძა: თითქოს რაღაც მექანიზმი ჭრიალვდა როგორც ქარხანაში, მაგრამ ეს მის გონებაში ჩარჩენილ ხმაურს არ ჰგავდა, არც ქარხნის ქაოსთან ჰქონდა საქმე, უფრო გაბმული, ერთფეროვანი ბგერა იყო. მერე და მერე, კვირების შემდეგ, ერთ ბგერას სხვა ბგერები შეერია, სინათლის სხივი გამკვეთრდა და გაფართოვდა, ხოლო ქარი მის დაგმანულ ოთახში გაძლიერდა და სულ ბოლოს, ძილგამტყდარმა, საკუთარ ცხოვრებას რომ წყევლიდა, ჭერზე უჩვეულო ნათება შენიშნა.

ხელისგულისხელა თუ იქნებოდა, ჭერზე ისე იყო მიკრული, როგორც ნახატი. კარგად რომ დააკვირდა, მერე და მიხვდა, არავითარი ნახატი არ არსებობდა, ჭერი რაღაცას დაეზიანებინა და სანოლიდან ვარსკვლავთა ცილს უმზერდა. გაბრაზებულს ჩაეძინა. დილით, როდესაც ნაჩქარევად შეათვალიერა ჭერი, უცნაური ვერაფერი შენიშნა და გაუღამდებელი გაემართა სამსახურში.

მაგრამ ნაპრალი იზრდებოდა. მერე და მერე უფრო მეტი ვარსკვლავი, ცის უფრო დიდი ნაწილი მოჩანდა და ქარიც ძლიერად ქროდა. საბედნიეროდ, არ წვიმდა და წყალი ჯერ არ ჩამოდიოდა. მხოლოდ ის ვერ აეხსნა, საიდან მოდიოდა უცნაური ხმაური, ერთდროულად ჰარმონიულიც რომ იყო და გამაღიზიანებელიც, პოლიფონიურიც და ქაოსურიც.

როდესაც ნაპრალი ხელისგულის ზომიდან მოზრდილი თევზის ზომამდე გაიზარდა და დღისითაც გარკვევით მოჩანდა ლურჯი ცა, გადწყვიტა, მშენებლებისთვის მიემართა. სამსახურში რამდენიმე კაცი გამოჰკითხა და შემდეგ დღეს ხელოსანს შეუძღვა სახლში. მან დიდხანს და დაკვირვებით ათვალიერა ოთახები, ბოლოს საძინებლის ჭერსაც მიადგა; მხოლოდ თვალის შევლება არ აკმარა, ხელით შეეხო მის ყველა მონაკვეთს და გამოაცხადა: „შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, ჭერი მთელი და მყარია. ის, რაც თქვენ ნაპრალი გგონიათ, სულაც არ არის ნაპრალი. გარწმუნებთ, წყალი არ ჩამოგივთ. უბრალოდ, ცა მოჩანს და მორჩა, უჩვეულო არაფერია“. „ხომ არ გაიზრდება?“ „არ მგონია, სამაგიეროდ პირი არ უჩანს. ეგრეც რომ მოხდეს, მე არ ვიცი არც ერთი საშუალება, რომელიც მეტაფიზიკურ ფანჯარას დახურავდა ან დალუქავდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ვერაფერს გავაწყობთ“. „ასეთი რამ გინახავთ ოდესმე?“ „სამოცდაათის ვარ, ყველაფერი მინახავს“.

მოხუცი ნასვლას აჭიანურებდა. თითქოს ერთმანეთისთვის სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ, მაგრამ კარს ჯიუტად არიდებდა თვალს, ოღონდ ახლა უკვე ჭერს კი არ ათვალიერებდა, არამედ კედლებს, იატაკს, ნივთებს.

იმ საღამოს ერთად ივანშემეს, რამდენიმე ჭიქა ლუდი დალიეს და მოხუცმა გვიან ღამითა ინდომა წასვლა.

საძინებელში მტვრად იფანტებოდა ვარსკვლავთა ნათება. სხვა გზა აღარ ჰქონ-

და, უნდა ეცადა და ყველაფერს შეჰგუებოდა, თუ არადა სახლის გამოცვლა მოუწევდა. მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა, რომ სხვა სახლში იგივე არ განმეორდებოდა?

მეტისმეტად ბევრს მუშაობდა საიმი-სოდ, რომ მსგავს თემებზე დიდხანს ეფიქრა, ამისთვის მუდამ ძალზე დახლილი, მშვიდი და გამოფიტული იყო. ბოლოს და ბოლოს რა მოხდა, საქმე ხომ მხოლოდ პატარა, არარსებულ, სიმბოლურ ნახვრეტს თუ ბზარს ეხებოდა? როდის იყო, ხალხი ამხელა ყურადღებას აქცევდა სიმბოლურ და მეტაფიზიკურ სარკმლებს? წყალი რომ არ ჩამოდიოდა, ესეც საკმარისი იყო.

II

ნელა და შეუმჩნევლად იზრდებოდა ხვრელი, ხმაურიც უფრო მატულობდა. ბოლოს უკვე ისე მძლავრად იფრქვეოდა ვარსკვლავების და მთვარის სინათლე, რომ დაძინება აღარ შეეძლო. მიხვდა, რომ ასე ცხოვრებას ვეღარ გააგრძელებდა და ერთ დღეს სახლის გადაკეთებას შეუდგა: სანოლი მისაღებში დადგა, სავარძლები, მაგიდა და ტელევიზორი კი — საძინებელში. თავიდან ამ ხერხმა გაამართლა და ხმაურიც მიწყნარდა, ძველებურად მშვიდად ეძინა, არაფერი აკრთობდა, არ აწუხებდა, მაგრამ მერე, დრო რომ გავიდა, მისაღებ ოთახშიც გაჩნდა ბზარი და ახლა უკვე იქიდან იფრქვეოდა ღამეული მტვერი.

საძინებელ ოთახში ყოფნას ერიდებოდა, ხოლო მაშინ, როდესაც იქ შესვლა მაინც უწევდა, ხედავდა, რომ ნაპრალი საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. მალე აღმოაჩინა, რომ ჭერის ნახევარი სადღაც გამქრალიყო, აორთქლებულიყო, ისე, თითქოს არც არასდროს ეარსებია.

უცნაური ხმაურიც სულ უფრო მძლავრად ისმოდა. ეშინოდა, უკან ბრუნდებოდა და თავს ინყევლიდა, ამ ოთახში რამ შემოიყვანაო, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და ცნობისმოყვარეობის გამო კვლავ შეაღებდა ხოლმე საძინებლის კარს. ვერაფრით ხვდებოდა, რა ხმა ესმოდა, საიდან მომავალი. მხოლოდ მას ესმოდა თუ სხვებსაც? სტუმრები, იშვიათად რომ მოდიოდნენ, არაფერს ამბობდნენ, როგორც ჩანს მათთვის სამყარო დუმდა. მიუხედავად ამისა, არასდროს უფიქრია, რომ რამე ეჩვენებოდა. იცოდა, როგორ იყო არარსებულის, წარსულიდან გადმოყოლილი მოვლენის შეგრძნება ან აჩრდილის გამოგონება. ეს ამას არ ჰგავდა, ხმა ნამდვილი იყო, ისევე, როგორც ის წყეული, შემალონებელი ფანჯარა.

ამ არშემდგარ მელოდისა, რაღაცით ქარხნის დანადგარების ხმაურს რომ ჰგავდა, ყველაზე მეტად ორკესტრის ხმაურს ამსგავსებდა, ოღონდ არა ნაწარმოების შესრულების მომენტში, არამედ მანამ, სანამ დაკვრას დაიწყებდა. ხმა ჰგავდა იმ მომენტს, როდესაც ორკესტრის წევრები საბოლოოდ აწყობენ საკრავებს. ამ დროს ყველა თავისას მიერეკება. სხვები არ აინტერესებთ, მხოლოდ საკუთარი საკრავი. მელოდია ჯერ კიდევ არ არსებობს, მუსიკა სადღაც შორსაა, თავისთვის, მთელი ყურადღება საკრავებისა და დანაწევრებული ბგერებისკენაა მიპყრობილი. ამიტომაც, რომ ამ დროს უნერგო, ქაოსური ხმაური იქმნება, მაგრამ ხანდახან, თუკი ადამიანი კარგად დააკვირდება, ამ ხმაურშიც შეუძლია მელოდის ნაფლეთების ამოცნობა.

მალე მისაღებ ოთახშიც გაუსაძლისი გახდა ყოფნა. ნაპრალი აქაც გაჩნდა და ყოველდღიურად ღამის მტკავლით იზრდებოდა, ხმაურიც მხოლოდ გვერდით ოთახიდან კი არ აღწევდა, უკვე აქაც ისმოდა. სხვა გზა აღარ დარჩა, სამზარეულოს შეაფარა თავი, იქ კიდევ გაძლებდა ცოტა ხანს, რამდენიმე დღეს მაინც, მანამდე კი რაღაც უნდა მოეფიქრებინა. ბინის გაყიდვა მოსურვა, მაგრამ უარი უთხრეს. „თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებები სულ სხვაგვარია, ჩემო ბატონო, თქვენ მათი არ გესმით. მაგ თქვენი ნაპრალიდან წვიმის წყალი რომ ჩამოდიოდა, თუნდაც ხანდახან, მხოლოდ ძლიერი წვიმის დროს, კიდევ მოგიხერხებდით რამეს, თუმცა, აბა, კარგად დაფიქრდით, ჭერი შუშის არ არის, მაგრამ მთელი ცა მოჩანს, თანაც წყალი არ ჩამოდის. ასეთი ბინის გაყიდვა შეუძლებელია, თანამედროვე ადამიანის გემოვნებას სრულიად არ შეესაბამება მეტაფიზიკური სარკმლები და ჭერები. აბა, მშვიდდით“. მოისმინა ეს და გულის სიღრმეში

თავადაც დაეთანხმა. სახლი იმდენად ფასოვანს, რამდენად მყარი ჭერი და კედლები აქვს, რამდენად საიმედოდ გვიცავს სამყაროსგან. ასე რომ, უჭერო ბინა სულაც არ არის ბინა.

ბევრჯერ უხმო მოხუცს, რომელიც ხელოსანსაც ჰგავდა, დურგალსაც და მანან-ნალასაც. ღამის სასონარკვეთილი შეევედრა სახლის შეკეთებას, მაგრამ ის უდარდელად აქიცინებდა თავს და ამბობდა, აქ შესაკეთებელი არაფერია, არც წყალი ჩამოდის და ჩიტებიც უმფოთველად სხედან სახურავზე. „ჩემი საქმე მშენებლობაა, აქ კი ასაშენებელი არაფერია. თვალი და ყური ხშირად გვატყუებს, ამის გამო მუდამ მშენებლებთან ხომ არ გავრბივართ?“ „ეს ტყუილი არ არის, თქვენც ხომ ხედავთ, რომ აქედან ცა ჩანს?“ „ვხედავ, მაგრამ ვინ თქვა, რომ არ შეიძლება ორი წყვილი თვალიც ისევე მოტყუდეს, როგორც ერთი?“ „ხმაც ხომ გესმით?“ „მესმის. ხანდახან სახლი ისე შეიძლება დაინგრეს, რომ კედლები ადგილზე დარჩეს. სახურავზე ფიქრს მოეშვი, ცხოვრება განაგრძე. არის რაღაცები, რასაც ვეღარასდროს გამოასწორებ“.

და იგი კვლავ მარტო რჩებოდა კამკამა მზის ქვეშ, კამკამა მთვარის ქვეშ, რათა ესმინა, თუ როგორ მოსაწყენად ჭრიალებდა კოსმოსი.

ვარსკვლავთა ცქერას კიდევ აიტანდა, ბოლოს და ბოლოს თვალებს დახუჭავდა და წარმოიდგენდა, რომ თავზე ნორმალური, ჩვეულებრივი ჭერი ეფარა, მაგრამ ხმაურს ვერაფერს უხერხებდა. ტელევიზორისთვის ბოლო ხმაზე რომ აენია და თავი ბალიშის ქვეშ შეერგო, მაინც ესმოდა ამ ძველი, უნიჭო მუსიკოსებისგან შემდგარი ორკესტრის ყლრიალი. ისინი უკვე აღარ იყვნენ მუსიკოსები, მათ აღარც დაკვრა შეეძლოთ და აღარც მოსმენა. ყრუები, უუნაროები, ან უკვე უცოდინრები უკრავდნენ და ამიტომ იყო, მათი მელოდია არაფერს რომ არ ჰგავდა. რომც გაჩერებულიყვნენ, მათი მუსიკის დაინყება შეუძლებელი იქნებოდა. ეს ალბათ ერთადერთი მელოდია იყო, სადაც არაფერი მეორედებოდა, არადა, მუსიკას მუსიკად განმეორება აქცევს.

სამსახურიდან დაბრუნებული დასვენებას და დაძინებას ვერ ახერხებდა, დილით ისე ტოვებდა სახლს, თითქოს თავბრუს დაძმვევი წვეულებიდან მიდიოდა ცეკვით დალილი, ნამთვარეული. კვირები და თვეები ერთმანეთს მისდევდა, ხმა კი სულ თან დასდევდა და ბოლოს უკვე ქარხნის ყურისნამღებ რახანასაც ფარავდა.

მოხუცი ახლა უკვე დაუპატიჟებლად მოდიოდა, გვიანობამდე რჩებოდა, ყველიან სენდვიჩებს ჭამდა და ლუდს აყოლებდა. ლაპარაკობდა, ხმამაღლა იცინოდა, მზარზე ხელს უტყავსუნებდა. მანამ არ მიდიოდა, სანამ არ გაიღებებოდა. ნელა, ბარბაცით რომ წამოიმართებოდა სკამიდან, მასპინძელიც სიხარულით დგებოდა, ხელს ართმევდა და ნაჩქარევად აცილებდა. მაგრამ მარტო რომ იყო, მაშინაც არ ეშვებოდა მოხუცი. მისი სიტყვები ახსენდებოდა:

„ღმერთი ჰგავს ლაქას ჭერზე: ერთ მომენტში თვალნათლივ ხედავ, გიკვირს, აქამდე როგორ ვერ ამჩნევდი და ვერ წარმოიდგენ, ოდესმე თუ შეიძლება დაგავიწყდეს. არ გქონია ასეთი შემთხვევა? მე მიყვარს გულაღმა წოლა და ჭერის თვალიერება, ბავშვობას მახსენებს. თუ დიდხანს ვუყურებ, აუცილებლად გამოვარჩევ ლაქას, მერე კი აღარ ვეშვები, ჩავაცვივები, მივაშტერდები და ისიც აუცილებლად იღებს ფორმას. აი, ეს ცხვარია, ის ყვავილი, ის კიდე ჩემი ახალგაზრდობის მეგობარი. მაგრამ საკმარისია, წუთით მოაშორო თვალი და მიბრუნებულს აღარაფერი გხვდება. მის ფორმას ვეღარ აღიქვამ, ამორფული, უშინაარსო, გადღაბნილ ლაქას უყურებ, არადა წუთის წინ ზუსტად იცოდი, რაც იყო, მის ყველა დეტალს არჩევდი. ღმერთის საშინელება ის არის, რომ მუდამ ქრება. ამიტომ გწამდეს, ნიშნავს, გწამდეს ხანდახან. დროებითობა და მუდმივი ეჭვი რწმენის შემთხვევითი ნიშანი კი არ არის, არამედ მისი არსია“.

ერთ დღესაც ამგვარი ყოფა აუტანელი გახდა. შუალამეს ადგა, ზურგჩანთა ჩაალაგა და კი არ წავიდა, გაიქცა სახლიდან. ქუჩაში რომ გავიდა, მცირე შევაბ იგრძნო. კართან შეჩერდა. იქვე, კედელთან ატუზული მოხუცი დაინახა. იდგა და მას ელოდა.

— როგორც იქნა, — თქვა მოხუცმა, — რახანია გელი. ხედავ, როგორ კამკამებენ ვარსკვლავები? წავიდეთ.

III

მიდიოდნენ და მოხუცი ამბობდა: „როცა ხმაური ჩერდება, მხოლოდ მაშინ ვხვდებით, რაღაც რომ გვანუხებდა. სანამ იყო, არ ვიცოდით. გაქრა და ვიცი. ადამიანის ყური ყველაფერს ეჩვენა, ისე, როგორც თვითონ ადამიანი. შუა საუკუნეებში მცხოვრები ადამიანი თანამედროვე მსოფლიოში რომ გადმოვასახლოთ, საეჭვოა ამ ხმაურში მოსაუბრის მოსმენა შეეძლოს. ეგ კი არა, ალბათ რამდენიმე დღით ჭკუიდანაც შეიშლება. ის, რაც მუდმივია, არ არსებობს. ჩანჩქერის ხმა დაბადებულად რომ გესმის, ეჩვევი და ვეღარ აღიქვამ. სამყაროც ასეა. კოსმოსი ძველი ქარხანასავით ჭრიალებს, ზრიალებს და ხმაურობს, იმ ქარხანასავით, ვადაგასული, დაზიანებული დანადგარებით რომ არის სავსე. დედამინის სიჩუმეში თავზე დაგვრიალებს კოსმოსი, მაგრამ ჩვენ მისი მოსმენა არ შეგვიძლია. დაბადების დროს იმიტომ ვტირით, რომ ამ სამყაროში მოვლენილებს არ შეგვიძლია აუტანელი, გაუსაძლისი ხმაურის ატანა და გაძლება. ნამდვილი მუსიკოსი ალბათ ხანდახან მაინც ახერხებს ყური მოკრას ამ ხმას. მზატვარიც იმას ხედავს, რასაც თვალი შეეჩვია, რისი დანახვაც ჩვენ აღარ შეგვიძლია. რაც არის, იმის დანახვა ყველაზე რთული, რაც მართლა არის, იმის დაჯერება ყველაზე წარმოუდგენელი. ის, რაც არ წყდება, ფაქტობრივად არ არსებობს. რასაც ვერცხვით, ქრება. რომ იპოვო, უნდა დაკარგო. დაკარგულს რომ იპოვი, მერე ისევ უნდა დაკარგო“.





ირმა ბერიძე

ბოლოს რომ მეცვა,
უკანასკნელ პაემანზე,
შავი კაბა,
სადა,
ძვირფასი,
გამხდარს რომ მაჩენს,
ნაზი, თითქოს არც გაცვივა
ან ლივლივებ გამჭვირვალე ლაგუნაში,
ის შავი კაბაც
გადავიყვანე თავშესაფარში —
გარდერობის განაპირა სათავსოში,
წლობით ჩაუცმელ კაბებს გვერდით მივუკიდე,
საგულდაგულად ჩავრახე კარი.

ასე ჯობია!
ჩემთვის, მისთვისაც,
გული აღარ ამოუხტება კარის ყველა შეღებაზე,
არ მოტყუდება, არ გაიფიქრებს —
აი, ახლა,
აი, ახლა ჩამომხსნის და მომირგებს ტანზე,
მკლავებს გამიყრის,
შემოვეკვრები,
გავიმეორებ მის სისხლს დახვეწილი ცდომილებით,
დამინახავს ამისი კაცი,
გადაირევა,
გადამაგლებს ვენებიან თვალებს,
კაფში მეტს ვერ გაბედავს —
მხოლოდ თითებს შემახებებს წელზე.
გვიან, მარტო რომ დავრჩები,
ხელისგულებს ჩამომატარებს
უბეზე, ზურგთან, თეძოებზე,
ცოტას ამ ჯერზეც გავანვალე,
არ გავიხსნები საკინძესთან,
მაგრად ჩავჭიდებ ერთმანეთზე
მიჯრით მიწყობილ ღილ-კილოებს,
რომ გახელდება, მერე მივუშვებ, დავენებები,
ამიტაცებს,
გამარჯვებული მეომარის ბაირალივით ამშლის ცაში,
მერე სახეს ჩარგავს ჩემში,
იქნებ იტიროს...
მაკოცოს... კიდევ... კიდევ მაკოცოს,
მიმაფინოს იქვე სავარძელს,
საწოლს,
ხალიჩას,
კომოდს,
იატაკს...

კი არ გამიხარდა, ლამაზი რომ არ არის,
ჩემზე ლამაზი რომ არ არის შენი ცოლი.
გაცნობისას მოკლე სახელი
სწრაფად დამიდო ხელისგულზე.
ელავს, ბრჭყვიალებს.
ილიმება,
მაგრამ ველური მხეცის თვალები
იკბინებიან, ვერ მალავენ
ფსკერზე ჩაფხვანებულ ცხოვრებას,
მტაცებლურს და უსიხარულოს.

ამ თვალების დაკონის გამო,
დილით, საღამოს, შუალამისას,
მათ ღრმა ლექში ჩაძირვის გამო,
ვერ გაპატიებ
დიდი ხნის წინ
ლამის სადგურში
მატარებელით სხვა ქალაქში წასვლას, გაქცევას,
იქ სადგურის რკინის ვაგონმა
ხერხემალზე გადამიარა
და მიმაფშვნა საკუთარ გულს მჭახე ხმაურით.

აი, თურმე ვისთან წასულხარ,
რამდენს ვფიქრობდი, ღმერთო, ამ ქალზე,
ამ ქალს ჰქონდა... უნდა ჰქონოდა
ვინრო წელი, გრძელი კისერი,
თლილი, საღამურა ფეხები,
მის ბორცვებზე ხალეხს უნდა ეციმციმათ,
შენს ცოლს ჰქონდა...

უნდა ჰქონოდა წყალუხვი თმა,
შხეფების მფრქვევი,
უნდა რქმეოდა ჩურჩულივით რბილი სახელი...

კი არ გამიხარდა ლამაზი რომ არ არის,
ჩემზე ლამაზი რომ არ არის შენი ცოლი,
თითქოს ომიდან გამოვდივარ,
გავიმარჯვე!
ეს იყო გრძელი ომი,
ეს იყო ძალიან უსამართლო ომი,
ქანცგამწყვეტი,
ეს ომი იყო მთელი ცხოვრება,
მაგრამ ეს ომი იყო არარსებული,
არარსებული ომიდან ვბრუნდები ახლა
არარსებული გამარჯვებით.

დილის ღოცვა უცხო ქალისთვის

გაჩერებაზე,
დაძრულ ავტობუსს რომ აედევნა,
ყველამ, ვინც ფანჯრის მხარეს ვისხედით,
ვინც დავინახეთ მისი სახე,
ხელის ჩაქნევა
(მონყვიტა ჯერაც ნედლი ფოთოლი სექტემბრის ქარმა),
თითქოს უდაბურ გზაზე ვტოვებდით,
როგორც საკუთარ შველას ითხოვენ,
ხმამალა და სასონარკვეთით
ამოვიძახეთ:
გაუჩერე!
გაუჩერე!
გაუჩერე!

დილის ყავა

ერთი სიტყვა,
კოვზის ერთი განკარუნებაც
ყველაფერს ჩაშლის,
უხმოდ, უმძრახად უნდა იყო,
არ უპასუხო კედლის საათს,
არც სველ კაბას გაუსწორო თოკზე სახელო,
სიზმარშერჩენილ საღამურსაც ჯერ ნუ გაიხდი,
ფეხაკრეფით... ფეხაკრეფით...
თითქოს წმინდა შესანიშნავს მსახურებდე...
მდულარე წყალს ჭიქის ფსკერს ნუ დაუმიზნებ,
ისე დაასხი ყავის მარცვლებს,
თითქოს რწყავდე,
ამოყვავდე უცაბედი ვარდის ქაფი,
ამოფანტოს სურნელებს,
გაიხსნილო,
თქვა შევებით:
სიცოცხლე კარგია.

ღელის ფოტო საფლავის ძვაზე

ახალგაზრდა კაცი იყო ქვის ხელოსანი.
მარმარილოს სვეტს შუაგულში
ჩაუმარგა ფოტოსურათი
გასწორდა წელში,
გამომხედა —
მშვენიერი გამოვიდა!
— ღიმილით მითხრა
და მე გული გამიჩერდა.

ჰერბარიუმის ყვავილივით
ჩარჩა მინის ქვეშ
დედაჩემის თვალები,
შუბლი,
ტუჩები,
მორჩა!

ველარასოდეს გაცოცხლდება!

მეპალე

იმ კაცის ხელები როგორ დამავინყვებდა!
სადაც შემეხო,
ვარდის ტვიფარი დამიტოვა.
სად არის ახლა,
ვის შემოავლო ხვიარა ვარდი
ტუჩებიდან ტერფებამდე —
ვის გაუშენა ნალკოტი ტანზე,
ვის დილებს შლის კვირტებივით,
ვის ღამეებს ანოტივებს,
თუ ეს ნიჭი
მხოლოდ მაშინ ეძლევა ხელებში,
როცა ჩემს სამსახურშია.

მარიამს

ღვთისმშობლის თმები ვის უნახავს,
მაგრამ მისი სურნელება
ყველა გრძელთმიან გოგოს ნაწნავში
შეიძლება გასაიდუმლდეს.

ვინ გაიხსენებს მის სიარულს,
თუმც თოვლი მოდის ფეხაკრეფით
მხოლოდ ღვთისმშობლის ნატერფალზე.

ვინ დაიჯერებს,
ვიდრე ყველა შლაგბაუმი ერთად გაიხსნა,
გზაჯვარედინზე,
ღვთისმშობელმა
მწვანე თვალელებით გაილიმა.

მერიან მონროდ დაბადება

გამანდე, შენი ქალურობის საიდუმლო
რომელ ვარსკვლავში იმალება,
რა ყვავილის თესლში მნიფდება,
მასწავლე, ვნების რამდენი წვეთი
ახელებს მიაბიჭურ ღიმილს,
და ქარვის სილბო მთელ სხეულზე
თანაბრად როგორ ზიარდება.
გამანდე შენი თეძოების საამურობა,
შენი თმების ოქროსწყალი,
შენი სუნთქვა,
ბოლო სურნელი —
Chanel 5-ის და უცნობი სანამღაღის.

შენ გაიბრწყინებ უცაბედად
ყურნალებში,
ეკრანებზე,
ბილბორდებიდან,
მაგრამ რჩები
გამუდმებით
სიზმრების ზღვაში,
რომლის ქაფიდან
ყველა ქალი
ერთხელ მაინც
ქალღმერთად უნდა
დაიბადოს.

KARDIOTISA

გარდაცვლილი დედაჩემის გული
წელიწადზე მეტია ძვერს,
არ გაჩერდა,
დილაობით,
გაფხიზლებაზე,
საათივით მომართული მიდასტურებს
კიდევ ერთხელ თვალის გახელის,
გალვიძების უეჭველობას, —
წინა სამშაბათს
მერვე სართულის მარინამ რომ ვერ გაიღვიძა,
ჩემზე უმცროსმა, 40 წლისამ,
იმ შიშს აფრთხოვს.

ძვერს, როცა ძველი პლენხანოვის 90 ნომერს ჩავუვლი.
იქ სანოტარო ბიურო გახსნეს,
ადრე მოდების სახლი იყო
და აბრეშუმის, ჟორსეს,
ხავერდის მობიზინე ქსოვილების ბაღს
დედაჩემი ედგა მცველად.
არ დარჩენილა ჩემი არცერთი მეგობარი
სიცივეში უპალტოოდ.

დედაჩემის გულისცემა ისე ნაზდება,
იფიქრებ, წყდება,
როცა ჩემი ემიგრანტი ძმა მირეკავს.
სტოკჰოლმის ცა ყინვის ქახჭახს წყვეტს,
რომ ჩვენ ერთმანეთს
თბილ-თბილი ხმა მივანვდინოთ.

დედაჩემის გული ძვერს!

არადა შარშან კლინიკაში ბოლო ვიზიტზე,
ექიმმა მითხრა,
რომ მისი გული ძაფზე ჰკიდია
და ერთ თვეში გაჩერდება.

როცა ცხოვრება
მოულოდნელად
ჩემთვის ბრჭყვიალა
დღეს იმეტებს,
დიდი ხნის მკვდარი მეზობელი,
ძველი სამხედრო,
გვარად ლიპეციკი,
უშვილძირო,
უსალმო კაცი,
რუხი მუნდირის
გულისხიზიდან
ფერად კანფეტს ღიმილით მანვდის,
და როგორც უნინ, ბავშვობაში,
ახლაც არ ვიცი,
ღიმილს სახე შევუშვირო,
სიტკბოს გემო ჩავატანო,
თუ გავიქცე,
შემემინდეს.

 აი, დილითაც
 მატარებელი გვირაბიდან რომ გავიდა,
 და მზე ზოლებად დაეფინათ
 მგზავრებს, ვაგონებს,
 გაუელვა,
 რომ ცოცხალი უკვე იყო,
 სადღაც,
 სხვაგანაც,
 სხვა დროსა თუ
 უდროობაში.

როგორც სიზმრის ერთმა ფრაგმენტმა
 ალადგინოს გრძელი სიზმარი,
 სრული ეპოქა — ფრესკის დეტალმა,
 ეს გაელვებაც მთელის, უკლებს,
 უსასრულოს გახსენებას ჰგავს —
 ფაზლად აწყობას.

ცოცხალი ხარ ხორცის შესხამდეც,
 დედის სამოში ჩაღწევამდე,
 სიყვარულით, შიშით ცოცხალი,
 ამას განიშნებს უკვდავების შემგრძნები სული,
 აი, ახლაც,
 მეტროს ვაგონი ქარვის ბადეში რომ გაჰხვია
 სექტემბრის მზემ.

ხომ სიგიჟეა ვინმეს მესიჯი გაუგზავნო —
 — ცოცხალი ვარ!
 ან უცხო ქალს შეუსწორო ზრუნვით საყელო,
 ან პირველი გადაინერო, ფეხზე წამოდგე,
 ფანჯარაში ტაძრის გუმბათს დაუნყო ძებნა.
 ეს ყიჟინა რომ არ ჩაცხრეს,
 რომელიმე უთუოდ იზამ!

მაგრამ როგორც უცებ დენის
 გავლად მოვიდა,
 ისე სწრაფად გადის გულიდან,
 ავსებს ფილტვებს,
 სისხლს მიჰყვება მუხლებისკენ,
 მერე ვაგონის იატაკზე ეშვება
 და
 ქრება სიხარული.

 2 იენისს დედაჩემი ზეცად ამაღლდა.
 ამას ვამბობ დამტკიცებით,
 თუ რომელიმე მამაო ნაიკითხავს და
 მკრეხელობად ჩამითვლის,
 იცოდეს,
 ვერცერთმა სახარებამ, საღვთო სწავლებამ თუ
 საუფლო დღესასწაულმა ვერ დამაჯერა,
 რომ მართლა აღსდგა ადამიანი,
 მართლა გაცოცხლდა სამი დღის შემდეგ,
 შემოიცალა ტანზე სუდარა,
 სახვევები განა მიყარა,
 დაკეცა და
 ერთგან, მარჯვნივ, ფრთხილად მიანყო,
 სულის შებერვით დააგორვა აკლდამის ლოდი,
 გამოვიდა.
 — მარიამ!
 მაგდალინელს მიეხარა,
 უსაშველა თომას ეჭვებს,
 გატეხა პური როგორც კაცმა,
 მერე ამაღლდა,
 ალბათ ისე, როგორც
 2 იენისს
 ბოჭორიშვილის საავადმყოფოს პალატიდან
 აპარატზე შეერთებულმა დედაჩემმა
 შემოიხსნა ყველა სახვევი, მილი, სადენი,
 გახსნა ფანჯარა
 გამჭვირვალე ხელისგულებით,
 როგორც ფრთები.

 მარტო ჩემი ძალი და
 დაწყებული ლექსი მელოდებიან.

 შარშან შენს ოთახში კარი გამოვცვალეთ.
 ფასდაკლებით ვიყიდე,
 ვინრო, დაბალი კარია,
 1.80 x 0.65-ზე,
 ამიტომ ლიობს შენი ოთახის შესასვლელში
 ამოშენება მოუწია.

შენ თქვი — მადლობა, შვილო.
 ფართო შესასვლელი ჯობდა,
 მაგრამ არაუშავს,
 მშვენიერი კარია.

რაც წახვედი,
 ეს ამოშენებული კედელი
 ჩაღდა ჩვენს შორის,
 გადაკეტა ოთახის შესასვლელი,
 აღარ მიშვებს შენთან.

 მომკვდარა
 ჩემი პირველი კაცი,
 ჩემი ბავშვური,
 გაუშლელი მკერდისა და
 მუცლის
 პირველი დამნახავი,
 მათი პირველი შემხებელი.

დახუჭობანას თამაშის დროს
 თავის ნესტიან ოთახებში რომ შევყავდი
 დასამალად,
 პირზე ხელისგულს მაფარებდა,
 რომ არ მეყვირა,
 — ჩვენ გავიმარჯვებთ,
 ვერ გვიპოვნიან! —
 ზურგში მდულარე ტყვიასავით ჩამდიოდა
 მისი ჩურჩული.

უცნაურია — ყველგან ძვრებოდნენ
 სოფლის ბიჭები,
 ადრე თუ გვიან
 პოულობდნენ მოთამაშეებს,
 დაუძახებდნენ:
 „დაგინახე, დაგინახე!“,
 ჩვენ არავის მოვუძებნივართ.
 არასოდეს.
 თუმცა დიდი შვება ეს იყო —
 თანატოლებს არ დავენახე,
 არ გაეგოთ,
 არ დაეცინათ,
 რა სირცხვილია, ღმერთო,
 ეს ბიჭი პაპაჩემთან წარდს თამაშობდა
 აყვავებული ხეივნის ქვეშ.

გამოვდიოდი გამარჯვებული,
 ერთ დამალვაში უცებ გაზრდილი,
 დედაჩემზე უფრო დიდი,
 ბებიაზე უფრო ბრძენი,
 რალაცის მცოდნე,
 ელდით შემგრძნები,
 რაც ამ ქალებს არ ეხებოდათ,
 რასაც ვერავის მოუყვები,
 რაც ხერხემალზე უნდა გაიკრა,
 როგორც რკინის მძიმე სარტყელი,
 მარტომ ატარო.

მომკვდარა ჩემი პირველი კაცი,
 ჩემი მკერდის,
 თეძოების, წელის, მკლავების
 ერთპიროვნული
 განმკარგველი,
 მესაკუთრე.

რამდენი წელი ვუერთგულე,
 ისე მოკვდა, არ გაუგია.
 სრა-სასახლის ვრცელ საწოლებს
 მისი ნახევარსარდაფების სუნი რომ ჰქონდა,
 ველარც მისი ხელისგულის ოფლი ავიშრე ტუჩებიდან.
 ამიტომაც არ გამომდის კარგი კოცნა,
 კარგი მოხვევა.
 ხერხემალზე გაკრული შიში
 და სირცხვილი უკან მენევა.

მომკვდარა ის კაცი, მომკვდარა.

სიღარიბის მოგარიება

როცა ფული მითავდება,
 როცა რძესაც ველარ ვყიდულობ
 მწარე ყავაში გასარევადა,
 ვაკითხავ სუნამოს მალაზიას.

თითქოს ზღვის და ყვავილების არომატი
 გაფილტრა ღმერთმა
 და რაც შერჩა ხელისგულებზე,
 ის ჩაასხა ფლაკონებში
 სულის და ხორცის საკურნებლად,
 სადიდებლად მოდის სახლების,
 რომლებიც ქმნიან
 შავი იის, ორქიდეას,
 კეთილშობილი ქარვისა და მუშკის შლეიფებს,
 ციტრუსის გრილ და ნყლოვან ნოტებს,
 ვარდის აკორდებს.
 სიღარიბესთან საბრძოლველად,
 ერთი წვეთიც საკმარისია,
 მოწყენილობა გაცისკროვნებით შეგეცვალოს.

როცა ფული მითავდება,
 მახსენდება საშობაო ეპისტოლე:
 — ჩემო სულიერო შვილებო,
 სიღარიბემ შეჩვევა იცის,
 არ გაიჩეროთ, მოიგერიეთ.
 მიყვარს ჩემი პატრიარქი,
 მისი რბილი, ფაფუკი ხმა
 თოვლივით ჩამდის სასულეში
 და ფილტვებში ჟანგბადად დგება,
 ჩემს პატრიარქს სიღარიბე არ ეშუქება.

ფული როცა მითავდება,
 შევდივარ ძვირფას მალაზიებში.
 ვსინჯავ, ვისუნთქავ არომატებს,
 Chanel J'adore Amouage...
 ეგებ ამდენ უცხო სურნელში
 ჩემი დავკარგო —
 ჯაჭვი, საბელი,
 რითიც ვყავარ გამოზმული სიღარიბეს,
 კარგა ხანია,
 რითიც მიჭერს, რომ არ გავექცე,
 რითიც მაგნებს
 თვით დიდებულ წვეულებებზეც,
 სადაც ხანდახან ისევ მიწვევენ,
 სადაც ჰაერი დამუხტულია
 სიცოცხლის ნდომით,
 ნებიერი ცხოვრების მუხტით,
 და იქ წესით სიღარიბეს არაფერი ესაქმება,
 მოდის, მეძებს ჩემი ძალღივით,
 ნესტოების ძალუმი თრთოლვით,
 ცხელი სუნთქვით,
 მაგნებს,
 მილოკავს ნათხოვარი კაბის ბოლოებს.

 რა კარგად წერს ეს კაცი!
 რა კამკამა ჰაერი დგას იმის ლექსში,
 რა სინათლე!
 ზუსტად ვიცი
 ვინ კარნახობს მის სიჩუმეს
 საიდუმლო ამოსასვლელებს,
 ვინ ამოუკრეფს ამ სიჩუმიდან
 რიოშ სიტყვებს — მარგალიტებს,
 ვისი ლანდი დგას მისი ლექსის ზედაპირზე,
 ვისი ხმა და თვალები კრთება,
 მაგრამ
 სხვა ქალის სახელი ჰქვია კაცის ლექსებს.

 თქვა, რომ
 მთელი ცხოვრება
 ქმარს ღალატობს,
 ყოველ ღამით
 სხვისთვის იხდის,
 20 წლის ბიჭისთვის.

პირველად მისთვის გაიხადა,
 ჩამოებარდნა ტანიდან კაბა,
 თითქოს ვარდი გადაითოვლა,
 მიეგება ბიჭის სიშიშველეს,
 მოვიდა მოტკბო სურნელება,
 გათბა ჰაერი.

როცა ქმართან შედის ოთახში,
 როცა კაბას ორივე მუჭით მოიკრეფს და
 თავზე უნდა გადმოიტაროს,
 იქვე, სანოლთან
 გახდას იწყებს
 ოცი წლის ბიჭიც.

ავტოპორტრეტი

ვის მივაშვილო ჩემი მოტყუებული თვალები —
 ორი დამჯერე ბავშვი,
 რომლებიც დედამ
 სკამზე ჩამოსვა ცარიელ სკვერში, —
 დამელოდეთო,
 და თავის კაცს გაჰყვა,
 გაიქცა.

 პიტნაანთ თემო —
 ამ სახელის გრილი სურნელი,
 ხასხასა, ნაზი,
 სხვა არცერთი სუნამოს მსგავსი,
 ძალზე ხშირად მომჩვენებია
 გაჩერებაზე,
 სამსახურის ფანჯარასთან,
 მეტროს ქარში.

პიტნაანთ თემო...
 მაღალი და მორცხვი ბიჭი.
 როგორც ამბობდნენ, მე ვუყვარდი,
 ერთხელ გაბედა, დაიძხა ჩემი სახელი,
 დადგა ლობესთან,
 გადმონია გრძელი მკლავები,
 გამომინოდა ხელისგულებით
 მინიანი, მსხმოიარე მარწყვის ბურჭი.

პიტნაანთ თემო...
 აფხაზეთში დალუპული
 გმირების სტენდზე,
 სოფლის ცენტრში,
 მის ფოტოსურათს ანერია:
 მერებაშვილი თეიმურაზ.

ცალთვალა დვის სივართლა

ძუქის კუთხეში ზის, უკვე რამდენი წელია, ქარსა და წვიმაში, მზეში და თოვალში — სახელდახლოდ დაგებული ყუთის გადა-

ნაჭერზე; სამხედრო ტანსაცმელი აცვია — შარვალი და პერანგი, ბოლომდე ჩახსნილი, ზამთარ-ზაფხულ გადალექილი, რომ

გაფატრული მუცლის ქრილობა გამოუჩნდეს.

ეგ ერთადერთი რამეა, რაც ცხოვრებამ გადმოუგდო თავის სარჩენად — ეგ ქრილობა, შემზარავი, უშნოდ ნაკერი, როგორც უპატრონო მკვდრის საფლავზე წაყრილი მინა...

ეგ ქრილობა ამათხოვრებს, და კიდევ თვალი — უფრო სწორად, თვალყოფილი ბუდე, ისაც შავად ამოკეცილი,

სამაგიეროდ, მეორეს შემოგანათებს ხოლმე ისე — ძარღვებში სისხლი გაგიტებება, განა ან წყენა რამე, ან ბოლმა, ან გაბოროტება, პირიქით — მაღლიერება დამსახურებული წყალობის წინ...

თითქოს აქეთ გიცხადებს თანადგომას, აქეთ გაშვებებს თავს — თუ რამეა, მეც აქა ვარ ჩემი ნაჭდევებით და ნაფლეთებითო...

და გვერდით, იდაყვთან სულ უნთია სათელი — ქარში და წვიმაში, მზესა და თოვლში, მე რამდენჯერაც გამოვილა — სულ სათელი უნთია, სათელის ქვეშ — ნაღვენთის ბორცვი, წლებით ჩატკეპნილი და ჩადუღებული გამზირის ასფალტს...

ყური მომიკრავს — აფხაზეთში იბრძოდო, იქ დაიჭრაო, აღარავინ ჰყავსო, ეს უნიფორმაც იქიდან აქვსო... რამდენჯერაც დავინახავ, იმდენჯერ წარმოვიდგენ:

— დილა. ევკალიპტების ღობეს მიუყვება ნახევრად ჩაბრლილი, იარაღიანად დაფარული, თავზე ხაკისფერი ჭურჭიანი ნაჭერი ნაუკრავს, თვალები მტვრით და კვამლით აქვს საფხე, უკან ბავშვობის მეგობარი მიჰყვება, ხელები უკანაგულს და ეს, წინა, ზურგი გრძობს — მის ზურგს ებჯინება მეგობრის იარაღი, მორწყს ანბანივით რა-

დაცვას გამოუმეობით უკაკუნებს ხერხემალზე. სუნთქვაც კი შეაჩერეს, ფილტვებში ჩაგროვილ ჰაერს სისხლის ისრებად დაგრავენ, ცოტაც და ეს ორკაციანი მშვილდი ერთად გაისვრის, მთელ ბრახს და შიშს, მთელ ტკივილს და დაუწოდლობას გაისვრის ერთად და უცებ, ბავშვობის მეგობარს მათი საერთო ბაღის ზეიმი ახსენდება, ოცდარამდენი წლის წინანდელი, საახალწლოდ კურდღლის ფორმებში რომ გამოიანყეს, ქათქათა გულისპირებზე ქალაქის სტაფილოები მიანიჭეს და ამდერეს და აცეკვებს გასაავთებამდე და ამან, წინამ, არც სტაფილო მიიკარა, არც იცეკვა და იმდერა, მოკვდა ტირილით, მთელი ზეიმი გულამოს კვნიტ ჯლაოდა და ეს ახლა, ბავშვობის მეგობარი, გაგანია ომში, ევკალიპტების საზღვართან, სერიოზულად ეკითხება: ძმურად, მაშინ რა გატირებდა?..


და უცებ სიცილი უტყდება ამას, წინას, მტვრიანი ცრემლები სდის თვალებიდან, მთელ სახეზე იგლისავს, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, იმ უშნო და სასაცილო კურდღლების წვეულებზე, ხელისგულებით მუხლებს ებჯინება და იციან, იციან და, სწორედ იმ დროს, ზუსტად იმ დროს ესვრიან და ეფატრება მასაც მუცელი, სისხლის შადრევანი მოჩუჩუხებს მისი მუცლიდან, ცალი ხელით მიჯრით ისვრის, ბავშვობის მეგობარს მთელი ტანით ზედ აწვება, რომ დაიკვას, უყვიროს — ჩანეჭი, ჩანეჭი!.. მერე ლამდება და იყინება ყველაფერი.

სამხედრო ჰოსპიტალში იღვიძებს. მეგობარს მოიკითხავს. სირიუმე პასუხად. ყველაფრის პასუხად, მათ შორის იმ შარიანი შეკითხვისაც — ძმურად, მაშინ რა გატირებდა?..

ეს სცენა ჩემმა ტვინმა შექმნა და ის იმდენჯერ მეორდება, რამდენჯერაც ამ დაჩუქულ ციკლოპს ჩაუვლი. ვინ მეტყვის, რომ ის არ მომხდარა? ვინ მეტყვის, რომ სინამდვილეში არავითარ ომში ეს კაცი არ ყოფილა, რომ ერთი უიღბლო და ხელმოკვარული ბოგანოა, ლოთი და ამარი, შეყვარებული ჰყავდა და გაქეცა, ფული ჰქონდა და გაფლანგა, ერთი საკუთარი ქერი ჰქონდა და ისაც ხანძარმა დაუნვა, თვითონაც შიგნით იყო, უგონოდ მთვრალი, ძლივს გადაარჩინეს, ეგ ქრილობებიც მის სხეულზე — იმდროინდელია, სახლი და თვალი ერთად დაკარგა, მერე ეს როლი

მოიგონა — სამხედრო ფარაჯა, ყავარჯენი, ნაომარი კაცის სახელი...

ვინ მეტყვის, რომ ბევრჯერ უნახავთ მთავრობის სახლთან, ათასწარი დელეგაციას ადევნებული, დაფარულფანჯრიანი შავი მანქანების უკან ატუზული, საწყლად საქმიანი სახით მომლოდინე, როგორც ნასუფრალისთვის ასუნსულეული ძაღლი?! ზოგჯერ ეს წყალობაც მიუღია — მაღალჩინოსანთა ყურადღების ნამცეცხები, მათი ამალგებული ღიმილის მტვერიც და მზერის ჩრდილებიც, მუჯღუფუნითაც მიჭრილა ზოგიერთთან, კიო, ასეც იყო, ამ-



წინო სადღობელაშვილი

ბობენ — ცხოვრებაში ყველაფერი დასწრებაზეა და მასაც უნდა დაესწრო ალბათ, სხვა უფრო კეთილშობილი ჯიშის ძაღლებსთვის, არა — მგლებისთვის, უნდა დაესწრო და ვინმეს ყურამდე თავისი ამბავი მიეტანა, მეტი დამაჯერებლობისთვის — სამხედრო ფარაჯიდან გაფატრული მუცელი გამოიგდო, ცალი სალი თვალიდან სინდისის ისრები გამოეტყობა — შიგ კაკალ გულში მალათა ამა ქვეყნისათვის...

ვინ მეტყვის, რომ ამ ტყუილების გამო, მეომრის სახელის ლაფში ამოსვრის გამო ზოგჯერ მაგრადაც მოხვედრია?! წრეშიც მოუთრევიათ მგლებს შარაგზის ძაღლი და იმ გადახსნილ მუცელში ურტყამთ ნიხლები, შე სამშობლოს შემარცხვენილო, შე ისტორიის გამყალბებელიო — უძახიათ — შენ ვინ მოგცა უფლება, ჩვენი სახელით იმათხოვრო, ჩვენ ამ სახელისთვის სისხელი ვანთხივთ, ძმები დავკარგეთ, ამ სახელს ოჯახებიც კი შეგნიერთ და შენ გინდა, მოკლეზე მოჭრა და ჩვენ კუთვნილ სიკეთემდე ჩვენზე ადრე მიხვიდო?..

გიორგობა დღეს მოხდაო, იტყვიან. ეს — მგლებისა და ძაღლის ჯახი. იტყვიან, როგორ გამოაბუნძულეს ერთი აქციიდან, სადაც სამშობლოსთვის მებრძოლთა დახმარების საკითხები წყდებოდა და ეს, ცალთვალა, თავის სამხედრო ფარაჯაში, ყავარჯენით ხელში, ვერავინ იცნო. ვერ გაიხსენეს, სად იბრძოდა, ვის დივიზიაში, არც ქრილობები ეცნოთ მისი, არც ისტორია, სამშობლოსთვის თავდადებულთა წმინდარიგებს ლაქად გაედება, შემზარავად გამოეჩინა, როგორც სხეულიდან თავამოყოფილი სიმსივნე. იტყვიან, როგორ დაიცვეს მგლებმა სამშობლოს ტყავი, ძაღლს როგორ არ გააცვეთინეს... არადა გიორგობა იყო, ქალაქის მთავარ გამზირზე ლუჯ-ვერცხლისფრად საღამოებდა და უღრუბლო ცაზე სასთებოვით ნკრიალებდნენ ვარსკვლავები, ჰოდა, მაინც იტყვიან — ეს, ცალთვალა დევი, გასისხლული და უმწეო, ბოყინ-ბოყინით რომ მოდიოდა გამზირზე, თავისი ადგილისკენ, რომელიც ერთადერთი ნავსაყუდელია ექვამ აქ ქალაქში, ამ ქვეყანაში, ამ დედამინაზე, როგორ დაეშვა მუყაოს ქვეშაგებზე და ხარხარი ატეხა, ამ ხმით მიიზიდა მყურებელი, ეგ იყო მისი ერთადერთი სიმართლე — ეგ ერთი ნაგლეჯი სცენა, რომელზეც თავისი ცხოვრების უკეთეს ვერსიას თამაშობდა, ან შესაძლოა, ზუსტად ის იყო, როგორადაც თავს აჩვენებდა...

როცა გამზირზე ჩავივლი ხოლმე, მაგ კაცის დანახვა გულს მიჩერებს — მაგ ცალთვალა დევის, ვინც იმ თავის გამოძივნილ სხეულში, როგორც ბედისწერის ფიტულში, მთელი ჩვენი ავ-კარგი შესახლა, მთელი ჩვენი ცოდვა-ბრალი, სიგიჟე, სწეუ-

ლება, სიკეთეც და უკანონო სიხარულიც... ვინც თავის ქვეყანას მარცხში დაემსგავსა, მარცხი კიდევ უპრივითაა, არ უნდა დაგამადლონ... შემზარავია მისი დანახვა, მაგრამ თითქოს მაინც არის რაღაც მარადიულის, ძალიან მნიშვნელოვნის ნიშანი, თითქოს მისი ყოფნა იმ აზრს აცოცხლებს, ყოფნას როგორ გავცდეთ და სიცოცხლე როგორ დავინყობო...

ორიოდე დღის წინ კი, ზუსტად გიორგობა დღეს, მის ადგილას მხოლოდ სათელის ნაღვენთის რუხი ბორცვი იყო, კაცი აღარ. იმ ასფალტის ერთი ფილა — მზეზე აბრჭყვიალებული ნასანთლართი, ნაჭდევიანი დევის ნაწილისგან ჩაზნექილი, — ცარიელი იყო.

იმედია, უბრალოდ იმ დღეს არ იჯდა. თუ შეგხვდეთ, ნახოთ, გულში გამივლეთ, რომ — ისეც არის.

ეგ ერთი ფილა შემოსალობია მერე, აი, ხვარამზემ რომ სატრფოს ცხენის ნაფლოქვარი შემოლობა, ეგრე შემოსალობი — თავის ცვილის ბორცვიანად, ნაწილის ჩრდილებიანად, ზედ ტყვიისფერი ლითონით ამოსაკანრო: სამი დღის მკვდარი საქართველო აქ იწვა, აღდგომის მოლოდინში...

მემორიალი

„სად ვიყავი აქამდე!“ — გესმის, ვილა-ცამ რომ გაიფიქრა. ისე ხმამაღლა გაიფიქრა, რომ შენც გაიგონე და ალბათ სხვებმაც. ისეთი სიმჭიდროვეა, რა გასაკვირია, სხვისი ფიქრი გესმოდეს. უფრო სწორად, სხვისი ფიქრი შენსას კევივით აწებობს და ვეღარ მოიშორი. „სად ვიყავი აქამდე?“ — შენც იმეორებ და ეთანხმები. მართლა სად იყავი აქამდე, ალბათ რამდენი დღე და საღამო გამოტოვე, რამდენი ამბავი. შენს წინაშე მთელი სამყაროა, ამდენი ხალხი ერთად არც გინახავს, ან სად ნახავდი, შენს პატარა სოფელს უკვე ყოველდღე ვილაც ტოვებს, იმეიათად ქელეხზე თუ შეხვედები ხალხს და უფრო იმეიათად, ქორწილში, თუმცა არც იქაა ასპარეზი, ძირითადად ნაცნობები, ჯიბეგაფხეკილები, უინტერესო მსხვერპლი...

აქ კი, მართლა მთელი სამყაროა. მთელი ქვეყანაა. რამდენიც შენ ეს ქვეყანა წარმოგედგინა, ზუსტად იმდენია. ერთმანეთს ეკვრიან, სიყვარულით იმზირებიან, ყველას თბილი და გულისხმიერი სიტყვა აკერია პირზე. დროშებს აფრიალებენ, მუყაოზე დახატულ პორტრეტებს, ტრანსპარანტებს. მღერიათ კიდევ. „სად ვიყავით აქამდე!“ — ამ ფიქრამდე ყველა თავისი ბილიკით მოვიდა. ზოგის გზა ოლროლოდროა, ზოგის — ეკლიანი, ყველამ თავისი ცხოვრება გამოატარა ამ გზაზე, ნახა ტკივილიც და ბედნიერებაც, სიხარულიც და დიდებაც, მარცხიც და წარმატებაც და ზოგმა კი ვერაფერი, ვერაფერი ვერ ნახა და ზუსტად ამ უნახობას მოჰყავს მასზე ფიქრამდე — „სად ვიყავით აქამდე?“

ფრთხილად მოძრაობ, ადამიანებს შორის გზას ოსტატურად მიიკვლევ, სიღრმე გიზიდავს, ოკეანეში მოხვედრილ მდინარის თევზს გავხარ — უცებ უნდა აუღო ალელი, მანევრები გადაანაცვლო, თბილი დინება გეხმარება, ოქროსფერი ქვრიითივით იფრქვევა გარშემო ეს ამდენი ღიმილი და სიყვარული, ხელისგულებს ნიჩბებად იშველიებ, მთელ ამ გაოგნებას — სივრცე-ოკეანის და მოსალოდნელი წყალობის მიმართ — ფილტვებში ინახავ, სუნთქვის ბოლქვებად რომ გამოიყნო, გრძობს, რომ დაგჭირდება, მთავარია არ დანებდე, არაფერმა დაგაბნოს, მთავარია ნაცად წესს მიჰყვე — თვალებში შეუსახლდე მას, ვისაც ჯიბის სარდაფები უნდა ამოუცალო.

ხელისგულებით მიძვრები ოკეანის მღვიმეებში — საფულებების ნიჟარები და ათასგვარი ნივთის სასაფლაოები, თბილი და გაქუცული, სრიალა და უძირო ჯიბეები, კიდევ უფრო შორს — ლაბადების და პალტოების წყალმცენარეებში ჩაძირული ჩანთები, მათ ლაბირინთებში გაყურსული საიდუმლო განძი და ხიფათიც აქვე — უცებ ვინმემ ხელი რომ მახავდოს, უცებ რაღაც ვერ გათვალა, ზედაპირზე ამოგადონ, საქვეყნოდ შეგარცხვინონ, თქვან — ამდენ თევზში მარტო ეს აყროდდა! აყროდებული თევზის ადგილი ჩვენს ახალ წყლებში არაა! უნდა მოისპოს, გაიფატროს, ისაა ჩვენი სირცხვილი და სიმსივნე, ის და მისი ნიარები, ჩვენი ალალი და ნაღდი ერთო-


ბით ხელის მომთმობნი, ჩვენი მომავლის მძარცველები!..

ხიფათის შიში თვალებს ცეცხლით გივსებს, თავბრუდამხვევ ვენებას გრძობს, არსად, არასდროს მსგავსი არ განგიცდია, მაშინაც არა, როცა ბავშვობაში, სოფლის განაპირას, ბორცვზე შემოდგმული უცნობი გმირის მემორიალი ჩუმად ააფეთქე. მთელი ღამე ამზადებდი ამ დიდ, სამყაროსხელას აფეთქებას, ყველაფერი გამოზიდე სკოლის ქიმის ლაბორატორიიდან — კოლბები და ფხვნილები, ძეგლს ძირში შემოუნყვე, ნავთში ამოვლებული ბანრით შეკარი, ბანრის ბოლო მაჯაზე დაიხვიე, მოშორებდი გაიქეცი, კიბანის ამოფარე, ბანარს ცეცხლი წაუკიდე და თვალი გააყოლე — როგორ გაცურდა ცეცხლის გორგალი, როგორ გაიყოლა ნავთის და მინის სუნი, როგორ წაეკიდა გაბზარულ კვარცხლებს და როგორ წამში ააღდა თანგმოდებული, ცალმეტყვეანობითი, თვალბამორჩინილი ძეგლი. ადგილზე აცეკვდი, ტაშს უკრავდი გიჟივით, ცეცხლში რომ ინვოდა უცნობი გმირის ძეგლი, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად გეზიზღებოდა, თავს არ უტყდებოდი, რომ გეშინოდა კიდევ, რომელიც ძალიან, ძალიან, გაჭრილი ვაშლივით შენს მამინაცვალს ჰგავდა...

ჩოჩქოლი გაფხიზლებს, ხელებს ჯიბეში იწყობ და აქეთ-იქით იყურები. დამდება, ხალხი კიდევ უფრო მომრავლებულა, თუმცა უჩვეულო მზარდი და ეს აქამდე ნაცნობ ხმებს არ ჰგავს. „გვარბევინ!“ — გესმის. ეს სიტყვა ტყვიასავით გადაირბენს მთელ მოედანს. შორიდან მალალი და ვერცხლისფერი ჩრდილები ჩნდება, გუგუნის ექოვით მოიწვევენ შუაგულისკენ. უკვე პანიკაა, ყველა ერთმანეთში ირევა, ვილაც ყვირის, რომ ყველა გასასვლელი ჩაკეტილია, ვილაც ამტკიცებს, რომ განაპირა ქუჩებზე უკვე შეტაკებაა.

ოკეანის შუა დგახარ, მდინარის თევზო. ზედ გეხლებიან, მუჯღუფუნით გაგდებენ სამშვიდობოსკენ, ის თვალბეც გაივლებენ, ცოტა ხნის წინ შენი მზერის ბადეში რომ ცოხლართე და ნანახივით აართვი, შეშინებული თვალები. სხვა გზა არაა, უნდა მიჰყვე. „მხეცები, მხეცები!“ — სლუკუნებს მოხუცი ქალი, ზუსტად შენს წინ ჩაჩოქილი, ხელს აშველებ, ქალი დგება, მთელი ძალით გეფხვინება ჩანთაზე, სადაც შენი განძი დევს, მთელი შენი ნააღფარო, ფრთხილად ართმევ, ხელს უნაცვლებ, მკლავს სთავაზობ შესაბუნად, ნაპირისკენ გაგყავს, გზას გითმობენ, მოშორებით ორსულს ხედავ, ხის ძირში ჩამჯდარა, თავი ჩაუხრია, გეგონება სძინავს, უცებ საიდნალაც ჯარი-სკაცი ჩნდება, სახე ზაფხუტით აქვს დაფარული, ტყავის ხელთათმანები აცვია, ცალ ხელში ავტომატი უჭირავს, მეორეში ალესილი ნიჩაბი, ხედავ — როგორ მიწვევს ორსულისკენ, ცოტაც და მასთან გაჩნდება, მანძილს გათვლი — შორს ხარ და ვიდრე შენ მიუხვრებ, იქნება სხვა დაეხმაროს, მთელი ხმით ღრიალებს, შენი ხმა ოკეანეში ჩავარდნილი კენჭივით იკარგება, სხვა გზა არაა, მოხუცს ხელს უშვებ, უფრო სწორად, ვილაცას, ვინც შენს გვერდით თავქედმოგლეჯილი გარბის, იმას აჩეჩებ, ისაც უცებ ხვევს ქალს მკლავებს და ახლა უკვე მოხუცთან ერთად ტოვებს იქაურობას, შენ ფილტვებიდან მთელი დღის დაგროვილი ძალა ამოგაქვს, ორსულისკენ ნახტომს აკეთებ, არც ასეთი ნახტომი გახსოვს აქამდე, მაშინაც კი ვერ შეძელი ასე, როცა დედაშენს უნდა დასწეოდი, მდინარისკენ როცა გაეზობოდა, რამდენიმე ნახტომში ასწრებ ორსულთან მისვლას და ასწრებ, ზედ გადაემხო, სანამ ის ჩაფხუტიანი გოგოს თავზე ნიჩაბს მოიქნევს...

„მაინც გავიმარჯვებთ!“ — ვილაც ჩაყვირის ყურში. ხრილით ჩაგდის ეს ორი სიტყვა, როგორც მთის წვერიდან დაგორებული ქვები, მთელ შიგანს ჩაგიფხრენს, ძვლებსა და მყესებს შორის გაგეჩხრება. ამ სიტყვებს, ლოდებდა ქვეულთ, ცოტა ხნის მერე მუჭით მოაგროვებენ ცოცხლად დარჩენილები, თავკიდედ დადგამენ დინების შუაგულში, დინება იქნება თბილი, ოქროსფერი ჭავლით გადაფულის დიდების მემორიალს, მას შეამკობენ სასთლებით და ყვავილებით, და შენი სახელიც იქნება მასზე, შენი სახელიც გადაირბენს ბაგიდან ბაგიზე, იტყვიან, როგორ აგროვე სიცოცხლის განძი და უმთავრესი სამყაროში — ეგ სახელი მოინადავლე.



დახიუბი
ლაშა კილასონია

დომიტრი ნიკლაური

ასლა, ასლო, ან სადმე, ოღესმე

დასასრული

ყველაფერს ხვალ მივხედავ, გადანყვითა შოშიტამ და დალილი ლოგინში ჩანვა. სასწავლებელი მოაგონდა, აუდიტორიის ხმაური — გაკვეთილი გვიცდებოდა! — ყიყინებდნენ სტუდენტები. ყველაზე მეტად ანა ბაზმანი აქტიურობდა. შოშიტას სულაც არ უხაროდა, რადგან ბიძამისის გადახდილი ფულიდან ყოველი კაპიკის ათვისება სურდა. მერე სკოლა დაესიზმრა, თითქოს გაკვეთილი უცდებოდათ, მაგრამ თვითონ რატომღაც მერხის ნაცვლად კათედრაზე მოკალათებულიყო სვედიანი სახით. როცა გაელვოდა, ჯერ კიდევ ბნელოდა.

— რა ჯანდაბაა! — შესძახა ისევ, თითქოს ეს მისი საყვარელი სიტყვა გამხდარიყო. ფიზიკიდან საათი ამოიღო და დრო გამოთვალა. აღმოჩნდა, რომ მთელ დღეს სძინებია. ნუთუ ბავშვებს ლექცია გაუცდინე, შეშფოთდა, ეს საქმე უბრალოდ არ ჩაივლის. გათენდება თუ არა, ნავალ და დირექციას ყველაფერს აფუხსნი. როცა ინათა, მზე მინას ისე შეეჭვინა, გეგონება, ისრის კონებად შეკრული სხივები ცარიელ თაროზე უნდა შეანყოსო, ხოლო მორყეულ კარადას საღებავი დახეთქოდა.

შოშიტა წასასვლელად მოემზადა, მაგრამ კარი რომ გამოაღო, შიგ გარრილი კონვერტი ზღურბლზე ფარფატი დაეშვა.

— რა ჯანდაბაა? — მესამედ აღმოხდა შოშიტას. ეტყობა, ნერილი გუშინ მოეტანათ. კონვერტში სასწავლებლის ადმინისტრაციის ბლანკი იდო, საბეჭდი მეღნი თ აკრეფილი ტექსტით:

„პატივცემულო კოლეგა!

ბოლო ხანებში დალილობას გამჩნევთ. დამსწრენი თქვენით უკმაყოფილონი არიან. აუდიტორიებში ჩურჩული არ წყდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ სტუდენტების ინტერესს ვეღარ აღძრავთ. თქვენ სიტყვებში ძველებური ცეცხლი აღარ ღვივის. ისე მიხელდა, ძლივსა ხრჩოლავსო. ყოველგვარ უმსგავსობას კი დღევანდელი გაცდენაც დაემატა, რამაც მოთმინების ფიალა აგვივსო. ამის შესაძლო მიზეზად რადგინას მუშაობას მივიჩნევთ, რაც ახალგაზრდა კაცისთვისაც ქანცამწყვეტი იქნებოდა, მითუმეტეს ხნოვანისთვის. ერთ-ერთის დათმობა მოგიწევთ, მერე კი ვნახოთ, დაგაკვირდებით. წინასწარ ვერაფერს შეგპირდებით! ადმინისტრაცია“.

— ცხოვრებაში ასეა, სადაც იმარჯვებ და სადაც მარცხდები! თქვენ კი დიადი მართლის ძიებაში ისე გაერთეთ, ბოლოს ერთ ადამიანზე დახვალთ, რომელიც ყველაზე დიდი ცრუბენტელია აღმოჩნდება! — თქვა შოშიტამ და იმგვარი განწყობა დაეფულა, თითქოს მთელი სამყარო ამხედრებოდა. ტექსტი მეორედ აღარც ნაუკითხავს, ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში როგორც იქცევინას ხოლმე. მტკიცე ხასიათი ჰქონდა და რასაც გადანყვებდა, აღარ გადათქვამდა.

— კარგი ქენით, დეპეშა რომ გამოგზავნეთ! — აღნიშნა ხმამაღლა, ყველაზე ვაჟკაცურად მონოლოგი რომ გამოსდიოდა, — ისედაც ჩემთვის ბედნიერების მხოლოდ მეორე ვარიანტი არსებობს — სადმე და ოღესმე — ამიტომაც მუხუშს ვირჩევ. ადამიანებზე როგორღაც გული ავიყარე, ფიტულები უფრო ახლობლებად მეჩვენებინან...

წარმოვიდგენ, ზღვის ზედაპირზე პირქვე ვწევარ და ვლივლივებ. ცალი თვალით მკრთალ ჰორიზონტს ვუყურებ. ჩემი სუნთქვის რიტმს აყოლილი ტალღები ნელა მარხევენ იქით-აქით. თითებით უშველებელი ვეშაპის ზურგს ვეფერები. გამჭვირვალე წყლიდან კარგად ჩანს მისი ლურჯი, ძალიან გლუვი კანი. საათების განმავლობაში, ამ უკიდევანო სივრცეში, მხოლოდ ის იცვლება, რომ მე და ვეშაპს მუცლით ტივტივი გვებზრდება და ზურგზე ამოვბრუნდებით ხოლმე. ის თავის უზარმაზარ ფარფლებს წყალზე აატყლაშუნებს, მეც იმავეს გავიმეორებ ჩემი გამხდარი ხელებით, თითქოს მასზე უხილავი თოკებით გადაბმული მარიონეტი ვიყო. მერე ვხედავ, როგორ ვიკარგები ვეშაპის თეთრი მუცლის ფონზე. ვეშაპიც უჩინარდება ლურჯი ზღვის ზედაპირზე. მერე ზღვაც და ვფხიზლდები.

ხავსშემხმარი ლაქებიანი ქვიდან ვიხედები წყალში, სადაც არ ვჩანვარ. უშველებელ ქვაბში ვიხარებ და ციური სხეული ახურებს ჭურჭელს. ბუზები დამხვევიან, მაგრამ მკვდარი არა ვარ. ალბათ უსუფთაო მზარეული ჰყავს სამზარეულოს. შესაკმაზად ჩაუყრია იასამინისფერი ყვავილები, რომელიც არაა იასამანი. არ ვიცი, რისთვის, ბლომად სოდას აყრიან ქვაბში. სითხე დულდება, იღებს მწვანე შეფერილობას. გასაქცევს ვხედავ, ჭურჭლის კიდეა ჩალენილი, მაგრამ არ ვცდილობ გავეპარო აქაურობას, რადგან მომწონს, ჩემი გემო რომ მოსწონს ვილაცას.

სიბნელემ წაშალა ჰორიზონტი, წითელი სამკუთხედი ჰაერში დარჩა. ქარმა ჩემს კანზე მოხატა ფონტი. ჭიპი მაქვს კრატერად, სისხლი კი მაგმად. მწვანე ხომალდებთან მშვიდად მიმეძინა, უცნაურ სიზმარში მასმევედა საკეს უჩია სასკე.

ნეტავ კალმარი ვიყო, ოკეანეში ჩაცვენილი შენი სხეულის ნაწილების ზედაპირზე ამოთრევა რომ შემძლებოდა. ვდარდობ, საცეცების ნაცვლად ორი სუსტი ხელი რომ მაქვს, რომლებმაც ცურვაც კი არ იციან. იმაზეც ვდარდობ, შენს საშველად განვიდო სევდის ჭუჭყით დასვრილ თითებს რომ ხედავ მხოლოდ. უცნობ ქუჩაზე ვილაცის სახლიდან გამოსული საჭმლის სუნით გამყვა შენი მზერა. გამახსენა, ერთმანეთს რომ ვეკვროდით, როგორც კატა ხის რიკულებს ზამთარში. და სანამ სისველისგან კანი მანდარინით გაგძვრებოდეს, ვიდრე ფილტვები საბოლოოდ შეგეკუმშება, შენი გულის ბოლო ამოფეთქვით გამონვეულ ვიბრაციებს ვიგრძნობ. და კალმარი რომ ვიყო, ამ ვიბრაციებს ფსკერამდეც გამოვყვებოდი. მაგრამ არ ვარ.

22 დეკემბრის ღამეს ველოდებოდი, შენზე ფიქრი უფრო დიდხანს რომ შემძლებოდა. სიზმრები, რომლებსაც ვერასდროს გავიხსენებდი, უფრო მეტჯერ რომ მენახა. კიდევ მეგრძნო, როგორია, როცა სანოლზე მაგნიტივით მიწებებული თვალის გუგებსაც ვერ ამოძრავებ. შეშინებული დავლოდებოდი პირველ სხივებს, რადგან სინათლის ერთი ნაწილაკიც კი რეალობაში დამაბრუნებდა. მიხაროდა, ეს ნაწილაკი ცოტა უფრო გვიან რომ მომხვედებოდა, ვიდრე — გუშინ. 22 დეკემბრის ღამეს ასე ველოდებოდი, როცა შენ სხვის უხემ სხეულს ყველაზე დიდხანს მიეკრობოდი.

ჩემი წითელი ყვავილები ჭკნება და შენ ამაზე არაფერი იცი.



2048 წელი. ანუ. პალტიმოცი

ორმა კვირამ სწრაფად გაიზარდა, იმაზე გაცილებით სწრაფად, ვიდრე ეგონა, თუმცა, სულ რაღაც ორივე წუთის წინ გულწრფელად ეჩვენებოდა, რომ ზამბარასავით განელილი-გაჭიმული დრო უსინდისოდ წელა მიინევდა. და, აი, ეს ლამის უკვე ჩვეულებად ქცეული საშინელება, როგორც იქნა, დამთავრდა. თვალისმომჭრელი შუქის გაელვებამ უცებ წაღვეს ყველაფერი გარშემო და მის სიცოცხლეს აზრი და არსი დაუბრუნა. სინათლის სხივს მონატრებულს უნებურად მაინც მოუწია ქუთუთოების ერთდროულად მოჭრება, რამეთუ ბუნებრივმა სიფრთხილემ მოთინებულს მოუწოდა. ათიოდე წამი მოიცადა, მერე კი ფრთხილად და რიგრიგობით გაახილა ორივე თვალი — ჯერ მარჯვენა, შემდეგ კი მარცხენა — და ყურადღებით ჩააკვირდა მის თვალწინ გადაშლილ და მისთვის ესოდენ ნაცნობ სამყაროს.

აღელვებისგან ბებერ გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, თუმცა, სულ მალე აღმოაჩინა, რომ სანერვიულო არაფერია და გულიც ნელ-ნელა დაუბრუნდა ჩვეულ რიტმს. ირგვლივ ყველაფერი ძველებურად მყარად დახვდა, სავარძელი აქეთ-იქეთ შემოაბრუნა, არემარე ყურადღებით შეათვალა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი უცვლელად დარჩა: სამუშაო კაბინეტის კედლის მთელ სიგრძე-სიგანეზე გადაჭიმული მოდერნისტულად მოხატული შპალერი — სისხლისფერი ჩინური იეროგლიფები მსუბუქ მოყვითალო ფონზე; დიდი ხანია, მისი სხეულის ბუნებრივ გაგრძელებად ქცეული მუხის ტლანქი მაგია; მაგიაზე, ხელის ერთ განწვდობაზე, ქსელში მუდმივად ჩართული სმარტფონი, რომელიც ამ ორი კვირის განმავლობაში წამითაც კი არ გამოერთულა, რადგან მის გარეშე ის წყვიდადის ამ ორკვირიან მართონს ალბათ ვერ გაუძღვებდა, ასე კი ნაირნაირი ხმოვანი ტექსტებით იფერადებდა ფერდაკარგულ ცხოვრებას. იქვე შემოდებული ნივთებისა და სამეცნიერო ჟურნალების მთელი დასტა, ბოლოს საფერფლე (მიუხედავად იმისა, რომ, კარგა ხანია, დაანება თავი მოწვევას, საფერფლე მაინც მისი მყოობადის მუდმივ ატრიბუტად რჩებოდა); მალა კერამიკულ ჭაქაში მოთავსებული პასტის კალმისტრები, რომელთაც ნახევარი აღარ წერდა... და კიდევ გვერდით მუდმივად მიერ დილით მორთილებული და ბოლომდე დაუცვლელი ჩაისი ჭიქა... კიდევ კარგი, მოულოდნელობისგან ხელიდან არ გაუსხლტა და არ დაიმსხვრა.

საბედნიეროდ, მოსამართლე კეთილი კაცი შეხვდა — ასეთები დღეს იშვიათობაა, თითქმის ყველა რობოტიკით მიყვება გაიდლაინების ყვალს. ამას კი, როგორც ჩანს, მაინც შეეცოდა ესოდენ ხნიერი დამნაშავე, რეალურად კი ერთი უმწეო მოხუცი იმიგრანტი და განაჩენის გამოტანისას მხედველობასთან ერთად კიდევ სმენაც არ გამოურთო, ანუ კარი კი ჩაურაზა, მაგრამ სამყაროში გამაზვალ სარკმელს მაინც ღია დაუტოვა. არადა იმ ერთი დარჩენილი დარბაზის მიხურვაც ავიღებდი შექმლო და კაციშვილი ვერ გაუპროტესტებდა გადამწყვეტილებას. ამ მოხუცმა ხომ დიდ მალაზიასი მოლაურ შავკანიან გოგონას, რომელიც ჩეკის ამორტყმისას ოდნავ შეყოვნდა, ყველა გასაგონად მიმართა საშინელი სიტყვით „ზანგი“, You nigger... მეტიც, ამას მთავრობის სიტყვათნებობა „You lazy dirty girl“, ანუ თანდაყოლილი სიზარმაცეც უხსენა. ვერ შეიკავა თავი რა... ძალიან ცუდად მოიქცა, ძალიან, მეტი რომ არ შეიძლება. რაც იქ მაშინ დატრიალდა... ეგერე დაცვა გამოიძახეს და აიყვანეს. პროტესტს აზრი არ ჰქონდა, მუდარამ კი არ გაჭრა.

უჰ, ნუთუ ყველაფერი უკანაა? მაინც მალე დაიბრუნა ჩვეული სიღინჯე და მდგარობა. მიუხედავად ასაკისა, გულს არ უჩიოდა — დღემდე არც სტენტი, არც შუნტი, არც სტიმულატორი. კარგი გენეტიკა გამოჰყვა ამ მხრივ ცხოვრებული ბებია-ბაბუისაგან, ას წლამდე იცოცხლა ორივემ შორეულ სამშობლოში.

— ნენსი, ნენ, როგორც იქნა, თვალი ამეხილა! გადავრჩით! მოდი აქ, მომილოცე. Come here, Nancy!... — უმალ შეუძახა ცოლს რატომღაც გვარიანად მივინებულ მშობლიურ ქართულ ენაზე, რომელიც მისი ცოლისთვისაც, შვილებისთვისაც და, მით უმეტეს, შვილიშვილებისთვის, ამდენი ხანი თანაცხოვრების მიუხედავად მაინც იდუმალ და უცხო ბგერათა ერთობლიობად რჩებოდა — რათა ემცნო და გაეზიარებინა უახლოესი ადამიანისთვის სიხარული ჩვეულ სამყაროში მშვიდობიანად დაბრუნებისა. მეუღლე ამ წამს ახლო-მახლო ეგულვებოდა, მაგრამ ვაგლას — პასუხი არავინ გასცა. სახლში დუმილი სუფევდა. უცებ გაახსენდა, რომ ნენსი შინ არც უნდა ყოფილიყო, მან ხომ ჩაის შემოტანისთანავე გააფრთხილა, რომ პროდუქტებზე აპირებდა გასვლას, ხოლო შვილები და შვილიშვილები ისედაც სხვა ქალაქში ცხოვრობდნენ, ჩიკაგოში...

კარგია, რომ თვალახელიზე თავბრუარ ეხვევა, ეგეც საქმეა... მინის ყივილი, ირონიულად გაიფიქრა მან, მერე მიიმედ და ხვნემა-ხვნეში წამოგდა, მბრუნავი სავარძლიდან იქვე მყარად მდგარ რბილ დივანზე გადაინაცვლა და ნებიერად გაიზმორა, მისცა თავს მცირედი რელაქსაციის

უფლება. ახლახან მისი ცხოვრება ისე ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა, უკვე სრულიად ბედნიერად (რამდენადაც შეიძლება იყოს ბედნიერი ოთხმოც წელს გვარიანად გადაცილებული, თუმცა საკმაოდ ჯანსაღი და კარგად შენახული დარბაზული კაცი) გრძნობდა თავს და სულაც არ ჩქარობდა სახლიდან თუნდაც ეზოში გასვლას. მოთმინება არჩია, ყოველ შემთხვევაში, ცოლის სახლში დაბრუნებამდე. თანაც, ნენსის ქართულად დაძახებაზე გარდასულ დროთა ნაირნაირი მოგონებებით სავსე სკივრი დაუკითხავად გახსნილიყო და მანაც, თავისდა უნებურად, ამ სკივრიდან ობზიდული და მეხსიერებიდან თითქმის ამომოღილი საგნების თანდათან ამოღებდა დაიწყო, რაც, კაცმა რომ თქვას, სრულიად ბუნებრივი ამბავია ესოდენ ასაკოვანი კაცისთვის.

მაინც რა ყოფილა ეს წუთისოფელი! ვა, სოფელი, რამიგან ხარ, რას გვებრუნებ, რა ხნე გჭირსა? — გაახსენდა მშობლიურ ქართულ სკოლაში გადასვლაზე გაზეპირებული და მის მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი სტრიქონი... განა წამით მაინც გაიფიქრებდა რაიმე ამას ოდნავ მაინც მიმსგავსებულს, როდესაც იმედებით აღსავსე მოდიოდა აქეთ, ოკეანეს გადაღმა, ორმოცდათხუთმეტი წლის წინათ?..

როგორ კითხა მოსამართლემ, სანამ განაჩენს გამოუტანდა და ორი კვირით გამოურთავდა ამ დასაქცევ თვალებს? მგონი, თავად იყო შეწუხებული: თქვენი ასაკისა და სტატუსის ადამიანს მხოლოდ მხედველობის ამ ორკვირიან გამოტანას გაკმაობთ, თუმცა კანონი სრულ უფლებას მანიჭებს სმენის სამკვირიანი გამორთვაც დაგემატოთ, რადგან უკვე ზედზედ მესამეჯერ ხართ შემწეული ბოროტ ვერბალური განზრახვებებში, ეს კი აშკარა რეციდივი ესოდენ. ასეთი სამარცხვინო საქციელი ესოდენ განსწავლული და დამსახურებული ადამიანისგან, მაგრამ კანონი, მოგეხსენებათ, ყველასთვის ერთია...

კიდევ კარგი, რომ ნობელის პრემიის ლაურეატობა ჯერ კიდევ რაღაცას ნიშნავს ამ დალოცვილ ქვეყანაში და მის აუღებელ ციხე-სიმაგრეს დამსავსებულ სასამართლოში.

ან ის როგორ იყო, როდესაც პროცედურის დასაწყისში, მოსამართლემ, სახელის, გვარისა და საიდენტიფიკაციო ნომრის შემოწმების შემდეგ, უმარტივესი ფორმალური შეკითხვით მიმართა: „წარმოშობით


საიდან ბრძანდებით, მისტერ აბს... მისტერ აბსაძე“? მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, ასე უპასუხა: „ჯორჯიიდან, ბატონო მოსამართლევ“.

აღრე, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, მსგავს შეკითხვას — ხან კოლეჯში, სადაც ლექციებს კითხულობდა, ხან პაბში, ხანაც, თუნდაც, პოლიციელისთვის პასუხის გაცემისას, ის ყოველთვის შეფარული ირონიით პასუხობდა, რომ ძირძველი ბალტიმორელი ამერიკელია ჯორჯიიდან. მაგრამ აი, ის დღეც დადგა, როდესაც მოერიდა სიმართლით განზავებული ამ სიცრუის მართლმსაჯულების წინაშე გამოცდას...

ბოლოს და ბოლოს, ოთხმოცდაერთი წლის კაცისთვის ტყუილი საკადრისი არაა, ის ხომ სინამდვილეში მართლაც ჯორჯიიდანაა, ოღონდ ისტორიული ჯორჯიიდან,

გიორგი ლორთქიფანიძე

რეციდივისტი



და არა მერილენდის შტატის ამ უდიდესი და სამეცნიერო ლაბორატორიებით გატენილი ქალაქიდან. რაის ბალტიმორელი? შტატებში ჩასვლის შემდგომ აქ — ჯერ „გრინ კარტისა“ და შვიდი წლის გასვლის მერე უკვე ამერიკის კანონიერად მიღებული მოქალაქეობის საფუძველზე, ხომ მხოლოდ ცხოვრობდა და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა, მეტი არაფერი... ნუ, ოჯახი ცალკე თემაა... რა თქმა უნდა, საკმაოდ მალაღ ანაზღაურებასაც იღებდა თავის შრომაში, განსხვავებით საქართველოში დარჩენილი მისი ნიჭიერი კოლეგებისგან — მათ იქ, მეორე სამყაროში, მსგავსი არაფერი დაეისიზმებოდათ. აქ კი ის მილონიურია, ნამდვილი მილიონერი. ნახევარი საუკუნის წინ ამაზე, ცხადია, ვერც კი იოცნებებდა, მაგრამ... მაგრამ ცხოვრებამ ასე განსაჯა და ამ მხრივ ნებისმიერი მისი პრეტენზია აბსოლუტურად უადგილო იქნებოდა. ამერიკა კი... მადლობის გარდა რა თქმის იმ ქვეყნისთვის, რომელმაც მიიღო, გულში ჩაიკრა, თავისიანად აღიქვა და ასე გაამდიდრა? სხვა არც არაფერი.

„მერილენდის შტატში ჯორჯიიდან რამ ჩამოვიყვანათ?“ — ისე იკითხა მოსამართლემ. იძულებული გახდა, დაეზუსტებინა თავისი სტატუსი: „ხუთ ათეულ წელზე მეტია, ბალტიმორის ჯონ ჰოპკინსის სამედიცინო ცენტრის თანამშრომელი ვარ, თანაც ნობელის პრემიის ლაურეატი ბიოლოგიაში... დიახ, წარმოშობით მართლაც ჯორჯიიდან ვარ, ოღონდ არა ჯორჯიის შტატიდან, ეგ უბრალო დამთხვევაა. საქმე ისაა, რომ ინგლისურ ენაზე ჩემს სამშობლოს ზუსტად ასე უწოდებდა — ჯორჯია“. მოსამართლე ამის გაგონებაზე ოდნავ შეცბა და მის პასუხს ასე გამოეხმაურა: „დიახ, გამიგია ასეთი ქვეყნის არსებობის შესახებ. ჯორჯია... სადაც ალმოსავლეთი რუსეთის ტრამალებშია ჩაკარგული, არა?“ ნუ, ამაზე, აბა, რა პასუხი უნდა გაეცა იმ მანტიით დამშვენებული კაცისთვის, რომელსაც მისთვის რამდენიმე წუთში განაჩენი უნდა გამოეტანა? დაეთანხმები — უი — არ დაეთანხმები — ვაი, ისეა უპასუხი — დიახ, ბატონო მოსამართლე, მართალია ბრძანდებით. სწორედ, აი, იმ ჯორჯიიდან გახლავართ, რომელიც აქედან მოშორებით, სხვა ნახევარსფეროშია მოთავსებული. ისე კი, ჩვენ რეგიონს ოდითგანვე კავკასია ჰქვია, სამხრეთი კავკასია... ამის შემდეგ კი მოსამართლე სხვა, ნაკლებად სასიამოვნო, კითხვებზე გადავიდა...

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას მერე და მაინც გუშინდელით ახსოვს თბილისიდან გამგზავრების მარტის ის მუქი დღე ორმოცდათხუთმეტი წლის წინათ. უფრო სწორედ დამე, რეისი ლამის სამ საათზე იყო... ეჰ, რა ახალგაზრდა და ენერგიული იყო მაშინ!

აფრენამდე სამი საათით ადრე უკვე აეროპორტის შენობაში გამოცხადდა. მთელი დღის განმავლობაში ღრუბლების მიქმე მტევნები აწვებოდა ქალაქს, ხან ჟინჯლავედა, ხანაც წვრილად ცრიდა, ხან ისევე ჟინჯლავედა, იბერებოდა, მაგრამ თავს მამში არა და არ გადადიოდა... საღამოს კენ კი, უკვე როცა ტაქსის აჩერებდა ქუჩაში, ამ ყველაფერს ადრეული გაზაფხულის ბურუსიც დაერთო, გიჟმაჟი მარტი ახალ-ახალ კლიმატურ სიურპრიზებს უქადადა ვიზაჩარტყმული მგზავრების სამომავლო ბედნიერებას... ახლაც შესანიშნავად ახსოვს, როგორ ნერვიულობდა, ვაითუ, უამინდობის გამო რეისი გადაიდოს და ჩემი ლოდინი კიდევ რამდენიმე დღით გაინელოსო... გონებით ხომ უკვე, კარგა ხანია, იქ იმყოფებოდა — ოკეანეს გადაღმა, თავისუფლების ქანდაკების ძირსა და სხივებქვეშ...

ამერიკა, ამერიკა, ალტქმული მინა! აქეთ კი რას ტოვებდა? ადგილობრივ მითებსა და ლეგენდებს? და კიდევ რაღაც მთებსა და მდელოებს? ბუნებაში ხეტიალი ისედაც არ უყვარდა, არც დრო ჰქონდა სამაგისო, არც სურვილი. თუმცა, პატარა რომ იყო და და-ძმასთან ერთად ზაფხულობით ქვიშხეთში ისვენებდა, მაშინ კი უყვარდა მტკვრის პირას ჭალებში სეირნობა. მაგრამ იმდენმა წყალმა ჩაიარა მტკვარში მას მერე... აღარაფერი აკავებდა აქ, ამ არეულ, ნახევრადმშვიდ და არსით პროლეტარულ ქვეყანაში. თანაც რომელი პროლეტარი ეგ იყო, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი დედ-მამის შვილი? იცოდა, რომ არც თბილისის ქუჩებზე დარდი მოკლავდა... ანუ, სინამდვილეში ბევრს არაფერს ტოვებდა, მშობლების გარდა. ნუ, მათაც მხოლოდობით ხომ არ ტოვებდა, დაც თბილისში რჩებოდა და უფროსი ძმაც, ყოველთვის ყოვლადმხარბი მიმხედავი — პირიქით, აქეზებდა მთელი ოჯახი, მიდი, ნადი, ნუ ყოყმანობ, საქმეს მიხედ, ჩვენი სიამაყე ხარ და იცოდე, იქ, ამერიკაში, არ შეგვარცხვინო და იმედები არ გაგვიწილო.

კი, ზუსტად ასე იყო. ოჯახის წევრები ყოველწლიურად მხარში ედგნენ, შეიძლება ითქვას, ცოცხლობდნენ უმცროსი ბიჭის გენიალობის იდეით, გრძნობდნენ, რომ აქ, საქართველოში, მისი პიროვნული რესურსები დისერტაციის დაცვასთან ერთად უკვე სრულიად ამორეაქტივირდა. იქეთ კი, ოკეანეს გადაღმა, ამერიკა ელოდებოდა, მოკიფე მანათობელი ვარსკვლავი, ნატურის თვალი... მისთვის კი განსაკუთრებული ნატურისა და ნათებისა. ის ხომ ალტქმულ ქვეყანაში გაჭირვებისგან თავის დასაღწევად და ფულის საშოვნელად არ მიემგზავრებოდა, ვითარც მავანი მისი თანამემამულე, რადგან მის მშობლებს — გარდა დოცენტებისთვის საკადრისი ხელფასისა — მრავალწლიანი რეპეტიტორობით მოპოვებული გვარიანი და მყარი შემოსავალი გააჩნდათ. და არც „ლევი სტრატეგისა“ თუ ლუი არმსტრონგის ხრინიანი ხმის ხათრით. იქეთ მას იზიდავდა მისი საფიცარი ნეირობიოლოგია, სწრაფად განვითარებადი დარგი, რომელიც ლამის სკოლის მერხიდან მისი პირადი სამყაროს ერთ-ერთი ბურჯი და ქვაკუთხედი გახდა, მით უფრო, რომ გაცილებით ადრე, ვიდრე ამერიკის მზე შემოუჭყვინებდა, პირველი ნარმატივის ექიმს უკვე მოსინჯული ჰქონდა. ბედი მდევიარი სკოლისა და სტუდენტობის მერეც წყალობდა. ასპირანტურა შესაშურად გაიარა, რამეთუ თავის საქმეში უსაზღვროდ შეყვარებული, მცოდნე და პატიოსანი ხელმძღვანელი შეხვდა. მარტო ის რად ღირდა, რომ სამ დათქმულ წელიწადში მოახერხა დისერტაციის სანიშნოდ დაცვა. თუმცა იმ მომენტისთვის უკვე კარგად ესმოდა, რომ ეს იყო მაქსიმუმი, ხვდებოდა, რომ მის ნიჭს საქართველოში შემდგომი გაქანება და განვითარება არ ენერა, რომ ასპირანტი აქ ვერო და შეზღუდულია და, თუ მართლაც ეს უნდა, ბუნებრივი ამბიცია დაიკმაყოფილოს, როგორმე უნდა გაარღვიოს ეს შეკრული წრე და თავისუფალ სამყაროს მიამშუროს — სხვა გამოსავალი არაა. ამაშიც ძალიან გაუმარტოლა — ნახევარი საუკუნის სიმაღლიდან დღეს ეს კიდევ უფრო მკაფიოდ მოჩანს...

სიჭაბუკიდანვე ცნობისმოყვარეობითა და მახვილი გონებით გამოირჩეოდა, უწინააღმდეგველად ენათმეცნიერობაში — ქართულსა თუ რუსულს — ინგლისურადაც ბევრს კითხულობდა (ენის რეპეტიტორთან ადრეულ ბავშვობაში მიიყვანეს), შიგადაშიგ აკრძალულ უცხოურ რადიოსაც უსმენდა, არც ბრმა იყო, არც ყრუ და არც ბედის მონა-მორჩილი. ამასთან, მაინც ამ ქვეყნისა იყო და კარგად გრძნობდა ყველანაირ ხილულ ხიფათსა თუ ფარულ ხრიკს, რომელიც — სურდა ეს ვინმეს თუ არა — ემუქრებოდა მის შემდგომ წინსვლასა და წარმატებას. და განა მარტო პირადულს... საქვეყნო შტორმის მოახლოებასაც ისევე გრძნობდა, როგორც ყველა, ვინც მაშინ ოდნავ მაინც დაჯილდოებული იყო წინათგრძნობის საშუალო ნიჭით. მავან თანატოლზე ადრე ჩასწავდა იმ გარემოებას, რომ ეიფორიის მდგომარეობაში შესული საზოგადოება დღეს ფერადი ილუზიებით იკვებება და სულდგმულობს, ხვალ კი მეცნიერება ყველას გადაავინწყდება, რამეთუ როცა აქ ერთობლივი ძალისხმევით მწველ და ხანძარში გარდამავალ კოკონს აავიზგიზებენ, მერე ველარ ჩააქრობენ, არადაგან არც მეხანძრე ეყოლებათ და არც შლანგში ეყოფათ წყალი, და აღარავის ექნება მერე იქების, იგრეკებისა და ლაბორატორიული ბაჭიების თავი.

არა, ქვეყნის დროულად დატოვება მართლაც უკიდურესი აუცილებლობა იყო, მაგრამ ამის მისაღწევად მისთვის ბედსაც დროულად უნდა გაეღებინა... და მალე გაუღებია კიდევ. ბედისწერა, როგორც ჩანს, ზოგჯერ სამართლიანია.

იმ გარდამავალ წლებში კახეთში ჩატარებულ ერთ-ერთ ეგზოტიკურ ბიოფიზიკურ კონფერენციაზე (მაშინ ასეთი საერთაშორისო შეხვედრები ინერციით ჯერ კიდევ დრო-დრო იმართებოდა ხოლმე), აუდიტორიის წინაშე მოკლე მოხსენებით გამოხატა მოუხნია და აქვე სტუმრად მოწვეული დიდი კალიბრის ამერიკელი მეცნიერი, ვინმე პროფესორი ადამისი გაიცნო, რომელიც, თურმე, ძალზე დაინტერესებულიყო — მეტიც, მოხიბლულიყო — ქართული მეცნიერის ნაშრომში გამოკვეთილი ორიგინალური იდეით. ბანკეტის დროს კი ამერიკელმა გაანდო, მსგავს კვლევას ჩემს ლაბორატორიაში ვანარმოებ და ამერიკაში ჩასვლის სურვილი თუ გექნებათ, თქვენთან სიახლოვეში ვითანამშრომლებთ და ჩვენი უნივერსიტეტი სათანადო სამუშაო თუ ყოფით პირობებსაც შეგიქმნითათო. ტელეფონებიც გაუცვალეს ერთმანეთს... თავიდან ვერც კი იგრძნო — ამის გააზრებას დრო დასჭირდა — რომ სწორედ იმ დღეს მისთვის შინაგანად ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდა, გაიწყვიტა სამშობლოსთან და ადგილობრივ მეცნიერებასთან უკანასკნელი დამაკავშირებელი მყიფე ძაფი, ჯერ, რასაკვირველია, მხოლოდ ქვეცნობიერად... თუმცა, შინაგანი გადამწყვეტილებიდან რელიურ გამგზავრებამდე მანძილმა მთელ ორ წელს გასტანა და ამასობაში საქვეყნო შტორმი მართლაც იქცა ცუნამად, ძველი ქვეყანა ბოლომდე მიანგრ-მოანგრია და ნანგრევებზე ომი და კაცისკვლა გააჩაღა. არადა, პოლიტიკას, უნივერსიტეტიდან მოყოლებული, ორგანულად ვერ იტანდა. არც კომკავშირში გამოუჩინია თავი, ქუჩის არც ერთ მიტინგს არ დასწრებია, ყველა პოლიტიკოსი, ამნაირიც და იმნაირიც, იმთავითვე აფერისტად ან ფანატიკოსად მიაჩნდა, მაგრამ მწარე სინამდვილეს ვერსად გაექცეოდა... უფრო სწორად, კი გაექცეოდა, ოღონდ მხოლოდ ოკეანეს გადაღმა... მაგრამ გამგზავრებამდე ჯერ უამრავი ბარიერი უნდა გადაელახა...

აფხაზეთის ომი ახალი დაწყებული იყო, როცა, როგორც იქნა, გაბედა (ტელეფონით გასაუბრება ოკეანის გადაღმა მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ ძვირი ღირდა) და თავად დაუკავშირდა იმ ამერიკელ პროფესორს დიდი თხოვნით: ასე და ასე, ქვეყანა თავზე გვექცევა, მეცნიერება ვიღას ახსოვს, ყოველგვარი დაფინანსება პრაქტიკულად შეწყვეტილია, ყველა კვლევა გაჩერებულია და, იქნება, როგორმე მიშველოთ, ამ ჯოჯოხეთიდან გაძლენიოთ და თქვენს უნივერსიტეტში მიმიწვიოთ თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო თანამდებობაზე, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, საინტერესო შედეგების მოპოვება მაინც მოვასწარი, ახალი იდეებიც დამიგროვდა, და თქვენი ლაბორატორია საუ-

კეთესო ადგილია დედამიწაზე, სადაც მათ ხორცშესხმა რეალობად შეიძლება იქცესო. ამ საკმაოდ ხანგრძლივი საუბრის განმავლობაში გასაგებად აუხსნა ამერიკელ მეცნიერს თუ რა ტიპის ახალი იდეები და მოსალოდნელი შედეგები ჰქონდა მხედველობაში — მართლაც შეძლო მისი დარწმუნება საკუთარ სიმართლეში. ჰოდა, გაუფო იმ კაცმა და აღუთქვა კიდევ: მთელ ჩემს გავლენას გამოვიყენებ, რათა თქვენ არც მეცნიერებას გამოაკლდეთ და არც ამერიკასო და ჩემს კონგრესმენსაც შეეანუხებ ვიხასთან დაკავშირებული პრობლემა თუ შეგექმნათო. აღუთქვა და შეუსრულა კიდევ დაპირება. დღემდე მადლიერია იმ მაიკ ადამისისა, ან უკვე კარგა ხანია გარდაცვლილისა.

სინამდვილეში კი მის მეცნიერულ ცხოვრებაში ყველაფერი გაცილებით ადრე, საშა კალანდაძის ლაბორატორიით დაიწყო. თბილისის ნეიროფიზიოლოგიის კვლევით ინსტიტუტში ეს ლაბორატორია მაშინ არა მარტო მოწინავე, არამედ ყველაზე პერსპექტიული და, შეიძლება ითქვას, რევოლუციური იყო. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორს ალექსანდრე კალანდაძეს, რომელიც ქართულად ძლივს ლაპარაკობდა და თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება საბჭოთა დედაქალაქში ჰქონდა გატარებული, ქართული აკადემიური მეცნიერების მამინდელმა მესაჭებმა (რა თქმა უნდა, მთავრობასთან შეთანხმებით) შრომის გაცილებით უკეთესი პირობები, ახალი ოთხთახიანი ბინა ვაკეში და აკადემიური დიდება შესთავაზეს, და ამგვარად აცდუნეს საქართველოში ჩამობრძანებულიყო, რათა აენყო აქ ეს მოწინავე დარგი და ამით მოეხადა თავისი პატრიოტული ვალი... ორდერი და ბინის გასაღები მართლაც ჩამოსვლასთან შეაგებეს, მაგრამ ამის (და კიდევ ცალკე ლაბორატორიისა და რამდენიმე ასპირანტის) გარდა არაფერი შეუსრულებიათ... ეჰ, ვისლა ახსოვს დღეს საქართველოში კალანდაძე — გაიფიქრა უნებურად თვალახელილმა ნობელიანტმა შორეულ ბალტიკში — არადა, ეგ რომ არა, ქართველებს დღეს ნობელის პრემიის ლაურეატი ჩემი სახით ამ დარგში საერთოდ არ ეყოლებოდათ...

მაშინაც, ნახევარი საუკუნის წინათ, ასპირანტურაში იმის გამო აიყვანა კალანდაძე, რომ ხალასი ნიჭი და საქმისადმი ერთგულება დაინახა მასში, ბიოლოგიის ფაკულტეტის ერთ ამბიციურ და გამოუცდელ თბილისელ სტუდენტში. ჯეროვნად დააფასა მისი ფანატიციზის დონე — ათასი სტუდენტიდან ერთი რომ იყო დაჯილდოებული მხოლოდ. იმ წლებში მართლაც ერთი გაუშალა ამინდები ერთუზიანის იყო, უსაზღვროდ შეყვარებული ბიოლოგის იმ ნაწილში, რომელიც ადამიანის ტვინის საიდუმლოს იკვლევდა, ოღონდ ჯერ კიდევ საკმაოდ დუნედ და დიდი მიღწევების გარეშე. არც იყო გასაკვირი. ტვინი იმდენად რთული ფენომენია, რომ... მას ახლაც — უკვე მთელი განვლილი ცხოვრებისა და ხანგრძლივი მეცნიერული გამოცდილების საფუძველზე — ღრმად სწამს, რომ ჭეშმარიტად დიდი სამეცნიერო აღმოჩენა მკვლევისგან აუცილებლად გარკვეულ ფანატიზმს მოითხოვს, მწვერვალი სხვანაირად ვერ მოიღწევა. და კიდევ ბედი. ბედის დროული გადინება აუცილებელია, და არავინ უწყის, რომელია წარმატების ფორმულის უფრო მნიშვნელოვანი შემადგენელი — ბედი მდევარი თუ ფანატიზმი... აი, კალანდაძე კი იყო თავისებურად ფანატიკოსი, მაგრამ ბედმა უმუხტა... სხვა მომენტებში იჩინა თავი. როგორც კარგა ხნის შემდეგ, უკვე ამერიკაში ჩასულმა, საქართველოში დარჩენილი კოლეგებისგან შეიტყო, მისი ყოფილი სამეცნიერო ხელმძღვანელი ადგილობრივი ქართული აკადემიის მესვეურებმა მწარედ მოატყუეს. არადა, რას არ ჰპირდებოდნენ ადრე, მოსკოვიდან გადმოყვანის წინ: აკადემიკოსობას, ცალკე ინსტიტუტს, ოქროს მთებს... და იმანაც დაუჯერა. სინამდვილეში კი განყოფილების გამგის დონეს არ ააცილეს, მერე კი საერთოდ გარიყეს — როგორც ამბობენ, ზედმეტი ამბიციურობის გამო. ეგ მარცხი ველარ მოინელა კალანდაძემ და კიბოთიც, საგარაუდოდ, ამის გამო დაავადდა. ტყუილად როდი ამბობენ, დარდი და ბოლაჩენა კიბოსო. გულუბრყვილო კაცი აღმოჩნდა კალანდაძე...

გაასხენდა ისიც, რომ პირველი წარმა-

ტებული ექსპერიმენტები ვირთხებსა და ბაჭიებზე ჩაატარეს, ასეთი ცდების მთელი სერია რომ გადაამოწმეს, მხოლოდ მას მერე გაბედეს მიღებული საოცარი შედეგების გამოქვეყნება. პირველი დიდი შრომა საქართველოს მეცნიერების მოამბეში სწორედ კალანდაძესთან თანაავტორობაში დაბეჭდა, თან კალანდაძე პირველი ავტორი იყო. მაშინ ყველაფერი თითქოს ჯერ კიდევ წინასწარ დაწყებული გეგმის მიხედვით მიდიოდა და წინ გაცილებით უფრო დიდი გეგმები ჰქონდათ დასახული, მაგრამ კაცი ბჭობდა... კი დაინგრა ამასობაში ქვეყანა. თანაც იმ დროისთვის ამერიკაში გადახვეწის ამბავი მას უკვე შინაგანად გადაწყვეტილი ჰქონდა, მხოლოდ ამერიკულ ვიზას ელოდებოდა და არაფერს ეუბნებოდა კალანდაძეს იმ ამერიკელ პროფესორთან მოლაპარაკების თაობაზე. არ სიამოვნებდა ეგ ორმაგი თამაში, იცოდა, ეწყინებოდა კალანდაძეს, შესაძლოა, არც ეპატიებინა მისთვის, მაგრამ რა ექნა... სულ მალე კი გავრცელებული პოლიტიკური ცუნამის მორიგმა ტალღებმა ისე დაუზოგავად დაარტყეს საქართველოს, რომ ქვის ხანის მძაფრი სუნი დააყენეს ქვეყანაში...და.

ისეთი დრო და ჟამი ჩამოდგა, რომ თითქმის ყველაფერი ჩვეული უცბა გაქრა და აღიგავა პირისაგან მიწისა. აღარც დენი იყო, აღარც გაზი, აღარც თანამედროვე ხელსაწყოები, აღარც ტრანსპორტი, აღარც ხელფასი, აღარც სინდის-ნამუსი და აღარც ხალისი, მხოლოდ პური ტალონებით, მშობლების ერთბაშად გაუფასურებული პენსია და ერთმანეთის ხოცვა-ჭლეტა ქალაქის ქუჩებში... ელექტრობა ლაბორატორიაში სწორად ითიშებოდა, თუმცა ისინი რაღაც მანქანებით მაინც ახერხებდნენ მუშაობის გაგრძელებას გენერატორთან მიერთებული დანადგარებისა და მაცივრების მეშვეობით. იყოჩაღეს და არ გააჩერეს კვლევა, რადგან ჯერ კიდევ გააჩნდათ ინერციული ენთუზიაზმი და რაღაც იღბალზე შემორჩენილი ძვირადღირებულ რეაქტივებს ძველი მარაგებიდან. და სწორედ მაშინ, საგანგებო ვითარებაში, როცა ქვეყანა დაღუპვის პირას დადგა და მეცნიერებისთვის არავის ცხელოდა, მაინც მოასწრეს და ორი წუთით შეძლეს ბაჭის მხედველობის ნერვის გამორთვა და მერე უკან ჩართვა. ეს დიდი წარმატება იყო, ჭეშმარიტი გარღვევა, თუმცა მართვად პროცესამდე ძალიან დიდი მანძილი იყო გასავლელი. მსოფლიო ტრანსნეიროლოგია მაშინ პირველ ნაბიჯებს დგამდა, თუმცა ამერიკაში პროფესორ ადამისის ლაბორატორიაში მიმდინარე კვლევები ახალ-ახალი აღმოჩენებისა და გარღვევების იმედს ნამდვილად იძლეოდა...

რაღაც მთავარია, ის ღამის რეისი არ გად-აიდო და ხანგრძლივი ლოდინისა და ღრუბლებში დამღლელი ფრენის შემდეგ „ბოინგი“ მშვიდობიანად დაეშვა ნიუ-იორკის ჯონ კენედის სახელობის აეროპორტში.

მერე კი, უკვე ბალტიკში იყო, როდესაც პროფესორ ადამისის ძალისხმევით „გრინ კარტის“ საკითხი დადებითად მაქსიმალურად სწრაფად გადაწყდა და მან მის ნეოროლოგიული ლაბორატორიაში მკვიდრად მოიკიდა ფეხი, სულ სხვა და განუმეორებლად წარმატა ეტაპი დაიწყო მისი ცხოვრებისა... მხედველობისა და სმენის ნერვების ჩართვა-გამორთვა ნებისმიერი ვადითა და ადამიანის სურვილით, სიმპათიური ლაბორანტი ნენსი რამფორდი, აბესაძე-ადამისის ეფექტის აღმოჩენა, შემდეგ ნენსი — მისი მეუღლე, მერე შვილები, შემდეგ ეფექტის დაწინაურება ჯერ ჯანდაცვის, შემდეგ კი პენიცილინის სისტემების პრაქტიკაში, შვილიშვილები, დაბოლოს უმაღლესი გვირგვინი: ნობელის პრემია, რომელიც თავის დიდებთან-ფულიანად მხოლოდ მას ერგო, რადგან იმ დროისთვის, როგორც ამ მიმართულების პიონერი ალექსანდრე კალანდაძე საქართველოდან, ისე უკეთესობილესი პროფესორი მაიკლ ადამისი ამერიკიდან, უკვე გარდაცვლილიყვნენ... რას იზამ, მეცნიერული დიდება ზოგჯერ იგვიანებს, ხოლო ნობელის პრემია დებულებით მხოლოდ ცოცხლებს ენიჭება. ევეც ბედი. ხოლო ის, რომ მისმა ახალმა სამშობლომ სულ ახლახან კანონის უზენაესობა მოიმიზევა, აილო და აბესაძე-ადამისის ეფექტის გამოყენებით გაუთიშა თვალში სინათლე — ეგ ამ ბედის ირონიაა. რას იზამ, მოგვსენებათ, კანონი ყველასთვის ერთია — და, ალბათ, ასეც უნდა იყოს. ხომ სწორედ ამისთვის იბრძოდნენ,

ილუპებოდნენ და იმარჯვებდნენ თაობები. მაინც მადლიერია ბედისაც და იმ განაჩენისაც. ეს რომ არა... ფაქტია, იძულებითმა „ბრმა შეგებულბამ“ აუხილა გონებისა და მეხსიერების თვალი, მოანატრა დავინწყებული სამშობლო. ბოლო-ბოლო, რა გახდა... არც ბილეთის ფული უჭირს და არც სასტუმროსი. თავსაც — მიუხედავად ასაკისა და გარდახდელი თავგადასავლისა — ურიგოდ სულაც არ გრძნობს, თავისუფლად გაუძღვება ამ გადაფრენასაც და სახლშიც მშვიდობიანად დაბრუნდება... ნენსი გაუგებს და გაუშვებს. ერთხელ ხომ იფრინა აქეთ ბედისთვის მომავლის მოლოდინში, ახლა კი დროა გადაფრინდეს იქეთ წარსულის მოსაკითხავად, ვალს გადახდა უნდა... განა ისე უნდა წავიდეს იმ ქვეყნად, რომ სამშობლო მინას თვალი ერთხელაც არ შეავლოს? არა, არ ივარგებს ასე, არაკაცურად წასვლა!

თბილისის რეისზე ჩასხდომა „ჯონ კენედში“ კარგა ხანია, გამოცხადდა, თუმცა საპასპორტო გამშვებ დახლოებთ ერთობ ხმაურიანი აურზაურის გამო ისედაც საკმაოდ გრძელი რიგი უაღრესად ნელა მიიზღაზნებოდა. წინა თვეში აეროპორტში ტერორისტული აქტის აღკვეთა ვერ მოხერხდა და კონტროლის ისედაც მკაცრი ნესები კიდევ უფრო გამკაცრებულიყო. პარაპეტთან მსხლომი აფროამერიკელი გოგონა ამკარად ღელავდა, ზედმეტად ნერვიულობდა, წამდაუნუნ ამომწებდა საბუთებს და ხშირად სრულიად მარტივი შეცდომები მოსდიოდა: ხან ბილეთები ერთად ერთმანეთში, ხან წონის აღმნიშვნელი ტალონები, ერთხელ ვილაცის პირადობის მონომობაც შეეცა და აკარგა და კარგა ხანს ექება. და რაც კეთად ეშლებოდა სანყალ გოგოს, მით მეთად შფოთავდა, ხოლო მისი შემხედვარე ერთი მოხუცი კაცი რიგში კიდევ უფრო მეტად შფოთავდა, ვიდრე ეს ახალგაზრდა გოგო.

ნერვების დასამშვიდებლად ისევ შორეული მოგონებების ზღვაში გადაეშვა. უცებ ღრმა ბავშვობაში ნანახი ქვიშხეთის ციხე წარმოუდგა თვალწინ. ოდესღაც მამამ წაიყვანა მისი სანახავად... მიტოვებული და სანახევროდ მიგრებული ციხე-კოშკი იყო, მაგრამ შიგნითაც შეისვლბოდა და სათოვრ სარკმლებიდან გარეთ გახედვაც — ოღონდ ფრთხილად უნდა ყოფილიყავი, რომ არ ნაბორძიკებულყავი ან ტერფი არ ამოგებრუნებინა. შიგნით ალაგ-ალაგ იქაურობა ყარდა კიდევ, ვინ იყო მიმხედავი, მაგრამ იმ დღეს მას, კარაქიან პურზე გაზრდილ პატარა თბილისელ ბიჭს, არაფერი ერჩივნა ციხეში ძრომილასა და იმის წარმოდგენას, თუ როგორ ზის სარკმელთან მშვილდ-ისრით ხელში და ელოდება მომხდურ ყიზილბაშს, რათა მიზანში ამოიღოს იგი... იქნება მართლაც მოახერხოს და ამ ხანმოკლე მოგზაურობის ფარგლებში დრო გაემიხახოს და ქვიშხეთსაც ესტუმროს, მოინახულოს მისი ბავშვობის სანუკვარი ადგილები... კალანდაძის საფლავსაც აუცილებლად მოიკითხავს... აბა, ეს საქმეა? რა ნელა მოძრაობს ეს ოხერი რიგი! არადა, გულით და სულით ის უკვე საქართველოშია, აქ კი ასე უშლის ნერვებს ეს ბანძი შავკანიანი გოგო, რომელსაც ელემენტარული მომხატურების განეცა უჭირს... რაში უხდიან, ნეტავ, ამხელა ხელფასს?

ვერ შეამჩნია — მაინც რა არის სიბერე — რომ უკვე კარგა ხანია ხელებს შლის და საკუთარ თავს ხმამაღლა ელაპარაკება. „ბანძი შავკანიანი გოგო... The dirty nigger girl“. მაინცდამაინც ეს ფრაზა ხმამაღლა წარმოუთქვამს ზედმეტად ხმამაღლა და ყველას გასაგონად — და ხალხმაც უცებ რაღაც რკალისებრი კედელი შეკრა მის ირგვლივ. ააერ, პოლიმენიცი გამოჩნდა, წელზე — იქ სადაც იარაღი უდევთ — მარჯვენა ხელი შემოიღო და მრისხანედ იკითხა: „რა, მისტერ, როგორ ბრძანეთ — „Dirty nigger“-ო? ტყუილად ნუ უარყოფთ, უამრავი მონევა გარშემო და ყველაფერი გადაღებულიცაა, ფირზე აღბეჭდილიც და ჩანერილიც — აუდიოც და ვიდეოც. ცთხოვთ, ახლავე დატოვოთ რიგი და ნებით გამოწყევით აქვე განყოფილებაში. თქვენ დაარღვიეთ კონსტიტუცია და ნებისმიერ თქვენი სიტყვა შეიძლება გამოყენებულ იქნას სასამართლოში თქვენს საწინააღმდეგოდ. ნავედით, ყველაფერს მალე გავარკვევთ, მისტერ იქს!..“

როსტომ ჩხეიძე

„რობაიათი“ ქუჩის სპექტაკლად



მს. იძნებლად ვახუშტი კოტეტიშვილის პირველი თარგმანი ომარ ხაიამის „რობაიათიდან“.

და საერთოდაც:

მისი პირველი პოეტური თარგმანი:

პირველი და... უკვე შედევრი?

ასე კი მოხდებოდა და...

საგანგებოდ კი არ ჩაუჯდებოდა თარგმნას:

გონებაში რომ უტრიალებდა ეს რობაიები, უცრად ერთი ნიმუში უნდა წამოწეულიყო ნინ და... სპარსულ სიტყვებს ისე მოხდენილად ჩანაცვლებოდა ქართული სიტყვები, ისე რიტმულად და მელოდიურად, თვითონვე გაკვირდებოდა:

ეს რა ხდება!..

ბავთ დავწვდი დოქის ბაგეს,
ბაგე გადავიბადაგე,
დღევრძელობას ვეძიებდი,
ყამთა სრბოლით დავიდაგე.
დოქმა მითხრა საიდუმლოდ:
მომავებე ბაგეს ბაგე,
ქვეყნად განა კიდევ მოხვალ,
დალიეო, რას ქადაგებ.

გარდა თავისთავადი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებისა, აქ უკვე უნდა მიგნებულიყო ის ინტონაცია და რიტმიკაც, ის დედოძარღვი, რაზეც თანდათანობით მარჯვედ აესხმოდა დანარჩენი ნიმუშებიც და:

ომარ ხაიამის რობაიებიც გაქართულებული, ჩვენი მთარგმნელობითი ლირიკის უკეთეს მონაპოვართა შორის დაიმკვიდრებდა ადგილს.

იშვიათ მიღწევათა შორის!..

და იმ პირველი ნიმუშის ქართულად ამეცხველებისას ვახუშტი კოტეტიშვილი 20 წლისა უნდა ყოფილიყო.

პოპულარობა არ აკლდა ომარ ხაიამს მთელ მსოფლიოში XIX საუკუნიდან, რაც ფიციერადლის თავისუფალი თარგმანები ხელახლა გააცოცხლებდა XI-XII საუკუნეთა ირანულ სწავლულსა და პოეტს, მისი პოეტობა დიდად არაფრად რომ უჩნდათ თანამედროვეთ ომარ ხაიამის მეცნიერული მიღწევების ფონზე, არადა თურმე რა ბედი ელოდა „რობაიათს“ დასავლურ სამყაროში, ომარ ხაიამის კლუბებიც რომ შეიქმნებოდა, თორემ თარგმანები და კრებულები ხომ ერთმანეთს მოჰყვებოდა და მოჰყვებოდა ენიდან ენაზე და ქვეყნიდან ქვეყანაში.

საქართველოში კი პავლე ინგოროყვა მოჰყვებოდა თუ არა ხელს „კავკასიონის“ გამოცემას, ომარ ხაიამის გარეშე ვერ წარმოადგენდა ამ ჟურნალს და იუსტიციის აბულაძეს სთხოვდა მისი ქართული ვერსიის მომზადებას.

შორს დაიჭრდა ამ თხოვნას გამოჩენილი ირანისტი:

მე რომელი მთარგმნელი ვარ, მითუმეტეს — პოეზიისო. არ მოუშვებოდა რედაქტორი და შესთავაზებდა:

პროზაულად გადმოელო.

ხომ არსებობს ასეთი თეორიაც, ლირიკული არსების თარგმნას არც უნდა ეცადო, შეუძლებელს არ უნდა შეეჭიდო, და სავესებით საკმარისია, თუკი პოეტურ შედეგთან პნკარედებს მოამზადებ უცხოელ პოეტებზე შთაბეჭდილების შესაქმნელად.

თუკი პოეტური ძალმოსილება დაიკარგებოდა, სამაგიეროდ შენარჩუნდებოდა: თემატიკაც, პრობლემატიკაც, სახის-მეტყველების თავისებურებაც.

პოეტური შესატყვისის ძიებისას კი მოსალოდნელი გახლდათ: ხელთ ჩაგვაროდა ეს ყოველივეც და მხატვრული ეფექტისათვის ხომ ვერ მიგეღნია და ვერა.

თუკი თვით შარლ ბოდლერი — ლექსის ვირტუოზი — არ დაშვებოდა პოეტური ორეულის შესაქმნელად და ედგარ ალან პოს „ყორანს“ სამჯერ რომ აამეტყველებდა ფრანგულად, სამივეჯერ — პროზაულად, არამცთუ რამე არ დაშვებოდა, აუცილებელიც იყო ომარ ხაიამის რობაიები პროზაული ფორმით მოქცეულიყო ქართულ ენობრივ სამოსელში.

ალარ გადაიდებოდა.

და პავლე ინგოროყვას ესეი რომ უნდა გამეზადებინა ამ დიდებულ პოეტზე, თვალსაჩინოებისათვის დაშვებოდა რობაიების ერთი წყება, ერთი საუკეთესო სპეციალისტის მიერ შერჩეულიც და სანდოდ გადმოღებულიც.

იუსტიციის აბულაძეს მაინც გულს ეთანადრებოდა?

თარგმანს ხომ პავლე ინგოროყვას ხელში უნდა გაეგლო და... შესაფერისადაც გაიჩალხებოდა.

და ასე უნდა შემოენათებინა ომარ ხაიამს ჩვენს ლიტერატურულ-კულტურულ სინამდვილეში: 1924 წელს...

გავიდოდა ათ წლამდე და...

ამბაკო ჭელიძეს უნდა ედო თავს ეს ურთულესი საქმე, და თუმც არც იგი ყოფილა პოეტი, მაინც შეეცდებოდა რობაის ლექსადვე ამეტყველებას და... პირველად 1933 წელს რომ გამორჩნდებოდა მისი თარგმანები, წლების განმავლობაში შეივსებოდა და შეივსებოდა და საბოლოოდ 1946 წლის გამოცემაში 498 ნიმუში მოიყრიდა თავს, ნიგნის შესავალში დავით კობიძე მკითხველს რომ დაუბეჯითებდა:

უეჭველად გაგრძობინებთ ომარ ხაიამის პოეტურ ძალასო.

ასეთი პოპულარული მანამდე კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი უოლტ უიტმენი და პაოლო იაშვილის მიერ თარგმნილი ალექსანდრ პუშკინი თუ იქნებოდა, ცოტა ხანში გრიგოლ აბაშიძის მიერ გაქართველებული შანდორ პეტეფი რომ უნდა ამოსდგომოდათ გვერდით, და მერე უკვე — თამაზ ჩხენკელის რაბინდრანათ თაგორის „გიტანჯვალს“...

ამბაკო ჭელიძის თარგმანები მხატვრული ძალით ჩამოუვარდებოდა ყველა ამ კრებულს?

ომარ ხაიამის თემატიკაც გაიტანდა თავისას და სახისმეტყველების თავისებურებაც და ქართული „რობაიათი“ პროზაობით ამ სახელებს შორის ამიტომაც მოხვდებოდა.

გავიდოდა ხანი და: ამ გამოცემას ისტორიული მნიშვნელობა უფრო შერჩებოდა.

თუმც ვახუშტი კოტეტიშვილი ირანული პოეზიის ანთოლოგიას რომ შეადგენდა 1977 წელს „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიისათვის, იმ კრებულშიდან შვიდ რობაის ამოარჩევდა:

სადა და უშუალო თარგმანის ნიმუშად. და აგერ თუნდ ეს ერთიც: დარწმუნების და რწმუნის ზღვარი — ერთი სუნთქვაა! და საეჭვო და უეჭვარი — ერთი სუნთქვაა.

ეს ერთი სუნთქვა მოიხმარე სამხიარულოდ, სიცოცხლის აზრი ყოველგვარი — ერთი სუნთქვაა.

მაგალი თოდუასაც უნდა მოეხინჯა ომარ ხაიამის ლირიკა, თამაზ ჩხენკელი სხვა ირანული პოეტების თარგმანებს რომ მოუწონებდა, მაგრამ მიიჩნევდა, რომ:

„რობაიათი“ ვერ მოთავსდებოდა მთარგმნელის ტემპერამენტის ფოკუსში.

თუმც ვახუშტი კოტეტიშვილი იმ გამოცემისათვის 27 რობაის მაინც შეარჩევდა, დაუმადლებდა, მის მოღვაწეობას ამ ასპარეზზე ხელი რომ შეეწყო ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნების განვითარებისათვის.

მაგალი თოდუას ხელთ ომარ ხაიამი როგორ ამეტყველებოდა და:

მერგუნა ქვეყნად მწუხარება,
დარდი და ძრწოლა,
მოვა დრო, მოვა სიკვდილი და
საფლავში წოლა.
ეს ორიოდ დღე რომ ცოცხლობ,
ილხინე მოლოზე,
სანამ შენ თვითონ გადიქცევი
მინად და მოლად.

ხოლო თამაზ ჩხენკელი თუ რაიმეს თარგმნიდა პირველად:

ისიც ომარ ხაიამის რობაის.

მაგრამ სუსტად მიიჩნევდა და იხანად ჩამოეხსნებოდა რობაიების თარგმნას, თუმც შემდგომ მაინც მიუბრუნდებოდა და ექვს ნიმუშს გააქართულებდა, ვახუშტი კოტეტიშვილი ექვსივეს რომ შეიტანდა „ირანული პოეზიის“ კრებულში და დაურთავდა:

მისი პოეტური თარგმანები აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურისა ქართული მთარგმნელობითი ოსტატობის მიღწევად უნდა ჩაითვალოსო.

118 რობაი კი ირანული პოეზიის კრებულში ვახუშტი კოტეტიშვილისა იქნებოდა — ომარ ხაიამსაც ძალიან რომ გაუმართლებდა, როდესაც ეს მთარგმნელი შეახებდა ხელს „რობაიათს“, შედევრულ წყებათა შორის რომ მოაქცევდა ჩვენი მთარგმნელობითი მონაპოვრისა.

პირველად რომ გამოიცემოდა ცალკე ნიგნად, პოპულარობა მას მოჰყვებოდა, თუ მოჰყვებოდა. და თუმც ვახუშტი კოტეტიშვილი ყველგან იმერებოდა, ეს რობაიები სულიერი ექსტაზს გამოხატავდა, უფალთან შერწყმის გზად უნდა წარმოვიდგინოთო, მკითხველთა უმეტესობას ძალიან გაიტაცებდა ამ ოთხსტრიქონიანი ლირიკის გარეგნული მხარე — სუფრა, ლხინი, ლამაზმანები, ღვინო, თრობა, რასაც ვერადავერ შეიგრძნობდნენ სულიერი ძიებებისა და ექსტაზის გზად, და დროსტარებისა და ბოჰემის დითირამებუად აღიქვამდნენ.

ტირაჟი ერთბაშად გაქრებოდა. მთარგმნელს მიაკითხავდნენ, ხაიამით გატაცებული ისე, რომ გააცილიდნენ ხელიდან, ერთ ვგზემპლარსაც ალარ შეარჩენდნენ.

სუფრებზე ყოველთვის სთხოვდნენ ამ ნიმუშთა წარმოქმას.

ის კი არა: გზადაც აჩერებდნენ და ენუკვოდნენ: ერთი-ორი მაინც მოგვასმენინეო.

და კიდევ მთელი არსებით უნდა გადმოღვრილიყო ვახუშტი კოტეტიშვილის არტიტული უნარი — ერთი საუკეთესო თამადისა, სპექტაკლად რომ აქცევდა ხოლმე თვითეულ პურობას, და ლექსები — ქართული თუ უცხოური — დაუსრულებლად რომ მოედინებოდა მისი ბაგიდან, ახლა ომარ ხაიამიც უნდა შემატებოდა ამ ნაკადს...

და აგერ ქუჩებსა და მოედნებზეც გამოელნია მის აპოთეოზურს სტრიქონებს, ემსხსა და ექსტაზში შესული ვახუშტი ერთსა და ორ ნიმუშს უკვე ვეღარ კმარობდა და... მთელ ნიგნს გადმოშლიდათ გარსემოჯარულ მსმენელებს, ერთსა თუ ორ კაცს თანდათან სხვანიც რომ შეემატებოდნენ და... ხარობდნენ და დნობდნენ და ტაშა და ქების სიტყვებსაც ააყოლებდნენ ყოველი რობაის ჩამთავრებას, ზოგიერთს ორჯერ და სამჯერაც რომ ამეორებინებდნენ.

მაინც სცენაზე გრძობდა თავს ვახუშტი კოტეტიშვილი.

გამვლელ-გამომვლელნიც ერთბაშად ერთი მსახიობის თეატრის აუდიტორიად გარდასახულიყვნენ.

და „ბის“-ზე გამოძახებასაც რა დაუდგებოდა ნინ!..

ქვეყნად რაიმე ქარის გარდა
არ არსებულა,
რადგან ყოველი დაქცეულა,
არ ავსებულა,
არარსებული არსებულად ჩათვალა,
ძმავო,
არსებული კი მიიჩნია
არარსებულად.

გადაივლიდა ერთი ტალღა ტაშისცემისა.

ნუ ნანობ ცოდვებს,
არას გარგებს უიმედობა,
ტყუილუბრადოდ ცრემლების ღვრას
ნურვინ ენდობა,
ვინც არრა სცოდა,
რალად უნდა შენდობა იმას,
იცოდე, მხოლოდ
ცოდვითათვის არის შენდობა.

მეორე ტალღაც გადაივლიდა.
იმიხარულე და ცხოვრება გაილაშხაზე,
დრო რომ იცვლება, ნუ ინალვლი,
ძმავო, ამაზე,

ქვეყნად ყოველი
მარადისი რომ ყოფილიყო,
არ გაჩნდებოდი არასოდეს
ამ ქვეყანაზე.
ტაში ოვაციაში გადაიზრდებოდა.
რადგან ჩვენს დროში
არვინ ფასობს ჭკუა-გონებით,
მხოლოდ უგნურნი ნებივრობენ
ქვეყნის ქონებით,
მომეცი ღვინო, ისეთი, რომ
ჭკუა წამართვას,
ბედი მომხედავს და
უთუოდ მოვეწონები.

ეგრეა, ეგრეო — ტაშისცემაში მოისმო-
და დარდიანი ამონაკვეთიც.
შე, მეჭურჭლენო, რომ გართულხართ
ამ მინის ზელით,
დაგჩლუნგებით აზროვნების
მახვილი მჭრელი,
ეგ მინა, ასე გამწარებით
რომ ნიხლავთ ახლა,
ოდესლაც იყო

მშვენიერი ქალწულის წელი.
გაითანგებოდნენ მსმენელები, ყველას სევდა შემოანგებოდა, ზოგი ფიქრებშიც მიიკარგ-მოიკარგებოდა...

როცა ყვავილზე
გაზაფხულის ნამი ბრწყინდება,
აივსე თასი, სანამ
თვალი არ იბინდება,
რადგან ბლახი,
მისი მშერიით ახლა რომ ტკბები,
შენს სამარზე ხვალ ისევე აბიზინდება.
კიდევ უფრო დამწუხრდებოდა სახელდახელო აუდიტორია, ფიქრებიდან ველარც გამოეღვინათ და აუცილებელი გახლდათ მათი გამოხალისება:

ცხოვრების ნიგნში ვემკითხაობდი
ჩემთვის ამ დილით,
რომელილაც ბრძენს უთქვამს თურმე
გულისწაღილით,
ნეტარ არს იგი, ვისაც
სატრფო ეხვევა ღამით
და როცა ღამე

გრძელიათ წელიწადივით.
და კიდევ მოვიდოდნენ გუნებაზე მსმენელნი, ვილაცა „აბესალომ და ეთერი-დანაც“ რომ ნაუღლიდნებდა: ამდამდელი ღამეო, ნუ გათენდები მალეო!..

მხიარულების წამის მეტი
რა დაგვრჩენია,
სხვა რამ ქონება ჯამის მეტი
რა დაგვრჩენია,
მხიარულების ხელით მიწვი
სასმის ღვინისას,
სიყრმის მეგობრად ამის მეტი
რა დაგვრჩენია.

ტაშის კიდევ ახალი ტალღა.
სარდაფში გვიხმეს,
განთიადმა როცა იალა,
მოქიფენი, ვინც სასმელმა
გავგაბატიალა,
ადექ, აავსე ეს ფიალა
მჩქეფარე ღვინით
მანამდის, სანამ
ჩვენ ვქცევულვართ სავეს ფიალად.
ხან შუალამის თბილისში ამაღლდებო-
და თვალდათვალ სცენაზე ვახუშტი კო-
ტეტიშვილი, ხან — თავზე უნდა დასთენე-
ბოდათ, და ექაჩებოდნენ მსმენელები:

ასე უპატივცემულოდ როგორ გაგიშ-
ვათ, ჩავიდეთ სარდაფში და ღვინით მოვ-
იგონოთ ის დიდებული პოეტიო.

ხომ უკვე ჩვეული მოვლენა გახდებო-
და მის ცხოვრებაში ასეთი ღამის სცენები,
კიდევ მოელოდა ახალსა და ახალს, მა-
გრამ რობაიებს რეპერტუარად წინასწარ
არასოდეს დაანყობდა, ერჩივნა იმპროვი-
ზებულად გაეხსენებინა თვითუფილი, აუდი-
ტორიის განწყობილებისათვისაც მიესადა-
გებინა, ვითარებისთვისაც შეეხამებინა,
მაგრამ ის ერთი ყოველთვის ბოლოსთვის
მოეტოვებინა და უსათუოდ და აუცილებ-
ლად და უთუმცაოდ მისით უნდა დაე-
გვირგვინებინა იმდამინდელი ფოიერვერ-
კი დაუმცხრალი პოეტური მღელვარებია-
სა:

მას შემდეგ, რაც კი
მზე და მთვარე ცაზე ჰკიდია,
მადლი ღვინისა ამაქვეყნად
დიდზე დიდია,
ისინი, ღვინოს
გასაყიდად რომ იმეტებენ,
ვერ გამოვიტყა, ღვინოზე კარგს
რას იყიდია.

გადივილიდა ეს ხაიამური ხანაც —
ქუჩა-ქუჩა, მოედან-მოედან დეკლარირე-
ბისა, თუმც სუფრებზე დროდადრო მაინც
გაისმოდა ეს გულისშემძვრელი სტრიქო-
ნები, და კიდევ:

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტე-
ტის აუდიტორიებში, სტუდენტთა ახალ
ახალი თაობის თხოვნით, ლექტორი არა-
სდროს რომ არ დაიზარებდა პოეტურ ნი-
მუშთა წარმოთქმას, ყოველი ლექციის თა-
ვისებურ პრელუდიად რომ დამკვიდრდე-
ბოდა ლირიკით გახსნა, თორემ ხან მთელი
ლექცია პოეტური ნიმუშებით გადაივსებო-
და.

იმ დღეს კი ჰაფეზის წაკითხვას რომ
სთხოვდნენ, ვახუშტი კოტეტიშვილიც არ
დაახანებდა და ისე მგზნებარედ დაიწყებ-
და:

შენ ცისკარი ხარ,
მე მიმქრალი სანთლის მუდარა,
მაგრამ განთიადს სანთლისაგან
არა უნდა რა...

შეჩერდებოდა... ჩაახველებდა ერთხელ,
მეორედ... პაუზა გაუგრძელებდა და...
თავიდან დაიწყებდა:

— შენ ცისკარი ხარ, მე...
ჩაახველებდა, კიდევ ჩაახველებდა...
აქეთ-იქიდან შემოაშველებდნენ მომ-
დევნო სტრიქონებსაც, ეგონებოდათ, ის
დაავიწყდა და ამიტომ ვეღარ გაუგრძელებ-
ბოდა.

მაგრამ ლექტორს სხვა დაბრკობება
გადაელოებოდა:

— რა არის, იცით... ამ ბოლო ხანს ხაია-
მზე მაქვს დაყენებული ხმა და ...ჰაფეზი
ამიტომაც აღარ გამოდის.

— რას ამბობთ, შესანიშნავად დაიწყეთ,
— გაუთილებდნენ, მაგრამ ვერ დაითანხ-
მებდნენ:

— მოდი, დღეს არ გვიანდა, საგანგებოდ
მოვემზადებდი, გადავეწყობი და...
ეს — წლების შემდგომ, თორემ იმხა-
ნად მხოლოდ ხაიამზე ექნებოდა დაყენებ-
ული ხმა და არავითარი გადაწყობა-გად-
მონყობა არ დასჭირდებოდა.

მკითხველის საერთო განწყობილება კი
უნდა არეკლილიყო თამაზ ჩხენკელის რე-
ცენზიაში, რომლის სათაურიც იმთავითვე
ცხადყოფდა ქართული „რობაიათის“ გა-
მორჩეულობას:

„მთარგმნელის გამარჯვება“.
რა უპირატესობა ჰქონდა ამ თარგმანს

წინა მცდელობებთან შედარებით?
რეცენზენტის შეფასებით:
აქამდე მხოლოდ ვიცოდით, რომ ომარ
ხაიამი ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსი,
მათემატიკოსი და ვარსკვლავთმრიცხვე-
ლი გახლდათ, ახლა კი კიდევ ვგრძნობდ-
ით ამას.

მთარგმნელის მიერ ხაიამის პოეზიის
სწორად გაგებას განეპირობებინა რობაიე-
ბის ოსტატურად თარგმნის მაღალი დონე
და ის სწორი ტონი, რაც ბუნებრივად გა-
მომდინარეობდა მათი თარგმნის ასეთივე
პრინციპიდან. ამიტომაც დაძლეულიყო
რობაის ფორმა არამარტო გარეგნულად,
არამედ შინაგანადაც და... ეს გახლდათ
სწორედ მთარგმნელის უეჭველი გამარჯვ-
ება.

ეს კანონიკური სალექსო ფორმა შემთხ-
ვევით რომ არ აერჩია ხაიამს, თამაზ ჩხენ-
კელი იმით ახსნიდა:

ზუსტ გამოთვლებსა და დისკურსიულ
აზროვნებას მიჩვეულ მის გონებას მდგრად
და რაციონალურ ჩარჩოში უნდა მოექცია
ის უაღრესად მწუხარე და ზოგჯერ შე-
მაძრწუნებელი ხილვები, რომელთა მეორე
მხარესაც თავანვეტილი დროსტარების
ქადაგება წარმოადგენდა. მხოლოდ უტრ-
ირებული ლაკონიზმით აღბეჭდილი ენ-
ერგიული გამოთქმა დააშოშმინებდა მის
პოეტურ ვნებათაღელვასო.

ადრინდელ თარგმანებში სპარსელი
პოეტი უმთავრესად ჰედონისტური ას-
პექტით არა წარმოადგენილიყო?

ამით ახსნიდა რეცენზენტი საქართვე-
ლოში მის რამდენადმე იაფი პოპულარო-
ბის ძირითად მიზეზს, რაკილა დავიწყებუ-
ლიყო ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ:
ომარ ხაიამის პოეზიაში გამოვლენილი
შეგებისა და განცხრომის მოტივები ძველი
ბერძენი ლირიკოსების, ტანის ეპოქის ჩინე-
ლი პოეტებისა და ადრეული ხანის არაბი
მგოსნების მსგავსად სამყაროს იდუმალ-
ების ძიებაში და სიცოცხლის სწრაფი წარ-
მავლობის გამო შეღონებული გონების
ბუნებრივი რეაქცია გახლდათ და არა იაფ-
ფასიანი დროსტარების გამოხატულება.

ვახუშტი კოტეტიშვილს რამდენიმე
წელი რომ შეეღია ამ მცირე კრებულისათ-
ვის, სამაგიეროდ:

დიდი პოეტური ენერჯის დახარჯვის
შედეგად შეექმნა, ვინაიდან რობაის თარგ-
მნა უაღრესად დამქანცველ გარჯას მოი-
თხოვდა — რაკილა უნდა დაგექებნა სამი
ერთნაირი რითმა ოთხი სტრიქონისათვის
ისე, რომ ბუნებრივად ოდნავადაც არ შე-
ლახულიყო, მითუმეტეს ეს სტროფი დამთ-
ავრებული ლექსი გახლდათ, რომელიც
ღრმა რეფლექსიის შედეგად მიღებული
აზრის მკაფიოდ გამოხატვას ემსახურებო-
და.

და დასძენდა თამაზ ჩხენკელი:
ასეთ ლექსში ყოველი ხარვეზი თვალ-
ნათლივ ჩანს, ისე, როგორც მბრწყინავ სა-
განზე უმცირესი ლაქაო.

და ხანგრძლივი შთაგონებისა და გულ-
მოდგინების შედეგად თუნდ ამ რობაის მო-
იხმობდა:

სულს გაეყრები, ვერ გაიგებ,
ვინა ხარ, რა ხარ,
ღვთის საიდუმლოს ფარდის იქით
ვერაფერს ნახავ,
დალიე ღვინო, ვინ რა იცის,
საიდან მოხველ,
ლაღად იცხოვრე, ვინ რა იცის,
საითკენ ნახვალ.

შენიშვნებსაც გაუზიარებდა, მათ შორ-
ის — ერთს განსაკუთრებით, და ისურვებ-
და შემდგომ გამოცემებში მკითხველს აღ-
არ შეხვედროდა ეს კალამბური:

— მოდი, მოგვართვი ღვინის ერთი ხე-
ლადა ხელად, ვიდრე ხელადა შეუქმნიათ
ჩვენი ტალახით.

— ერთი ხელადა მეჭურჭლისგან ვიგდე
ხელადა... ახლა ლოთების ხელთა ვარო,
როგორც ხელადა.

რაც — მის თვალში — მუშაობის
შთაბეჭდილებას უფრო ახდენდა, ვიდრე
სიტყვებით დიდოსტატური თამაშისას.

მთარგმნელი რომ ცდილიყო აღმოსავ-
ლური განწყობისა და ქართული სიტყვის
ნაჭივ შენადნობს, რომელშიც გემოვ-
ნებით იქნებოდა დაცული პროპორციები,
კიდევ ახერხებდა და თუნდ ამ სტრიქონზე:

— განთიადია, ნებიერო, წამოდექ ზე-
ზე.

რეცენზენტი იტყოდა:
მის აგებას ფაქიზი პოეტური სმენა სჭი-
რდებაო.

და მთარგმნელი არაერთხელ რომ ახ-
ერხებდა ოქროს შუალედის დაცვას, თვალ-
საჩინოებად დაე ეს რობაი გადაგვეკითხა:
ტუსის ციხეზე შემეჯდარიყო
ფრინველი ერთი,
ქეიქაუსის თავის ქალა
დაედო ფერხითი,
ეუბნებოდა სინანულით:
ავსუს, რა იქნა
შენი ბუკის და ნაღარის ხმა,
სად არის ღმერთი.

სიტყვას „ავსუს“ ჰქონდა ტენდენცია
ვულგარული ტონი შემოეტანა, ხოლო იდ-
იომს: „სად არის ღმერთი“ — ხალხური,
მაგრამ მთარგმნელს ლექსის მთლიანი
განწყობისათვის დაემორჩილებინა ეს
ტენდენციები და გაენიტრალეებინა ისი-
ნი.

მთავარი ის გახლდათ, რომ:
ქართული პოეტური მეტყველებისა და
პიროვნული ტემპერამენტის მეოხებით
იგი სიცოცხლეს ანიჭებდა რვა საუკუნის
წინათ შექმნილ სტრიქონებს.

და თუმც მკვეთრად იცავდა ომარ ხაი-
ამის პოეზიის თავისებურებას, წიგნის შიგ-
ნით ქართულ „ველტილდს“ ჰქმნიდა, რაც
შეუმჩნევლად, მაგრამ მომწუსხველად მო-
ქმედებდა მკითხველზე.

მხოლოდ ხანდახან ეს „ველტილდი“
პანიური სიხალისით იცქირებოდა სტრი-
ქონებს შუა და წიგნს ჭაბუკური ენერგიუ-
ლობითა და შემართებით ავსებდა:
ვარდობისთვე,
რუისპირს ატეხილი ჭალაკი,
ორიოდე სატრფო და
ჩუმი, მყუდრო ალაგი,
ღვინო მომეც, მოყვასო,
ნასმურევეზე გამოსულთ
არც მეჩეთი ახსოვთ და
არც სამოხის არაკი.

საგანგებოდ დაურთავდა და განაზო-
გადებდა თამაზ ჩხენკელი, რომ:
ამ მსოფლშეგრძნებას აძლიერებდა სი-
სხლჭარბი და ძარღვმაგარი ქართული,
რაც არასოდეს გადადიოდა ფოლკლორ-
ულ ინტონაციებში, ძველი ქართულის სტი-
ლურ მოდულაციებსაც ვახუშტი კოტე-
ტიშვილი ზომიერად რომ იყენებდა და:
პოეტური ტალანტის წყალობით ომარ
ხაიამის პოეზიისაგან მოგვირღო მთლიან
ხილვას მაღალპოეტური ქართული ლე-
ქსით რომ გამოხატავდა, კიდევ უნდა დაე-
გვირგვინებინა რამოცი წლის განმავ-

ლობაში „რობაიათის“ მთარგმნელთა მიერ
განეული შრომა.

დავით კობიძე „ირანული პოეზიის“ კრ-
ებულს რომ გაცნობოდა, რეცენზიითაც
გამოეხმაურებოდა და ჩვეული პროფე-
სიონალიზმით წარმოაჩენდა მის ღირსე-
ბებს, თუმც გულს დააკლდებოდა, რომ:
მკითხველი ომარ ხაიამის სხვა თარგ-
მანებთან ერთად ვერ იხილავდა ქართველ
ირანისტთა მამამთავრის იუსტინე აბუ-
ლადის თარგმანებსაც, მითუმეტეს კრებუ-
ლისათვის დართულ შესავალში ვახუშტი
კოტეტიშვილი ახსენებდა ამ თარგმანებს-
აც.

ხოლო თვითონ ვახუშტი კოტეტიშვილ-
ის თარგმანები თუ რატომ ხილავდა მკი-
თხველს, დავით კობიძე ზუსტ და ტყვად
სტრიქონებში დანურავდა.

რატომ და:
მთარგმნელს ღრმად შეეხსნავდა სათა-
რგმნი თხზულება, ლექსი იქნებოდა თუ
პოემა, მთელი თავისი პოეტური მონაცემე-
ბით, მხატვრული სახეებით, სტილით; იგი
დაჯილდოებულიყო ბრწყინვალე პოეტუ-
რი ნიჭით და დიდი პოეტის თხზულებებს
შეუფერხებლად ამიტომაც არგებდა ქარ-
თულ სამოსელს.

და დაბეჯითებით განაცხადებდა:
დღეს ვახუშტი კოტეტიშვილის თარგ-
მანები კლასიკური პოეზიის თარგმნის თე-
ალსაზრისით მწვერვალს წარმოადგენსო.
მწვერვალსო, აბა!..

და მსჯელობას რომ განაზოგადებდა:
მთარგმნელმა ამ პროცესს უნდა უყუ-
როს არა როგორც სავალდებულო სამ-
უშაოს, არამედ სათანადო პოეტური აღმა-
ფრენითა და შინაგანი წვით, რადგანაც თა-
რგმნა შემოქმედებაა და გულისხმობს საკ-
უთარი სისხლის გაღებას ჩვენი კულტურ-
ის, ჩვენი ლიტერატურის საკეთილდღეო-
დო.

ერთ-ერთ გამოხატველად ამ აღმატე-
ბული და გასიმბოლოვებული შეხედულებ-
ისა ვახუშტი კოტეტიშვილიც წარმოუდგე-
ბოდა.

არარსებული:
არსებულად უნდა აღგექვა.
არსებული კი:
მიგეჩნია არარსებულად...

ლიტერატურული კონკურსი „სხვიტორი“

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი და
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია
აცხადებენ
ლიტერატურულ კონკურსს — „სხვიტორი“.**

კონკურსი ფართომასშტაბიანია. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს. საკონკურსოდ დაიშვება გამომცემლობებისა და ლიტერატურული პერიოდიკის მიერ 2023 წელს ნაბეჭდი სახით გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაწარმოებები. კონკურსის დანიშნულებაა, დააფასოს შემოქმედებითი ინტელიგენცია, წაახალისოს ახალგაზრდები, ხელი შეუწყოს ახალი ტალანტების გამოვლენას, ლიტერატურული პერიოდიკისა და გამომცემლობათა მოტივაციის ამაღლებას.

პრემია „სხვიტორი“ გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

- პოეზია — წლის საუკეთესო კრებული/პოეტური ციკლი — 500 ლარი;
- პროზა — წლის საუკეთესო წიგნი/ნაწარმოები — 500 ლარი;
- კრიტიკა, ესეისტიკა, პუბლიცისტიკა — წლის საუკეთესო წიგნი/სტატიები — 500 ლარი;
- საჰმანევილო ლიტერატურა — წლის საუკეთესო საბავშვო წიგნი/ნაწარმოები — 500 ლარი.

გარდა აღნიშნული ლიტერატურული პრემიებისა, დაწესებულია „აქაპის მედალი“ — 1000 ლარი.

„აკაკის მედალი“ გაიცემა აკაკის შემოქმედების კვლევასა და კულტურულ, სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობაში განეული ღვაწლისათვის, ასევე მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის.

საკონკურსო მასალების გამოგზავნა აუცილებელია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.

მასალები მიიღება 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

ლაურეატთა დაჯილდოება მოხდება 21 ივნისს, სხვიტორში, აკაკის დაბადების დღეს.

საკონკურსო მასალები (ნაბეჭდი სახით) იგზავნება შემდეგ მისამართზე: 4000, საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. სხვიტორი. ს.ს.ი.პ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი (ლიტერატურული კონკურსისათვის — „სხვიტორი“).

ელექტრონული ვერსია იგზავნება მისამართზე: asmatiashvili@yahoo.com საკონტაქტო ტელეფონი: 577 97 79 70.



ქეთი იმერლიშვილი

შემოდგომის გაზაფხული

ბანმარტოპიტი მივუყვებოდი შემოდგომის ნიუ-იორკს უოლ-სტრიტზე და ოდნავ შეციებული ვცდილობდი, წვიმის ჭინჭლისგან დასველებულს, თავი სადმე შემეფარებინა. სითბოს ვეძებდი და მყუდროებას. დედის კალთას შეფარებულ ბავშვებს რომ შეგრძნება ეუფლებათ, სწორედ ისეთს.

დიდხანს ვიარე უგზო-უკვლოდ და ეკლესიას მივადექი. მისმა შუასაუკუნოვანმა ევროპულმა არქიტექტურამ გამიტაცა. გარეთა ფასადზე გამოსახულ ფიგურებს თვალი ვეღარ მოვწყვიტე და რამდენიმე წუთით გარინდული ჩავიკარგე ულამაზეს ნამუშევრებში. შიგნით შესვლა მომინდა. ალბათ, მეც სხვებივით ღმერთს ვეძებდი...

კარი ფრთხილად შევალე და ადგილი მლოცველებს შორის დავიკავე. გულისყურით უსმენდნენ პასტორს. ჩემ გვერდით მჯდომ ახალგაზრდას გადავხედე და მის მზერას გავაყოლე თვალი. ეკლესიის ყველაზე მაღალ ადგილს შეჰყურებდა და ტურნის ოდნავი მოძრაობით რალაცას ბუტბუტებდა.

ნეტა შემეძლოს გამოვიცნო, რას სთხოვს ღმერთს — გავიფიქრე და თვალი სხვა მლოცველისკენ გამექცა. კმაყოფილი და ბედნიერი სახე ჰქონდა, ილიმოდა. ოლონდისე, შეუმჩნევლად, თავისთვის. ალბათ, ღმერთს რალაცისთვის მადლობას უხდინდა. ჩემ წინ შუახნის მამაკაცი იჯდა. ნერვიულად ატრიალებდა ქორწინების ბეჭედს და ისეთი სახე ეჭირა, თითქოს პასტორის სიტყვებს ბოლომდე არც მიჰყვებოდა. რატომ ფორიაქობს? — ჩემს თავს ვეკითხებოდი.

ადამიანების თვალწინებით რომ დავილალო, პასტორის სიტყვებს დავუგდე ყური. ვიდრე სასაუბრო თემას ჩავწვდებოდი, დიდ ეკრანზე გამოსახულ, გატყეხილი კვერცხის სურათს შევხედე. ნაჭუჭი, ყვითელი გული და ცილა მოჩანდა.

— ვინ ვართ ჩვენ? რისგან შევდგებით? სხეულისგან და სულისგან, — თავადვე უპასუხა, — სხეული ნაჭუჭია, სული — შიგთავსი. ერთ დღეს, ჩვენი სხეული ამ კვერცხის ნაჭუჭით განადგურდება და დარჩება გამშვლებული სული, რომელიც სწორედ ისეთი იქნება, როგორი ცხოვრებითაც მანამდე ვასაზრდობდით. ყველა ჩვენგანი უნდა ეცადოს, მისი სულიერი გზა წმინდა და სუფთა იყოს. იცით, რა იცის სულმა? დაძველება... და თუ ეს მოხდა, ისეთი სამინელი სუნი ასდის, ასეთ ადამიანთან ვერცერთი გაჩერდებით! უნდა ვეცადოთ, დროდადრო სასიცოცხლო მნიშვნელობის საკვებით ვკვებოთ და განვაახლოთ. მან მოწყენა და დაღლა იცის და რომ არ დაილალოს, უნდა გავუფრთხილდეთ და დადებითი ენერჯით ავაგსოთ. სიკვდილიც იცის... ამიტომ აქაც დროული ჩარევაა საჭირო, თორემ დაინრიტება და გამოშრება. ვიზრუნოთ როგორც ჩვენს, ასევე სხვის სულზეც, რომ ყველამ სულის ჯანმრთელობით, სწორად ვიცხოვროთ.

რა საინტერესოა — გავიფიქრე, ფეხზე ნამოვდექი და შემოდგომის ფოთლებივით

ჰაერში ატაცებული აზრებით ფეხაკრეფით დავტოვე იქაურობა.

ნეტა ჩემი სული როგორია? შეველა ხომ არ სჭირდება? იქნებ სულაც ჯანმრთელია? ან კვდება და შრება კიდევ? ბოლო აზრმა უცნაურად გამაკანკალა.

ალბათ, სულს სეზონებიც აქვს. მაგალითად, გაზაფხული. წარმომიდგენია, რა ლამაზია ადამიანი, ვისთანაც ეს დრო ბუდობს. მინდა, მასავით თბილი და საკურას აფეთქებული ყვავილებივით ფაქიზი ფერის ვიყო. არა, შემოდგომაც ჩინებულია, სულის სიმნიფეს განიცდი და ცხოვრება მხატვრის პალიტრაზე ერთმანეთში არეულ ფერებს გამსგავსებს. ერთი მინუსი აქვს — სიცივესთან მიჰყავხარ...

საუკეთესო ვარიანტი შემოდგომის გაზაფხულია. როცა მეტისმეტი სითბოსგან ფოთოლგაცვენილ ხეებს ვერაფერი გაუგიათ და თავგზააბნეულები გვიან შემოდგომაზე კვირტიდან იწყებენ ყვავილების გამოხეთქვას. რა საამო და საინტერესო იქნებიან ასეთი ადამიანები. მინდა, შემოდგომის გაზაფხული მერქვას. სიგიჟა, მაგრამ ნავალ და მინც ვიპოვი. მთავარია, მოვასწრო და სულს არ ჩამოათოვოს. არ მიყვარს ყინვა, საზარელია...

წერილი პეპლებს ოთახიდან

დღეს მე და ლუკასი პლაჟზე წავედით და ქალაქის ნაგებობები ზღვაში გავუშვი. როდესაც ობივიტ შემოხვეული ტვირთი გვამძიმებს, ყოველთვის ასე ვიქცევით. შემდეგ წყლისგან გაგრილებულ ქვიშაზე ვსხდებით, ფეხის გულს ტალღებს ვუშვებთ და ლურჯ სივრცესთან მოთამაშე თოლიებს თვალს ვადევნებთ. ზღვა ქვიშას გვაცლის და გვასველებს. მოგვწონს ჩვენში შემოჭრილი ბუნება და მისი ხმები. პლაჟზე უფუნქციო, ჟანგისგან დანინკული მალაი კიბე დგას. სადღაც ჩერდება და არსად ადის. ლუკასს უყვარს მასზე ასვლა. მალეღიდან იმზირება და სანაპიროზე შეგრეობულ კენჭებს წყალში ისვრის. იქ ყოფნას რომ იბეზრებს, პეპლების ოთახში დაბრუნებას მთხოვს. ვდგები, მის ჩრდილს ვეწევი, ხელს ვკიდებ და გზას ერთად მივუყვებით.

ვიდრე პეპლების ოთახში შევსახლდებოდით, ქალაქის გარეუბანში, კერძო სახლის ნახევარსარდაფში ვცხოვრობდით. ოთახის ქირის გასასტუმრებლად ავტოსადგურის მახლობლად, პატარა კაფის საზარეულოში მიწვევა მუშაობა. დილაობით კბილის პასტის გემო ჯერ კიდევ პირში მქონდა დარჩენილი და მშიერ კუჭზე გულს მირევდა, როდესაც ლუკასთან ერთად ავტობუსის გაჩერებისკენ მივბრბოდი. საბავშვო ბაღში დროულად უნდა დამეტოვებინა და სამსახურში გავეტყულებოდი. ასე ვიცილებდი კაფის მეპატრონის რისხვას და ხელფასიდან თანხის დაქვითვას. მერე ეს საცხოვრებელი გამოჩნდა და უმალ დაბაში, ახალ მისამართზე გადავინაცვლეთ. აქ კარგი პირობები გვაქვს — ლამაზი, სუფთა ოთახი და სამჯერადი კვება.

ახლა თამაშისგან დაღლილ ლუკასს მშვიდად სძინავს, გვერდიდან გავყურებ და ვხედავ ფრთადაკეცილი პეპლები გულზე ასხედან. წერილის წერას დავასრულებ, გვერდით დავუწვები, მეც დავხუჭავ თვალებს და ხელზე გაჩენილ ლაქებს დავემალბებ.

მთავარია, ექიმმა მაცალოს და პალატაში გასვლა არ მაიძულოს, ანდა უაზრო ფსიქოთერაპიის კურსებით ტვინი არ გამოილაყოს. მთელი არსებით მძულს, როცა მიჩინებს შენმა ლუკასმა სამუდამოდ დაიძინაო. ვიდრე ამას მეტყვის, სურვილი მიჩნდება, ბგერები ხორხიდან ამოვკლიჯო და დავაღუშო. თანხის დაქვითვა ჩემს აზრებსა და ფიქრებს ფერფლივით სცივავ სიყვარული, ექიმს რატომღაც დემონად ყოფნის სურვილი უჩნდება. მის წინაშე ვერაფერს ვხედავ, ამ შენობის სხვა ბინადრებივით უძლური ვარ...

დაიბუტი

გოგა გუგავა

FESTINA LENTE!



ბაზეთიდან:

„უბედურ შემთხვევას შეენირა ორი ახალგაზრდა მეგობარი: სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი მაია მიქავა და პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი მირიან მგელაძე. რუსთაველი-მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგიროს ტროსმა დატვირთვას ვერ გაუძლო, განყდა და დიდი სიჩქარით მიმავალი ვაგონი საბაგიროს შენობას შეეჯახა. 1990 წ. 1 ივნისი“.

სულს სხეულის დასატოვებლად რამდენიმე წამი სჭირდება. ამ მომენტში ადამიანი წამიერ სიამოვნებას განიცდის, თავისსავე თავს გარე დამკვირვებლის პოზიციიდან უყურებს, თუმცა როგორც კი ეს ინტერესი დაკმაყოფილდება, შემდეგ იწყება არამატერიალურობასთან შეგუების პროცესი, რაც არც ისე მარტივი საქმეა. მაიას და მირიანს ექვსი თვე დასჭირდათ ამ ყველაფერთან შესაგუებლად. ნახევარი წელი იბოდილეს მათმა სულემა, სანამ ასეთ არსებობას მიეჩვეოდნენ. ერთი ამდენიც ჰქონდათ დარჩენილი, სანამ ზეციური საუფლოს გზას დაადგებოდნენ. დედამიანის დატოვებამდე გადამწყვიტეს, საქმე ისე მოეწყო, რომ მათი ორი მეგობარი, მაკა და თაზო, რომელთაც ერთმანეთი ბავშვობიდან უყვარდათ, მაგრამ ვერ უტყდებოდნენ სიყვარულში, როგორმე ერთად დაეტოვებინათ.

მაკა პრაქტიკებზე იყო მივლენილი ბაღში, ბავშვებზე დასაკვირვებლად, რადგან ფსიქოლოგიის დამამთავრებელ კურსზე იყო. მას გაგიჟებით უყვარდა ბავშვები. მთელი ცხოვრება სურდა, რომ პატარა ძმა ან და ჰყოლოდა, თუმცა ეს სურვილი, სურვილადვე დარჩა.

ამ დროს თაზო ახალი დაბრუნებული იყო ცუცხვათის არქეოლოგიური გათხრებიდან. სულ გადანიტებული იყო მზეზე მუშაობისგან. სახლის გზას მიუყვებოდა უზარმაზარი ჩანთით და დასვრილი ტანსაცმლით, როცა უცებ მაკა დაინახა, რომელიც ბაღის ღობესთან ვიდაცას ელაპარაკებოდა. გული აურქარდა. ჯერ ხელი დაუქნია, შემდეგ კი ქუჩა გადაკვეთა მის სანახავად. თაზო უზარმაზარი ჩანთა ღო-

ბესთან მიაგლო და მაკას გადაეხვია. ერთმანეთს ამბები გამოჰკითხეს და ძველი დრო გაიხსენეს. შუა საუბრისას მაკას ვილაცამ დაუძახა და ბაღში შევიდა. რამდენიმე წუთში თაზოს პატარა გოგონამ ხელში ფურცლის ნაგლეჯი შეაჩერა. ფურცელზე ეწერა: „სალამოს დამირეკე. სადმე გავიდეთ“. ძალიან გაუხარდა თაზოს ეს ამბავი, გოგონას შუბლზე აკოცა, ფურცელი საგულდაგულოდ შეინახა და სახლისკენ გაემართა.

სალამოს თაზომ მართლაც დაურეკა მაკას და სასიეროდ დაჰატიფა. მაკას, ცოცხალი იყოს, გაუკვირდა, რადგან თაზოს ასეთი სითამამე არ ახასიათებდა. მთაწმინდაზე ავიდნენ სასიეროდ. მთელი ბავშვობა გაიხსენეს, ყველა მასწავლებელი, თანაკლასელი და მეზობელი. თაზომ ხუმრობით თქვა:

— წერილი რომ გამომიგზავნე, მეოთხე კლასი გამახსენდა, მაგის მერე შენ ჩემთვის წერილი არ მოგიწერია,

— რომელი წერილი? — გაკვირვებით იკითხა მაკამ.

— რომელი და სამარყანდიდან რომ გამომიგზავნე.

— რა სამარყანდი, შენ ხო ვერ გაიზარდე რა, — სიცილით უთხრა მაკამ.

— რა ვიცი, წერილებს შენ მწერ და კიდევ მე ვერ გავიზარდე?!
სეირნობაში ნელ-ნელა საბაგიროს მიუახლოვდნენ. შარშანდელი ტრაგედიის შემდეგ აქ ორივე პირველად მოხვდა. გადაწყვიტეს, რომ რუსთაველამდე საბაგიროთი ჩასულიყვნენ. ხალხი არ იყო, ამიტომ მარტოებს მოუწიათ ჩასხდომა.

ბაზეთიდან:
„უბედურ შემთხვევას შეენირა ორი ახალგაზრდა მეგობარი: ფსიქოლოგი მაკა ნვერავა და არქეოლოგი თაზო ყიფიანი. რუსთაველი-მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგიროს ტროსმა დატვირთვას ვერ გაუძლო, განყდა და დიდი სიჩქარით მიმავალი ვაგონი შენობას შეეჯახა. 1991 წ. 1 ივნისი“.

ტრაგედიის ადგილთან ახლოს ფურცლის ნაგლეჯი ეგდო, რომელზეც მაკას ხელით ნამდვილად არ იყო დაწერილი.

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურის, საორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საქართველოს მინისტრის სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

